პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 12 აგვისტო 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 182 (1927)

დღიური

— დაწვრილებითი ცნობები პარიზის საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შესახებ.
— გადადგა საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში — დე-ჟუვენელი.
— ალბანეთ - სამხრეთ - სლავიის კონფლიქტის მოგვარება.
— საამშენებლო მუშების გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში ფართოვდება.
— ფ.-ტელეგრ. მოსამსახურეთა [illegible] გაფიცვა პარიზში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ც. ს. კომისიის გაერთიანებული პლენუმი

ოპოზიციის განცხადება და პლენუმი

ხანგრძლივი და ზედმიწევნილი განხილვის შემდეგ ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ.

გაერთიანებულმა პლენუმმა, მიუხედავად უდიდესი განსხვავებისა პარტიისა და ოპოზიციის იდეურ პოლიტიკურ საფუძვლებში, მიუხედავათ ფრაქციული ბრძოლის განსაკუთრებული სიმწვავისა, რომელიც განავითარა ოპოზიციონერთა ამ უმნიშვნელო ჯგუფმა (რომელიც იქამდის კი მივიდა, რომ ანტიპარტიული დემონსტრაცია მოაწყო იაროსლავის სადგურზე), მიუხედავათ უდიდეს დაბრკოლებათა, რომელთაც ოპოზიცია ჰქმნიდა პლენუმზე პარტიაში მშვიდობიანობის დამყარების საქმისათვის, მიუხედავათ ყოველივე ამისა, გაერთიანებულმა პლენუმმა საკმაო სიმშვიდე გამოიჩინა იმისათვის, რომ შეეკავებინა ბუნებრივი აღშფოთების გრძნობა, გამოწვეული ოპოზიციის საქციელით, როგორც პლენუმამდე, ისე თვით პლენუმზე და როგორც კი შეამჩნია ოპოზიციის ბელადებს უკან დახევისა და მათ მიერ საკუთარ შეცდომათა აღიარების ნიშნები, მოხსნა დღის წესრიგიდან საკითხი ზინოვიევისა და ტროცკის ცეკას შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მხოლოდ სასტიკი საყვედური გამოუცხადა მათ.

სწორად მოიქცა თუ არა პლენუმი, როცა მან საკითხის განხილვა ოპოზიციის ბელადების ამხანაგური შთაგონების გზით წარმართა და გამოიტანა ასეთი გადაწყვეტილება?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პლენუმი სწორად და გონიერად მოიქცა.

აქ არ არის საჭირო მოვიგონოთ, რომ უმაღლესი კრიტერიუმი იყო ჩვენი პარტიის მშვიდობიანობისა და მთლიანობის ინტერესები.

ბრძოლის უმწვავეს მომენტებში აუცილებელია უნარი იმისა, რომ შენარჩუნებულ იქნას სიმშვიდე და გამონახულ იქნას გზები, რომელნიც შესაძლოდ გახდიან თუნდაც ერთი ნაბიჯის გადადგმას პარტიაში მშვიდობიანობის დამყარებისაკენ.

გაერთიანებული პლენუმი თავის გადაწყვეტილებაში გამოდიოდა იმ ფაზის შეგნებიდან, რომელშიაც შევიდა ოპოზიციის ბრძოლა ლენინური პარტიის წინააღმდეგ. ამ ფაზას პლენუმი ახასიათებს, როგორც ისეთ პერიოდს, როცა ოპოზიცია ფრაქციული ბრძოლის პრაქტიკიდან გადადის პარტიისა და კომინტერნის გათიშვის ტაქტიკაზე; ამასთანავე ოპოზიციის ფრაქციული მოღვაწეობა და მისი გადასვლა გათიშვის ტაქტიკაზე მოხდა იმგვარად, რომ მან აშკარად აუხვია გვერდი იმ მესამე ძალას, რომელიც სდარაჯობდა და ელოდა მომენტს, როცა მიეცემოდა მას საშუალება აშკარად გამოსულიყო სამოქმედო ასპარეზზე.

პარტიის მოდარაჯე ორგანოები—ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია მიგვითითებენ ჩვენ და განსაკუთრებით ოპოზიციას სწორედ ამ საფრთხეზე. ეს ორგანოები იძლევიან ნიშანს იმისა, რომ ოპოზიცია „ხდება ობიექტიური ცენტრი, რომლის ირგვლივ თავს იყრიან ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ძალები, რომელთა გამხრწნელ მუშაობაზე უკვე ეხლავე ამყარებს იმედს შინაური და საზღვარ-გარეთელი კონტრრევოლიუცია“, რომ ოპოზიცია „ხელს უწყობს ანტი-საბჭოთა ძალების გაშლას ჩვენს ქვეყანაში“ (იხილეთ პლენუმის რეზოლიუცია).

ფრაქციულ ბრძოლას და გადასვლას გათიშვის პოლიტიკაზე, რომელიც ოპოზიციას ობიექტიურად აქცევს ანტი-საბჭოთა ძალების კონსოლიდაციის ცენტრად, დაბოლოს ოპოზიციის წინაშე უნდა დაესვა გადამჭრელი საკითხი: რას აპირებენ შემდეგში?

ოპოზიციას, დაბოლოს უნდა შეეგნო, რომ მას გზა აღარ აქვს, რომ იგი ჩიხში ეწყვდევა.

პარტია განუწყვეტლივ და სისტემატიურად მიუთითებდა, რომ ოპოზიცია აუცილებლად მოემწყვდევა ჩიხში, თუ თავის დროზე არ მოვა გონს და ხელს არ აიღებს ფრაქციულობისა და გათიშვის პოლიტიკაზე. ოპოზიციამ არ დაუჯერა პარტიას და მოხდა ის, რასაც წინასწარმეტყველებდა პარტია. ოპოზიცია ჩიხში მოექცა.

მაგრამ ისტორია ვერ შეურიგდება ჩიხს, იგი ვერ შეჩერდება ჩიხში. ჩიხი ასეთ შემთხვევაში აფეთქდება.

ამიტომ, სანამ ისტორია შეასრულებდა თავის საქმეს, პარტიას უკანასკნელი ცდა უნდა მოეხდინა იმისა, რომ ოპოზიციისათვის მიეცა დახევისა და თავის შეცდომათა აღიარების საშუალება.

აი, რატომ, როგორც კი ოპოზიციის ბელადებმა შეიგნეს, რომ ერთად-ერთი გამოსავალი ჩიხიდან, სადაც მათ მოიმწყვდიეს თავი, მდგომარეობს დახევაში და საკუთარ შეცდომათა აღიარებაში, პლენუმმა, მდგომარეობის შეგნებით, უდიდესი პასუხიმგებლობის გრძნობით მოხსნა დღის წესრიგიდან საკითხი ტროცკისა და ზინოვიევის ცეკადან გამორიცხვის შესახებ.

ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდოდა, რომ ოპოზიციამ სავსებით უკან დაიხია და აღიარა თავისი შეცდომები. სრულიადაც არა. მთელი პარტია, უეჭველია აღნიშნავს აშკარა ნაკლულოვანებას ამ განცხადებისა, რომელიც ოპოზიციას ყველა პუნქტებში უტოვებს ხვრელებს ბრძოლის განახლებისათვის პარტიის წინააღმდეგ.

ამიტომ ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა გავაფრთხილოთ პარტია, რომ მშვიდობიანობის გარანტია ჯერ კიდევ არ არის. ამასთან ერთად ჩვენ ვამბობთ, რომ პარტიამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო გაეკეთებია ოპოზიციის ბელადების მიმართ, რომელნიც გაკოტრდნენ შინაური და საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საკითხებში. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ პარტიამ მათ მიმართ გამოიჩინა უდიდესი სიფრთხილე, ლენინის პარტიისათვის არაჩვეულებრივი მოთმინება, როცა მან მხოლოდ სასტიკი საყვედური გამოუცხადა ამხ. ზინოვიევს და ტროცკის, რომელნიც ოპოზიციონერთა უმნიშვნელო ჯგუფების დანაშაულებრივ გამთიშავ მოქმედებას მეთაურობდნენ.

შემდეგი ნაბიჯი თვით ოპოზიციის ბელადების მოქმედებისაგან არის დამოკიდებული.

პარტია უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს, თუ როგორ შესრულდება პრაქტიკულად ოპოზიციის ბელადების დაპირებანი. პარტია შეამოწმებს მათ დაპირებათა სერიოზულობას.

ორში ერთი:

ან 8 აგვისტოს განცხადება გახდება გამოსავალ მომენტად პარტიაში მშვიდობიანობის დამყარებისათვის, ან ოპოზიცია ისარგებლებს დატოვებული ხვრელებით, რომ კვლავ განაახლოს იერიშები პარტიის წინააღმდეგ.

ჩვენ გვსურს, რომ პირველი გამოსავალი გვქონდეს. მაგრამ თუ წინააღმდეგ პარტიის სურვილისა, 8 აგვისტოს განცხადებას ეწვევა ისეთივე ბედი, როგორიც 16 ოქტომბრის განცხადებას, რომელიც უხეშად დაარღვია ოპოზიციამ, მაშინ... მაშინ მით უარესი ოპოზიციისათვის.

ბოლშევიკების მილიონიანი პარტია საკმაოდ ძლიერია, რომ უზრუნველყოს თავისი რიგების მთლიანობა. იგი უზრუნველყოფს ამ მთლიანობას წინააღმდეგ ოპოზიციის ბელადებისა, თუ ისინი განიზრახავენ იმ ვალდებულებათა დარღვევას, რომელიც 8 აგვისტოს იკისრეს პარტიის წინაშე.

„პრავდა“
მოსკოვი, 11 აგვისტო.

ც. ს. კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ

(ამონაწერი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების მიხედვით მიღებული რეზოლიუციიდან)

მოსკოვი, 11 აგვისტო. მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში პარტიას აქვს ერთგვარი მიღწევები სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დარგში, ამხ. ვლადიმერ ილიჩის მიერ ჩვენი სახელმწიფო აპარატის დახასიათება ძალაში რჩება ეხლანდელ დროისათვისაც და შეეფერება მის მდგომარეობას.

„ჩვენი სახელმწიფო აპარატთან დაკავშირებული საქმეები იმდენად სამწუხარო (რომ არ ვთქვათ: საძაგელი) მდგომარეობაშია, რომ ჩვენ პირველყოვლისა საფუძვლიანად უნდა მოვიფიქროთ, — როგორ ვებრძოლოთ მის ნაკლს, რადგან ვიცით, რომ ამ ნაკლს ფესვები აქვს წარსულში, რომელიც თუმცა დანგრეულია, მაგრამ არ არის აღმოფხვრილი, არ გადასულა კულტურის უკვე შორეული წარსულის სტადიაში“.

(ლენინის წერილი: „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი“).

პროლეტარული სახელმწიფოს აპარატი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და „კულტურული რევოლიუციის“ ახალი ამოცანების გადასაჭრელად. აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან საბრძოლველად უნდა დაირაზმოს მუშებისა და გლეხების მთელი შეგნებული მასა კომუნისტების მეთაურობით.

სავსებით მართლდება ლენინის გათვალისწინება იმის შესახებ, რომ ახალი საფეხური, რომელზედაც ჩვენ ავედით სოციალისტურ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის დარგში, მოითხოვს მთელი საბჭოთა სისტემის დასრულებას და გადაკეთებას.

საბჭოთა აპარატის გაუიაფებლად, არა-საწარმოო ხარჯების გადაჭრით შემცირებლად, ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან მთელი პარტიის ყოველდღიური ორგანიზაციული ბრძოლის გარეშე მშრომელთა მასებთან ერთად, ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან „ყოველნაირ ფუფუნების“ (ლენინი, ტ. 18, ნაწ. 2, გვ. 128) ყოველგვარი ნაშთის აღმოსაფხვრელად დაულალავი მუშაობის გარეშე, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში უპარტიო მუშებისა და გლეხების ჩაუბმელად, თვით სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძვლიანად დაუძლევლად, ჩვენ ვერ შევძლებთ სათანადო წარმატებითა და სიჩქარით სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას.

[illegible] პარტიის მუშაობის გამოცდილება სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან ბრძოლის დარგში (საბჭოების გამოცოცხლება, საბჭოების კომუნისტური ხელმძღვანელობის გაძლიერება და გაუმჯობესება და სხვ.), კერძოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გამოცდილება, გვიჩვენებენ, — რამდენად უსაფუძვლოა ოპოზიციის განცხადებანი სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადაგვარების ზრდის შესახებ.

ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიას შესწევს ძალა თავიდან აიცილოს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადაგვარების საფრთხე, აპარატის, რომელიც განიცდის გადაგვარებას მასზე ახალი ბურჟუაზიულ, კულაკურ და ბიუროკრატიულ ელემენტების ზეგავლენის წყალობით. იწონებს რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას სახელმწიფო აპარატის გადამახინჯებასთან ბრძოლის საქმეში, ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ეს გამოცდილება აშკარავებს პარტიის უდიდეს შესაძლებლობას აპარატის გაიაფებისა, მისი გამარტივებისა, მთელი მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან დაახლოვების დარგში, ამასთანავე მიუთითებს პარტიულ დირექტივებისა და საბჭოთა კანონების შესრულების, კონტროლისა და შემოწმების აუცილებლობის უდიდეს მნიშვნელობაზე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა გვიჩვენებს, რომ 300—400 მილიონი მანეთის მომჭირნეობის ამოცანა არასაწარმოო ხარჯების შემცირების გზით, რომელიც ერთი წლის წინად დააყენა მთელი პარტიის წინაშე ცენტრალურმა კომიტეტმა, უნდა გადიჭრას და შესაძლებელია კიდეც სავსებით გადიჭრას მახლობელი წლის განმავლობაში. ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმს აუცილებლად მიაჩნია მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამ გამოცდილების განზოგადოება ქვეყნისა და მეურნეობის მმართველობის მთელ აპარატზე; უწყებათა, აღმასკომების, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა და ტრანსპორტის ხელმძღვანელებს უნდა დაეკისროს მოვალეობა მათი პასუხიმგებლობის ქვეშ, მიაღწიონ ამ გამოცდილების გავრცელებას ყველგან — საბჭოთა ქვეყნის ყოველ დაწესებულებაში და 1927—28 სამეურნეო წელში საადმინისტრაციო - სამმართველო ხარჯები შეამცირონ არა ნაკლებ 20 პროც. 1926—27 წ. შედარებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების საერთო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აპარატის გაიაფებასთან ერთად, პარტიას შეუძლია მიაღწიოს მისი მუშაობის ზრდას და უკეთ წარმოებას, საქმის გაჭიანურების შემცირებას და აპარატის მასებთან დაახლოვებას.

პარტიულ გადაწყვეტილებებისა და საბჭოთა კანონების შესრულებისთვის სისტემატიური კონტროლის და პარტიულ და საბჭოთა გადაწყვეტილებების ბოლომდე მიყვანის უზრუნველყოფის გარეშე, ჩვენ ვერ შევსძლებთ სახელმწიფო აპარატის მუშაობის ნამდვილად გაუმჯობესებას.

ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი აღნიშნავს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის მოსამსახურეთა რიცხვის საგრძნობ შემცირებას იწვევს, უნდა სარგებლობდეს კომუნისტების, პროფორგანოების, სპეციალისტებისა და უპარტიოების უკეთესი ნაწილის დიდი უმრავლესობის მხარის დაჭერით, რომელთათვისაც ძვირფასია საბჭოთა ქვეყნის საქმე.

საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან შემდეგომი ბრძოლის გაშლის მიზნით, ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ავალებს: 1) პარტიულ ორგანიზაციებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას და საკონტროლო კომისიებს, პროფკავშირთა საბჭოების ფრაქციებს და პრესის ორგანოებს ყოველნაირად გააფართოვონ მუშაობა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლაში მუშებისა და გლეხების ფართო მასების ჩასაბმელათ. მუშ. და გლეხ. ინსპექციის მუშაობამ სათანადოთ უნდა შეუწყოს ხელი იმ მუშასა და გლეხს, რომელიც ებრძვის ამა თუ იმ კონკრეტულ ბიუროკრატიულ ბოროტებას. ამასთანავე ერთად ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და საკონტროლო კომისიას გადაჭრით ებრძოლონ და დასაჯონ ის პირები (როგორც პარტიული, ისე საბჭოთა), რომლებიც რეპრესიულ ზომებს მიმართავენ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც აკრიტიკებენ ბიუროკრატიულ დამახინჯების სენს, მიუხედავად იმისა, როგორი მკაცრიც არ უნდა იყოს ეს კრიტიკა.

2) პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ცეკას მთელი რიგ მითითებათა მიუხედავად, პრესის მუშაობა ბიუროკრატიზმის სისაძაგლესთან ბრძოლის დარგში არ იყო საკმაო. ეს მუშაობა პრესამ უნდა აწარმოოს ისე, როგორც ამას ლენინი გვასწავლიდა. „პიროვნებებისთვის ანგარიშის გაუწევლად“, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ წვრილმანებით, როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი და დარაზმოს მუშები და გლეხები პროლეტარული დიქტატურის გარშემო ჩვენი სახელმწიფო აპარატის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

3) პლენუმი ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას გააძლიეროს და განავითაროს მუშაობა იმ პარტიულ და მთავრობის გადაწყვეტილებათა კონტროლისა და შემოწმების დარგში, რომლებიც ეხება კაპიტალურ მშენებლობას, სავაჭრო, საწარმოო და ზედნადებ ფასების შემცირებას და პროლეტარულ და საბჭოთა დემოკრატიის განხორციელების უზრუნველყოფის საქმეს.

4) პლენუმი მუშათა და გლეხთა ინსპექციას და პარტიულ ორგანოებს მიუთითებს, რომ აუცილებელია სასტიკი ბრძოლა სახელმწიფო აპარატის იმ მუშაკების (როგორც კომუნისტების, ისე უპარტიოების) წინააღმდეგ, რომლებიც შეეცდებიან დაუპირისპირონ პარტიის ბრძოლას სახელმწიფო აპარატის გარდაქმნისათვის რუტინიორობა, დახავსებული შეხედულებები და ჩინოვნიკური თვითკმაყოფილება, რომელთა იქეთ ხშირად იმალება პროლეტარიატის მტრული კლასების ზეგავლენა.

ამასთანავე ერთად გაფართოებულ უნდა იქნეს სასამართლოს მუშაობა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში, აუცილებლად უნდა იქნენ პასუხისგებაში მიცემული საბჭოთა აპარატის ის მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან გაუმართლებელ ზედმეტი ხარჯების გაწევაში და საქმისადმი ჩინოვნიკურ მოპყრობაში, ამასთანავე ყოვლად დაუშვებელია მსუბუქი განაჩენის გამოტანა ან სასამართლო ძიებაზე უარის თქმა „მუშურ - გლეხური წარმოშობისა“, „წარსულ დამსახურებათა“, „ნაცნობობის“ და სხვ. გამო.

5) პლენუმი ავალებს საკავშირო კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროსა და ორგბიუროს საოლქო კომიტეტებს, ნაციონალურ ცენტრალურ კომიტეტებს და საგუბერნიო კომიტეტებს გააძლიერონ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის ორგანოები პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკებით იმ ამოცანის გადაჭრის მიზნით, რომელიც დააყენა ლენინმა: „ჩვენ მუშათა და გლეხთა ინსპექცია, როგორც ჩვენი აპარატის გაუმჯობესების იარაღი, ჩვენ უნდა გავხადოთ ნამდვილად სამაგალითო დაწესებულებად“. (ლენინი, ტომი 18, ნაწ. მე-2, გვ. 117).

„ან არ ღირს დავიწყოთ ერთ - ერთი იმ რეორგანიზაციათაგანი (რომლებიც ჩვენ ასე ბევრი დაგვიწყია), ისეთი უიმედო საქმისა, როგორიც მუშათა და გლეხთა ინსპექციაა, ანდა ნამდვილად უნდა დავისახოთ მიზნათ შევქმნათ თანდათანი ძნელი, უჩვეულო გზით, მრავალჯერ შემოწმების შემდეგ, რაღაც ნამდვილად სამაგალითო, რომელიც შესძლებს ჩაუნერგოს ყველას პატივისცემა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს „ხარისხი და წოდება“ (ლენინი). მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა შესდგებოდეს ისეთი თანამშრომლებისაგან, რომლებიც „უნდა იყვენ უმაღლესი კვალიფიკაციით, საგანგებოდ შემოწმებული და განსაკუთრებით საიმედო“.

ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას მოამზადოს პარტიული ყრილობისათვის თეზისები პარტიის მუშაობის საკითხის შესახებ საბჭოთა აპარატზე, იხელმძღვანელოს რა ლენინის მითითებებით მმართველობის აპარატის მასებთან დაახლოვების მეთოდებისა და გზების შესახებ, იხელმძღვანელოს ლენინის მითითებებით იმ მეთოდებისა და გზების შესახებ, რომლებიც საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც მუშათა კლასის მიერ საბჭოების საშუალებით გლეხობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციის განსამტკიცებლად და მხედველობიდან არ გაუშვებს, რომ ჩვენს ამოცანას შეადგენს არა მარტო კარგად მომუშავე იაფი სახელმწიფო მანქანის შექმნა, არამედ შეუდრეკლად მომზადება იმ პირობებისა, რომლებიც მოამზადებენ სახელმწიფო აპარატის გაუქმებას და მის შეერთებას მასებთან“.

1927—28 წლის სამეურნეო დირექტივების შესახებ

(ამონაწერები ამხ. რიკოვის მოხსენების მიხედვით მიღებული რეზოლიუციიდან)

უახლოეს პერიოდის დამახასიათებელი ნიშნები

მოსკოვი, 11 აგვისტო. ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს — ნათქვამია რეზოლიუციაში, — რომ ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტამ ვერ იქონია გავლენა მიმდინარე წლის სამეურნეო გეგმების შესრულებაზე, რომ ახალ, უფრო რთულ, პირობებში უახლოესი პერიოდის ამოცანებს ჩვენი ქვეყანა სწყვეტს გაზრდილი ძალებით, პროლეტარიატის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებით განმტკიცებული.

ვუწევთ რა ანგარიშს ახალ ამოცანებს, რომლებიც წამოჭრილი არიან კავშირის მეურნეობის წინაშე, საჭიროა გამოვიდეთ იმ დებულებიდან, რომ მხოლოდ პარტიის იმ კურსის ენერგიულად გატარება, რომელიც მიმართულია სოციალისტურ ელემენტების ყოველმხრივ გაძლიერებისაკენ მთელს სახალხო მეურნეობაში, წარმოადგენს ქვეყნის წარმატებითი ეკონომიური და პოლიტიკური მომზადების ძირითად წინასწარ პირობას ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან შესაძლებელ შეტაკებისათვის.

ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმს მიაჩნია, რომ უკანასკნელ ხანებში სამეურნეო მშენებლობაში მიღწეული წარმატებები შესაძლებელს ხდიან მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების პროგრამის განხორციელებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძვლისა და უკანასკნელ წელში მსხვილ ინდუსტრიის და მუშათა კლასის ხვედრითი წონის გადიდების ნიადაგზე.

მიმდინარე წლის დამახასიათებელ სამეურნეო მოვლენებად შეიძლება ჩაითვალოს: სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის და მოხმარების საგნების ზრდა, ხარჯები კაპიტალურ მშენებლობაზე მრეწველობის და ელექტროფიკაციის მთელი ხაზით ერთ მილიარდ მანეთზე მეტი რაოდენობით, რეალურ ხელფასის ზრდა და ამავე დროს შრომის ნაყოფიერების ზრდა, გარდატეხა სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების მხრივ, კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ ბაზარზე გაბატონებულ მდგომარეობის დაპყრობა კერძო კაპიტალის შეკვეცის გზით, საგარეო ვაჭრობაში აქტიურ ბალანსის მიღწევა წინააღმდეგ უკანასკნელ წლების პასიურ ბალანსისა, სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება და სხვ. ამასთან ერთად მიმდინარე წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უარყოფით მოვლენებსაც. ასეთებია: მნიშვნელოვანი დეფექტები კაპიტალურ მშენებლობაში, როგორც დაგეგმვის და პროექტების შედგენის მხრივ, ისე თითონ მშენებლობის და საამშენებლო მასალების სიძვირის მხრივ, საბინაო მშენებლობის სუსტი განვითარება და მისი სიძვირე, სამრეწველო წარმოების თვითღირებულების შემცირების უაღრესად შენელებული ტემპი, სამრეწველო საქონლის ფასების ჯერ კიდევ მაღალი დონე, დაბრკოლებანი ნედლეულის მხრივ და სხვ.

ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი სრულიადაც არ ამცირებს ყველა ამ მტკივნეულ მოვლენათა მნიშვნელობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის საერთო სამეურნეო შედეგები, რამდენადაც ამაზე მსჯელობა შეიძლება წინასწარ ცნობების მიხედვით, დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდენ და სამეურნეო მოღვაწეობის მთელი განვითარება მიმდინარე წელში საერთოდ და მთლიანად იყო უკრიზისო, რაც მოწმობს იმას, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა.

ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი დარწმუნებულია, რომ მიმდინარე წლის სამეურნეო მიღწევები უზრუნველჰყოფენ მუშათა კლასის და გლეხობის მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესების შესაძლობას, მუშურ - გლეხური კავშირის განმტკიცებას და მთელ სახალხო მეურნეობის განვითარებას სოციალიზმის მიმართულებით.

საერთო დირექტივები 1927-28 წლ. საკონტროლო ციფრების შესადგენად

გამოდის რა ახალ სამეურნეო და პოლიტიკურ მდგომარეობიდან, ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი უახლოეს სამეურნეო წლის პირველ რიგის ამოცანად სთვლის — საბიუჯეტო, სავალუტო, პურის, საქონლის, ნედლეულის და სათბობის საკმაო რეზერვის შექმნას რაც აუცილებლად საჭიროა, როგორც სამეურნეო მანევრების საწარმოებლად, ისე ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად პლენუმი შესაძლებლად და საჭიროდ სთვლის ინდუსტრიალიზაციის დასახულ ტემპის დატოვებას. 1927-28 წლ. კაპიტალური ხარჯები უნდა გაიზარდონ მიმდინარე წელთან შედარებით და პირველ რიგში მიმართული იქნენ მძიმე ინდუსტრიის, ტრანსპორტის და საბინაო მშენებლობის ხაზით. აღნიშნავს რა ახალ მშენებლობის სერიოზულ დეფექტებს, რაც გამოიხატება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ხარჯებზე ძლიერ გადამეტებაში და მაღალ თვითღირებულებაში, ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალ მშენებლობის სახელმძღვანელო დებულებად უნდა იქნას თვითღირებულების გადაჭრით შემცირება და პროდუქციის ღირსების აწევა. მსხვილი კაპიტალურ მშენებლობის და საამშენებლო საქმის რაციონალიზაციის პირობებში დანართ ხარჯების შემცირება, საამშენებლო მასალების და მთელი მშენებლობის გაიაფება უნდა წარმოადგენდეს პირველ რიგის ამოცანას, რომელსაც აქვს უდიდესი საერთო - სამეურნეო მნიშვნელობა.

ვიღებთ რა მრეწველობის მიღწევებს მიმდინარე წელს, შემდგომ სამეურნეო განვითარების უმთავრეს ამოცანად უნდა გავხადოთ ბრძოლა მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებისათვის უახლოესი წლის განმავლობაში უნდა მივაღწიოთ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას არა უმცირეს 5 პროცენტისა 1926-27 წელში მიღწეულ დონესთან შედარებით. ამ ბრძოლის მთავარი მომენტი უნდა იქნეს გატარება განსაზღვრულ პირთა და ორგანიზაციათა მტკიცე პასუხიმგებლობისა თვითღირებულების შემცირების წარმატებით გატარებისათვის და ამ საქმეში თვით მუშათა მასების ჩაბმა. თვითღირებულების შემცირება უნდა სწარმოებდეს პროდუქციის ღირსების ზრდასთან ერთად.

ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმი აღნიშნავს, რომ წარმოების რაციონალიზაციის გატარების მხრივ ამჟამად გადადგმულია მხოლოდ პირველი გაუბედავი ნაბიჯები. საჭიროა გამოვდიოდეთ იმ დებულებიდან, რომ რაციონალიზაცია წარმოადგენს მთელი მეურნეობის გადაკეთების და მუშათა კლასის მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესების უუმნიშვნელოვანეს პირობას. პოლიტბიუროს რეზოლიუციასთან შეთანხმებით საჭიროა კონკრეტულ ზომების დამუშავება რაციონალიზაციის განსახორციელებლად, კერძოდ სწორ დირექტივების გამომუშავება განთავისუფლებულ სამუშაო ძალის გამოსაყენებლად გაფართოებულ და ახლად აგებულ წარმოებებში. სამრეწველო წარმოების რაციონალიზაციისაკენ მიმართულ მთელ მუშაობაში სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალური ორგანოები უნდა გამოდიოდნენ იმ დებულებიდან, რომ რაციონალიზაცია შეიძლება ნაყოფიერი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა ფართო მასები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში.

თანახმად მე-15 პარტკონფერენციის მიერ მოცემულ დირექტივისა სამუშაო ხელფასის გეგმაშეწონილად გადიდების შესახებ, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მომავალ სამეურნეო წელში სამუშაო ხელფასის შემდგომი გადიდება, როგორც ნომინალურ ხელფასის გადიდებით მუშათა უფრო ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის, ისე საცალო ფასების შემდგომი დაკლებით.

1927-28 წლის სამეურნეო პერსპექტივების განსაზღვრის დროს საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, რომ გვალვიან რაიონებში სამ მოსავლიან წ. შემდეგ შესაძლებელია მცირე მოსავალი ან მოუსავლობა. ამიტომ 1927-28 წლისათვის უნდა მიღებულ იქნას მთელი რიგი სპეციალური გამაფრთხილებელი ზომები (პურის და საქონლის საკვების რეზერვის შექმნა, სახელმწიფო სათეს ფონდის გადიდება, გვალვიან რაიონების უზრუნველყოფა გვალვის გამძლე თესლეულით, ნათესების გაფართოების წაქეზება იმ რაიონებში, სადაც არ იცის გვალვა და სხვ.)

გლეხობის ძირითად მასის სამეურნეო აღორძინებასთან ერთად ხდება სოფლის კულაკურ წრეების ზრდა. ამ პირობებში ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიმართული იქნეს იმისაკენ რომ სისტემატიურად და მტკიცედ იქნეს გატარებული ცხოვრებაში პარტიის დირექტივები ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობის აღორძინებისათვის ხელისშეწყობისა და მისი ინტერესების დაცვის შესახებ.

ამასთან ერთად ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი იძლევა წინადადებას უახლოეს წელში გადიდებულ იქნას ღარიბ გლეხობის დახმარების ფონდი, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტით.

პურის დამზადების მომავალ კამპანიის განმავლობაში ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმი საჭიროდ სთვლის უზრუნველყოფილ იქნას პურის და საქონლის საკვების სახელმწიფო ფონდის შექმნა რაოდენობით არა უმცირეს 50 მილიონ ფუთისა იმ მიზნით რათა მოსპობილ იქნას დაშორება სასოფლო-სამეურნეო საქონლის და, პირველ რიგში, პურის დასამზადებელ და საბაზრო ფასებს შორის, საჭიროა მიღწეულ იქნას საქონლის გამტარებელ ქსელის ხარჯების ისეთი შემცირება, რომელიც უზრუნველჰყოფს საბაზრო ფასების შემდგომ დაკლებას. პურის მნიშვნელოვან მარაგის არსებობა სოფლად, რაც არის ორ დამაკმაყოფილებელ მოსავლის შედეგი, იძლევა საშუალებას გაფართოებულ იქნას მომავალი წლის პურის დამზადების გეგმა, რომლის წარმატებით შესრულების წინასწარ პირობას წარმოადგენს პურის დასამზადებელ რაიონებში სამრეწველო საქონლის საკმაო მასის შეტანა გლეხობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ფასების დაკლების დაყვანა სოფლის მომხმარებლისთვის მისაწვდომ დონემდე და პურის დამამზადებელ ორგანოებისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა.

გადაჭრით უსვამს რა ხაზს სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების დარგში შემდგომ მიღწევათა საჭიროებას, ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი ავალებს პოლიტბიუროს პრაქტიკულ ზომების განხორციელებას ამ დარგში 1927-28 წლის განმავლობაში. პლენუმი მიაქცევს ყურადღებას ბოსტნეულის და ხორცეულის ბაზრის კოოპერაციის მიერ უფრო სრულიად დაპყრობის საჭიროებას მუშათა ბიუჯეტის ამ უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე ფასების დაკლებისათვის ბრძოლის მიზნით.

შეცვლილი საგარეო სავაჭრო კონიუნქტურა უფრო მტკივნეულად შეიძლება შეეხოს საექსპორტო - საიმპორტო გეგმების შესრულებას. ამიტომ უცხოეთთან საკრედიტო ურთიერთობის განვითარებისათვის ყველა შესაძლებელ ზომების გაძლიერებასთან ერთად, აუცილებელია საექსპორტო ოპერაციების მაქსიმალური გაფართოებაც და ამისათვის დამატებითი წამაქეზებელი ზომების მიღება.

რადგან ტრანსპორტის განვითარების შეჩერება საფრთხეს მოუმზადებს ინდუსტრიალიზაციის ნამდვილ განხორციელებას, ხოლო ამ საფრთხის თავიდან აცილება კი მოითხოვს დიდ ხარჯებს არსებული ქსელის გაძლიერებისა და ახალი გზების გაყვანისათვის, ამიტომ პლენუმი საჭიროდ სთვლის, რომ ეს თანხები გამოძებნილ იქნას თვით სატრანსპორტო მეურნეობაშივე ხარჯების შემცირებისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სხვა გზით. ამასთან ერთად პლენუმს საჭიროდ მიაჩნია დამატებითი თანხების შეტანა ბიუჯეტში, კაპიტალური მუშაობის საწარმოებლად ტრანსპორტზე. ზოგიერთი მიღწევები, რომლებიც გვაქვს სახელმწიფო აპარატის ცალკე დარგების შენახვასა და მათ რაციონალიზაციაზე გაწეულ ხარჯების ეკონომიის საქმეში, საშუალებას იძლევიან; რომ სათანადო ღონისძიებები გავავრცელოთ მთელს სახელმწიფო აპარატზე, ხოლო ეს კი 1927-28 წელში; 1926-27 წელთან შედარებით, საშუალოდ 20 პროც-ით მაინც შეგვიმოკლებს ასეთ ხარჯებს. ისეთივე შედეგს უნდა მივაღწიოთ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებისა და წარმოებების მიმართაც.

ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ადასტურებს, რომ ოპოზიციის პესიმისტურ „წინასწარმეტყველება“, რომელიც მიზნად ისახავდა სახელის გატეხვას ცეკას ხელმძღვანელობისათვის სახალხო მეურნეობის დარგში, სავსებით აცლიან ნიადაგს ის მიღწევები როგორიც გვქონდა წარსულ სამეურნეო წელს, და რომლებიც მოწმობენ ოპოზიციის მთელი ხაზის გაკოტრებას ეკონომიური პოლიტიკის დარგში. გასული წელი, ოპოზიციის მიერ ნაწინასწარმეტყველევ საერთო სამეურნეო კრიზისის მაგიერ, აღინიშნა სახელმწიფო მრეწველობის მნიშვნელოვანი გაძლიერებით მთელი მეურნეობის აწევით, კავშირის განმტკიცებით მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, კაპიტალური ხარჯების გადიდებით და ბაზრის დაჭიმული მდგომარეობის ნაწილობრივი შენელებით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის შემდეგი მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერებისათვის. „ინფლიაციის არსებული საფრთხე“, რომლითაც ოპოზიცია გვაშინებდა, აღმოჩნდა სასოწარკვეთილი ფანტაზიის ნაყოფი: ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა ჩერვონეცის მსყიდველობითი უნარიანობა, რაც წარმოადგენს სერიოზულ სამეურნეო მიღწევების და პარტიის ხელმძღვანელობის სისწორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, ასევე უნიადაგო აღმოჩნდა ოპოზიციის წინასწარმეტყველება საცალო ფასების ზრდისა და რეალური სამუშაო ხელფასის შემცირების აუცილებლობის შესახებ. სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ნამდვილად მიაღწიეს საცალო ფასების შემცირებას, რამაც გამოიწვია ფასების შემცირება კერძო ვაჭრის მხრივაც. ამას შედეგად მოჰყვა რეალური სამუშაო ხელფასის არა თუ შემცირება, არამედ, პირიქით; გადიდება. ამასთან ერთად საერთოდ შესრულებულია პარტიის ხაზი, მიმართული ხელფასის გადიდებისაკენ, უფრო კი მუშათა ყველაზე ჩამორჩენილ კატეგორიების ხელფასის გათანასწორებისაკენ მაღალი კატეგორიის მუშების ხელფასთან; განსაკუთრებული სიძნელეები ოპოზიციამ „დაინახა“ პურის დამზადებასა და მასთან დაკავშირებულ საექსპორტო-საიმპორტო გეგმის განხორციელებაში. სახელმწიფო აპარატის მუშაობისათვის პარტიის მიერ გაწეული სწორი ხელმძღვანელობის წყალობით პურის დამზადებამ გადააჭარბა წინა წელს, მოწესრიგდა დამამზადებელი მუშაობა და, წინააღმდეგ ოპოზიციის წინასწარმეტყველებისა უზრუნველყოფილ იქნა სწორი კლასიური პოლიტიკა, კერძოდ პურის საგაზაფხულო და საშემოდგომო ფასების ერთ დონეზე შენარჩუნებით.

ამასთან ერთად ცეკასი და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი აღნიშნავს, რომ ოპოზიცია სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებზე მის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციის პროექტში იძულებული იყო დუმილით აევლო გვერდი თავის აშკარა ცილისმწამებლურ მტკიცებებისათვის ხელმძღვანელობის გადაგვარების, ეგრედ წოდებულ „ტერმიდორიანობის“ შესახებ და ამითვე აღიარებინა, რომ სამეურნეო ცხოვრების მსვლელობამ 1926-27 წელში ნათელი სიცხადით დაამტკიცა ოპოზიციის გაკოტრება და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ მეურნეობისათვის გაწეული ლენინური ხელმძღვანელობის სისწორე.

ცეკასი და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ადასტურებს ოპოზიციის მიერ დღევანდელ პლენუმზე წარმოდგენილ პრაქტიკულ წინადადებების სრულ შეუსაბამობას, რომლებიც საფუძვლად უდევს ლენინის ეკონომიური პოლიტიკის და ეკონომიური სინამდვილის ფაქტების შეგნებულად გადამახინჯებას.

პლენუმი უარჰყოფს ოპოზიციის არა გულწრფელ და საწინააღმდეგო წინადადებებს ფასების დარგში. ამ წინადადებებით ოპოზიცია სცდილობს თავის ძველ თეორიების მიჩქმალვას მრეწველობის საგასაცემო ფასების აწევისა ან და ერთ დონეზე შენარჩუნების შესახებ, პროდუქციის ღირსების ერთ დონეზე შენარჩუნების („ვრა გაუარესება“) შესახებ; პარტიის კურსის ნაცვლად, რომელიც გულისხმობს საგასაცემო ფასების დაუყოვნებლივ დაკლებას და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებას, იმ კურსის, რომელიც ნამდვილად გამოხატავს მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასების ინტერესებს.

პლენუმი მხედველობაში იღებს რა იმ საგადასახადო კლასობრივ პოლიტიკას, რომელსაც ატარებს პარტია და სახელმწიფო სოფლად, აგრეთვე კერძო კაპიტალის დაბეგვრის უკვე გატარებულ მნიშვნელოვან გადიდებას, რასაც შედეგად მოჰყვა კერძო ვაჭრის მოგებაზე შეწერილ გადასახადის 40 პროც. და ზრდა, უარჰყოფს ოპოზიციის უსაფუძვლო, დემაგოგიურ და სახალხო მეურნეობის განვითარებაში დამატებით სიძნელეების გამომწვევ წინადადებებს პურის ზედმეტი რაოდენობის ძალით ჩამორთმევის შესახებ და კერძო სავაჭრო ბრუნვის ისეთი ზედაბეგვრის შესახებ, რამაც უნდა გამოიწვიოს მისი დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია მაშინ, როდესაც სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას მთლიანად არა აქვთ დაპყრობილი ბაზარი. ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია ფიქრობს, რომ ეს წინადადებები არსებითად მიმართულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუმჯობესებისაკენ, რომელიც შემოღებულია პარტიის მიერ ლენინის ხელმძღვანელობით.

გამოდის რა პესიმისტური შეხედულებებიდან ჩვენი მრეწველობის განვითარების შესახებ, ოპოზიციამ თავის დადგენილების პროექტში წამოაყენა ისეთი პოლიტიკა საგარეო ვაჭრობის დარგში, რომელიც თვალისწინებს იმ საწარმოო იარაღებისა და ნაწარმოების გაძლიერებულ შესყიდვას საზღვარგარეთ, რომლებიც შეიძლება დამზადდეს ჩვენს ქარხნებში. ცეკასი და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი, სწორად სთვლის რა ამ დარგში ამჟამად წარმოებულ პოლიტიკას, გადაჭრით უარჰყოფს ასეთ ოპოზიციონურ მიდგომას მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობისადმი, რამდენადაც ის აუცილებლივ შეაფერხებს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას და გაზრდის საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან საწარმოო იარაღების წარმოების დარგში.

დღეს, როდესაც გამწვავებულია საერთაშორისო მდგომარეობა და როდესაც კაპიტალისტური მსოფლიო ამზადებს თავდასხმას პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაზე, სოციალისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელება და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა მოითხოვს ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, აპარატის ბიუროკრატიული სიმახინჯის დასძლევად, და პარტიისა და მშრომელი მასების ძალთა დაჭიმვას შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის გადიდებისათვის ყოველი როგორც დიდი, ისე წვრილმანი დავალების შესრულების საქმეში მეურნეობასა, წარმოებასა, საბჭოთა აპარატსა და სხვაგან. სოციალისტური მშენებლობის პროცესში, მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასის მაქსიმალური თვითმოქმედება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სამეურნეო კულტურული ზრდისა და მისი თავდაცვის გაძლიერების მთავარ საწინდარს.

ჩან-კაი-შის აღსასრული მოახლოებულია

უკმაყოფილება ნანკინის ჯარების სარდლობით.—მდგომარეობა ფრონტზე

დე-ჟუვენელი ააშკარავებს ერთა ლიგის სრულ უსუსურობას

ჩან-კაი-შის კრიტიკული მდგომარეობა

ოპოზიცია უხანში

ხანკოუ, 10 აგვისტო. გომინდანის უხანის ცეკას მუშათა განყოფილებამ მიმართა ცეკას თხოვნით პროფკავშირთა ხუბეის საბჭოს თავმჯდომარის სიან ტიუნფუას დაპატიმრების შესახებ. ხუბეის პარტიულ ორგანიზაციათა „რეორგანიზაციის“ კომისიამ, მუშაობას ჩამოაცილა გომინდანის უხანის საქალაქო კომიტეტი და ამის გარდა, ხუბეის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციათა მიმართ გასცა განკარგულება, ყოველგვარი მოქმედების შეჩერების შესახებ. **კონფლიქტი წარმოიშვა საქალაქო კომიტეტის მიერ იმ მანიფესტის გამოქვეყნებისათვის, სადაც ის ემხრობოდა სუნ-ცზინ-ლინის (სუნ-იატ-სენის ქვრივი) 14 ივლისის თარიღით გამოქვეყნებულ დეკლარაციას.**

ხმები ნანკინელების ახალი დამარცხების შესახებ

შანხაი, 10 აგვისტო. ინგლისის გაზეთების ცნობებით, ჩინეთის რამდენიმე სამხედრო გემი, რომლებიც იმყოფებოდენ შანხაიში, გაემართენ ხაი-ჩჟოუში (ნავთსადგური ცზიანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში). გაზეთები გამოსთქვამენ აზრს, რომ გემების გასვლა გამოწვეულია ნანკინელების დამარცხებით რასაც შედეგათ მოჰყვა სუნ-ჩუან-ფანის ჯარების წინსვლა ცზიანსუს პროვინციაში. სუნ-ჩუან-ფანს სურს მიაღწიოს მდინარე იანცზის და ზღვის ნაპირს.

კონტრ-რევოლიუციონური ფურცლები

შანხაი, 10 აგვისტო. შანხაის ჩინურმა ხელისუფლებამ მოწერილობა დაუგზავნა ადგილობრივ პოლიციას, მოსპობილ იქნეს „ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური ფურცლები“ და მისი გამავრცელებელი კი დაპატიმრებული იქნეს. გაზეთების ცნობებით შანხაიში, ბოლო დროს, ავრცელებდენ დიდძალ რეაქციონურ შინაარსის ფურცლებს, რომლებსაც ხელს აწერდა „შანხაის მშვიდობიანობის დაცვის საზოგადოება“.

ჩან-კაი-შის და იოშიზავას შეხვედრა

შანხაი, 10 აგვისტო. ნანკინიდან იუწყებიან, რომ ჩან-კაი-შიმ მიიღო იაპონიის ელჩი იოშიზავა, რომელსაც თან ახლდა იაპონიის კონსული შანხაიში. ჩან-კაი-შის და იოშიზავას შეხვედრას დაესწრო ხუ-ხან-მინი. საუბარი შეეხო ნანკინის მთავრობის მიერ შემოღებულ ახალ საბაჟო გადასახადის და ანტი-იაპონურ ბოიკოტის საკითხებს.

ჩან-კაი-შის აღსასრული ახლოვდება

შანხაი, 10 აგვისტო. „ნორდ ჩაინა დეილი ნიუსი“-ს ცნობით, **ნანკინში ვრცელდება პლაკატები, რომლებიც ჩან-კაი-შის წინააღმდეგ არის მიმართული. უცხოეთის წრეების აზრით, ნანკინში აქვთ საფუძველი იფიქრონ, რომ ჩან-კაი-შის დაცემა მოახლოებულია.** ჩინელი მოსახლეობა მოუთმენლად მოელის ჩან-კაი-შის ჩამოგდებას. გაზეთის აზრით, პლაკატების გავრცელება ჩან-კაი-შის არ ყოფნის დროს მოწმობს ჩან-კაი-შის მომხრეთა „უიმედობას“. (ადს).

ჩრდილოეთის ჯარების წინსვლა

შანხაი, 10 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით პეკინიდან, ცნობები სიუჯოუს რაიონის მდგომარეობის შესახებ მეტად მცირეა. მაგრამ, სააგენტოს ცნობით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ფრონტზე მოხდა დიდი ცვლილებები ჩრდილოეთის ჯარების სასარგებლოდ. იუწყებიან, რომ სამხრეთის არმიის ორი კორპუსი განადგურებულია. ჩრდილოეთის ჯარებმა დაიჭირეს ნანსიუჯოუ ანხუეის პროვინციის ჩრდილოეთით და მიიწევენ წინ პენპუს მიმართულებით. უცხოეთის საზღვაო რადიოს ცნობით, პენპუ დაიჭირეს ჩრდილოეთის ჯარებმა. (ადს).

სამხედრო სარდლობის უკმაყოფილო არიან

შანხაი, 10 აგვისტო. უცხოეთის გაზეთების ცნობით, **ნანკინში დიდი შიშიანობაა ფრონტებზე დამარცხების გამო. ფიქრობენ, რომ ნანკინელებს შორის მეტად ძლიერი უკმაყოფილებაა სამხედრო სარდლობის მიმართ.** (ადს).

ხანკოუ, 10 აგვისტო. **უხანის გარნიზონის რაზმი თავს დაესხა უხანის ნავთსადგურის შავმუშათა კავშირის გამგეობის ბინას. კავშირი დახურეს.** სამი თანამდებობითი პირი დაპატიმრებულია იმ საბაბით, თითქოს ისინი აწარმოებდენ შეთქმულებას საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების და უხანის მთავრობის ჩამოგდების მიზნით (ადს).

„მონების საყოველთაო ასოციაცია.

ხანკოუ. 10 აგვისტო, სამხედრო ხელისუფლების მიერ წარსულ კვირაში დახურულ პროფკავშირთა ხუბეის საბჭოს და სრულიად ჩინეთის შრომის ასოციაციის მაგიერ გომინდანის უხანის ცეკამ მოაწყო „ხუბეის მუშათა წარმომადგენლების ასოციაცია“ და „მონების საყოველთაო ასოციაცია“. (ადს).

სამსართულიანი სახლის დანგრევა.

შანხაი, 10 აგვისტო. **ქალაქის ჩინურ ნაწილში დაინგრა ბაზრის სამსართულიანი შენობა. მოკლულია 100-მდე კაცი, დაჭრილია 500-ზე მეტი.** (ადს).

სამხედრო ხელისუფლების მოქმედება

შანხაი, 10 აგვისტო. ბოლო დროს ხშირად ქონდა ადგილი შემთხვევას, როდესაც სამხედრო ხელისუფლება აპატიმრებდა ჩინელ შეძლებულ ვაჭრებს, მრეწველებს და ბანკირებს, და მათი განთავისუფლებისათვის მოითხოვდა სასყიდელს. დაპატიმრებულებს ჩვეულებრივ აბრალებდნენ კომუნისტობას, უხანის მთავრობასთან კავშირის დაჭერას და აგიტაციას ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ. ხელისუფლება ემუქრება დაპატიმრებულებს სხვადასხვა სასჯელით, წამებით და სხვა და მათი განთავისუფლებისათვის მოითხოვენ მათ ნათესავებისაგან დიდძალ ფულს.

„ჩაინა უიკლი რევიუ“-ს მოყავდა ასეთი რამდენიმე მაგალითი და მიუთითებდა ნანკინის მთავრობას სამხედრო ხელისუფლების ასეთი მოქმედების დაუშვებლობაზე. ამას წინათ სეტლმენტის ტერიტორიაზე დაპატიმრებული იყო ლომბარდის მეპატრონე, რომელსაც დააბრალეს კომუნისტობა. სამხედრო ხელისუფლებამ მოითხოვა შერეული სასამართლო და „ბოროტმოქმედის“ გაცემა. სამხედრო ხელისუფლებამ ვერ დაამტკიცა დაპატიმრებულის კავშირი კომპარტიასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადასცა მას დაპატიმრებული.

ინგლისის გაზეთი „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზი“ აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ წინადადება მისცა ლომბარდის მეპატრონეს ხელი მოეწერათ სესხზე 100.000 დოლარის რაოდენობით. ლომბარდის მეპატრონეებმა-კი შემოიტანეს მხოლოდ 10.000 დოლარი. გაზეთის აზრით, სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ლომბარდის მეპატრონეთა გილდიის თავმჯდომარის დაპატიმრება. (ადს).

სემიონოვი აწყობს თეთრგვარდიელთა რაზმებს

პეკინი, 10 აგვისტო. „გუან-ბაო“-ს ცნობით, ყოფილი ატამანი სემიონოვი ჩამოვიდა ტიან-ძინში და აპირობს პეკინში ჩასვლას იმ განზრახვით, რომ მოელაპარაკოს ჩინეთის ხელისუფლებას შიდა მონღოლეთში თეთგვარდიელთა რაზმების მოსაწყობათ გამგზავრების შესახებ. (ადს).

უნგრეთის პოლიციის პროვოკაცია

ვენა, 10 აგვისტო. უნგრეთში საგაფიცვო მოძრაობის გაფართოვების გამო უნგრეთის პოლიცია სცდილობს აგენტ-პროვოკატორების დახმარებით შექმნას საბაბი საგაფიცვო მოძრაობის ძალით ჩასაქრობად. 6 აგვისტოს ავსტრიის კომპარტიის ვენის ორგანოს „როტე ფანეს“ რედაქციაში გამოცხადდა კაცი, რომელმაც განაცხადა, რომ ის არის დოქტორი კორნიში ბუდაპეშტიდან. **ცრუ კორნიშმა განაცხადა, რომ მას აქვს სურვილი „დაუკავშირდეს უნგრეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს“. მომხდარ საუბარში გამოირკვა, რომ ის იყო უნგრეთის პოლიციის აგენტი-პროვოკატორი.** გაზ. „როტე ფანეს“ რედაქციამ უარი განაცხადა ეწარმოებია რაიმე მოლაპარაკება პროვოკატორთან და ყველაფერი აცნობა პოლიციას. მაგრამ რედაქციამ ჯერ კიდევ არ იცის, მიიღო თუ არა პოლიციამ რაიმე ზომები პროვოკატორის წინააღმდეგ. (ადს).

შეცდომის გასწორება

ოპოზიციის განცხადებაში, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, ტელეგრაფით გადმოცემის დროს გამოტოვებულია და შეცდომით არის გადმოცემული შემდეგი ადგილები:

მეორე სვეტის პირველ აბზაცში წინადადების შემდეგ — „...ქვეყანაში იზრდება ტერმიდორიანობის ელემენტები, რომელთაც აქვთ საკმაოდ სერიოზული ბაზა“, გამოტოვებულია წინადადება: „ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ პარტია და პროლეტარიატი დასძლევენ ამ ძალებს შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური გზით“.

იმავე აბზაცში უკანასკნელი წინადადება ასე უნდა იყოს: „ჩვენ უკუვაგდებთ იმ აზრს, თითქო ჩვენი ბოლშევიკური პარტია, მისი ცეკა და ცენტრ. საკონტროლო კომისია ტერმიდორიანული იყონ“.

მეორე სვეტის მეორე აბზაცში პირველი წინადადება თავდება სიტყვებით „...ემუქრება განხეთქილება და ორი პარტიის შექმნა“. შემდეგი სიტყვები — „უკვე მარტო იმიტომ, რომ...“ ზედმეტია. შემდეგი წინადადება იწყება ასე: „ემორჩილებით რა კომინტერნის დადგენილებებს ურბანსისა და მასლოვის გამორიცხულ ჯგუფთან ორგანიზაციული კავშირის დაუშვებლობის შესახებ, ჩვენ ამავე დროს დაბეჯითებით ვიძლევით წინადადებას და კომინტერნის შიგნით ვეცდებით მივაღწიოთ გამორიცხვის შესახებ საკითხის გადასინჯვას, ვინაიდან გამორიცხულთა შორის იმყოფებიან“... და სხვ.

რას წარმოადგენს ერთა ლიგა

საფრანგეთის წარმომადგენელი ააშკარავებს ლიგის უძლურებას

უნაყოფო დისკუსია

პარიზი, 10 აგვისტო. გამოქვეყნებულია ბრიანის პასუხი ერთა ლიგის საფრანგეთის დელეგაციის წევრის დე-ჟუვენელის თხოვნაზე გადადგომის შესახებ. ამ თხოვნას დე-ჟუვენელი ასაბუთებდა იმით, რომ **ერთა ლიგამ დაარღვია დიდ და მცირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანასწორობის პრინციპი და აღადგინა ოთხ დიდ სახელმწიფოთა—ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის „ევროპიული კონცერტის“ პოლიტიკა.**

თავის პასუხში ბრიანი აცხადებს, რომ მან არ იცის ისეთი შემთხვევა, როდესაც საფრანგეთი ხელს უწყობდა ერთა ლიგის კომპეტენციის შეზღუდვას, ლიგისათვის გასარჩევად გადაცემულ სერიოზულ კონფლიქტების განხილვის დროს. შემდეგ **ბრიანი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ საკითხები, რომლის მოწესრიგება შეიძლება ნორმალური დიპლომატიური გზით, წყდებოდენ ერთა ლიგის ჩარევის გარეშე.** ბრიანმა განუცხადა აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს, რომ ის უეჭველად ერთა ლიგის მომხრეა, ვინაიდან ერთა ლიგა წარმოადგენს ერთად ერთ ბარიერს ომის საფრთხის წინააღმდეგ.

პრესის გამოძახილი

პარიზი, 10 აგვისტო. მემარცხენე-ბურჟუაზიული გაზეთების უმრავლესობა უკომენტარიოთ ხვდება დე-ჟუვენელის განცხადებას და ბრიანის პასუხს. **დანარჩენი ბურჟუაზიული პრესა კი აღნიშნავს, რომ ამ დავაში მართალია დე-ჟუვენელი.**

„**ეკო დე პარი**“ სწერს: „ბრიანის არგუმენტები დაუჯერებელია. ბრიანმა კარგად იცის, რომ ერთა ლიგა არჩევს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლის გარჩევის უფლებას აძლევს მას სახელმწიფოთა „ევროპიული კონცერტი“ და მას უფლება არა აქვს შეეხოს სხვა საკითხებს“.

„**გოლუა**“ სწერს, რომ „ერთა ლიგა ბევრს წააგებს ბრიანის და დე-ჟუვენელის დავის გამო, ვინაიდან ეს დავა ნათლად ააშკარავებს მის უძლურებას“. (ადს).

დე-ჟუვენელის გადადგომა

პარიზი, 10 აგვისტო. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ბრიანმა გამოაქვეყნა ერთა ლიგის საფრანგეთის დელეგატ დე-ჟუვენელის წერილი, რომელშიაც იგი მოითხოვს გადადგომას. (ადს).

სამთა კონფერენციის ჩაშლის შემდეგ

ჩერჩილის განცხადება

ლონდონი, 10 აგვისტო. სიტყვაში, რომელიც მიძღვნილი იყო სამთა კონფერენციის ჩაშლისადმი, ჩერჩილმა განაცხადა, რომ **ინგლისი ვერ მოაწერს ხელს ისეთ შეთანხმებას, რომელიც ვალდებულს გახდის მას დაიცვას სხვა ქვეყანასთან თანასწორობა სამხედრო-საზღვაო სიძლიერეში.** (ადს).

ვილბურის განცხადება

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა ვილბურმა განაცხადა:

„**შეერთებულ შტატებს უნდა ეყოლოს ინგლისის თანასწორი ფლოტი**“. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები

საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის შესახებ.

პარიზი, 10 აგვისტო, ირკვევა საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები. თავდასხმელი **შჩეპკინა** სამ-ოთხჯერ იყო საკონსულოში და თხოულობდა სამშობლოში დაბრუნების ნებართვას. მიიღო რა მხედველობაში მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა, **გელფანდი დათანხმდა** გაეგზავნა მისი განცხადება მოსკოვში. გუშინ შჩეპკინა ხელახლა გამოცხადდა საკონსულოში, ხელში ეკავა ბავშვი. მისაღებ ოთახში, სადაც ის შევიდა, მეკარე ფომინი სწერდა ფურცელზე მოსულთა გვარებს. როდესაც ფომინმა შეავსო შჩეპკინას ფურცელი, შჩეპკინამ ამოიღო ბავშვის ტანისამოსში დამალული რევოლვერი და ესროლა ფომინს, რომელიც დაიჭრა თავში.

ცხადია, რომ შჩეპკინა წარმოადგენს იარაღს თეთრგვარდიელების ხელში.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ დაუყოვნებლივ გაუგზავნა ნოტა საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. (ადს).

გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 10 აგვისტო. საამშენებლო მუშათა რეფორმისტულმა გაერთიანებამ მასების ზეგავლენით დაადგინა შეუერთდეს გაფიცვას (რომელიც პრაღაში დაიწყეს აღმშენებელმა მუშებმა, რომელნიც ემხრობიან რევოლიუციონურ ეროვნებათაშორისო და საერთო-პროფესიონალურ კავშირს) და **დაემორჩილოს საგაფიცვო დისციპლინას.** მაგრამ გაერთიანებამ მაინც განაცხადა, რომ იგი იხსნის პასუხისმგებლობას გაფიცვის შედეგებისათვის. დურგლებიც შეუერთდენ გაფიცვას. ბურჟუაზიული პრესა გაფთრებულ კამპანიას იწყებს გაფიცვის წინააღმდეგ და მოითხოვს ხელისუფლების აქტიურად ჩარევას. გაფიცვაში ამჟამად მონაწილეობას იღებენ ყველა აღმშენებელი მუშები. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკოსა და ვანცეტის დასჯა სიკვდილით
გადადებულია 22 აგვისტოსათვის

საკო განაგრძობს სიმშილობას

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. საკო განაგრძობს სიმშილობას. ხმებია, რომ ის ნახევრად უგრძნობ მდგომარეობაშია. არის ცნობები, რომ ვანცეტიმ მისწერა მეგობრებს მთელი რიგი წერილები. მაგრამ ეს წერილები მის მეგობრებს არ მიუღიათ: ფიქრობენ, რომ ციხის ადმინისტრაციამ მოახდინა ამ წერილების კონფისკაცია (ადს).

ურთიერთობა გარეშე ქვეყანასთან აკრძალულია

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. ყოველივე ურთიერთობა გარეშე ქვეყანასთან საკოს და ვანცეტის აკრძალული აქვთ. საკო და ვანცეტი მოთავსებული არიან ცალ-ცალკე საკნებში. საკნებში დღე და ღამე ანთია დიდი სინათლე. დაპატიმრებულები იმყოფებიან ციხის ადმინისტრაციის განუწყვეტელ მეთვალყურეობის ქვეშ (ადს).

დამცველების ცდები

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. საკოს და ვანცეტის დამცველები განაგრძობენ ცდებს, რომ კანონის მიერ გათვალისწინებულ ყველა საშუალებით მიაღწიონ საქმის გადასინჯვას. მაგრამ დამცველთა ყველა შუამდგომლებები უშედეგოთ რჩება.

ფულერი ფიქრობს

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. გუბერნატორმა ფულერმა განაცხადა, რომ ის იხილავს დამცველთა შუამდგომლობას საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის ვადის გადადების შესახებ. ფულერის გადაწყვეტილების გამოცხადებას მოელიან 10 აგვისტოსთვის. ფულერმა მოიწვია საბჭოს სასწრაფო სხდომა, ამის გამო გავრცელდა ხმები, რომ შესაძლებელია სასჯელის მოკლე ვადით გადადება.

დევნა თანაგრძნობისათვის

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. ამერიკის ხელისუფლება იმუქრება, რომ გაიმეორებს 1919 წლის მასიურ გაძევებას და აცხადებს, რომ გააძევებს ჩრდ.-ამერ. შეერთებულ შტატებიდან ყველა იმ უცხოელთ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საპროტესტო დემონსტრაციებში საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. (ადს).

საპროტესტო მიტინგები და გაფიცვები

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. ამერიკის მუშათა მოძრაობის ყველა კლასიურად შეგნებული ელემენტები გაერთიანდენ საკოს და ვანცეტის ენერგიულად დასაცავად. ნიუ-იორკში მიდინარეობს ნემსის მუშათა პროფკავშირების და სხვა მემარცხენე კავშირების საპროტესტო გაფიცვები.

ნიუ-იორკში, ბოსტონში და სხვა ქალაქებში ტყვიისმფრქვეველებით, ყუმბარებით და მხრჩოლავი გაზებით შეიარაღებული პოლიცია ჯავშნოსნებით დადის ქუჩებში. ბოსტონს, სადაც დასჯის მზადება გაფაციცებით სწარმოებს, მიღებული აქვს ალყაშემორტყმულ ქალაქის სახე. ვინაიდან ხელისუფლება მოელის, რომ დასჯის დროს ციხის წინ შესდგება მასიური დემონსტრაცია, მან მთელ რაიონს შემოარტყა ტყვიისმფრქვეველები. (ადს).

მიღებაზე უარი სთქვა

ბერლინი, 11 აგვისტო. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების საელჩოს ბერლინში იცავს პოლიცია, წარმოებების და პროლეტარულ ორგანიზაციების ასზე მეტ დელეგაციამ მოახერხა საელჩოსთან მისვლა, რომ ჩაებარებინა შეერთებული შტატების ელჩისათვის პროტესტი საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ელჩმა დელეგაციები არ მიიღო და პროტესტების ძლიერი ტალღის გავლენის ქვეშ, დასტოვა ქალაქი.

საელჩოში განუწყვეტლივ მოდის პროტესტები. (ადს).

საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯა გადადებულია

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. საათნახევრის წინ ვადამდე, რომელიც დანიშნული იყო განაჩენის სისრულეში მოსაყვანათ. ციხის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯა დროებით გადადებულია და აღნიშნა, რომ ეს გადადება ხანმოკლე იქნება. (ადს).

22 აგვისტომდე

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. გუბერნატორმა ფულერმა გადასდო საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯა 22 აგვისტომდე. ფორმალურად განაჩენის სისრულეში მოყვანა გადადებულია იმისათვის, რომ საშუალება მიეცეს დამცველებს შუამდგომლობის წარსადგენად შეერთებულ შტატების ფედერალურ უზენაეს სასამართლოსათვის.

ნამდვილათ კი სიკვდილით დასჯის გადადება გამოწვეულია საერთაშორისო საპროტესტო მოძრაობით. საერთო აზრით, ხელისუფლება იძულებული შეიქნა დათანხმებოდა გადადებაზე, ასეთი ნაბიჯის პოლიტიკური აუცილებლობის მიზეზით. მემარცხენე წრეებში ხაზს უსვამენ იმ მდგომარეობას, რომ საკო და ვანცეტი ჯერ არ არიან გადარჩენილები, მაგრამ ყველა ქვეყნის მუშებმა, მათი გადარჩენის გზაზე, მოიპოვეს პირველი გამარჯვება (ადს).



ციხის კამერა, სადაც სდგას ელექტრონის სკამი. ამ სკამზე აჯენენ პატიმრებს და კლავენ ელექტრონის დენით.

საპროტესტო დეპეშა

ვარშავა, 11 აგვისტო. გრანდიოზულმა დემონსტრაციამ, რომელიც მოეწყო ვარშავაში საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტ კულიჯს საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. (ადს).

სოციალ-დემოკრატების საბჭოში

ბერლინი, 11 აგვისტო. ჰამბურგის ქალაქის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე კომფრაქციამ შეიტანა წინადადება შეერთებული შტატების საელჩოსათვის ბერლინში საკოს და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ საპროტესტო დეპეშის გაგზავნის შესახებ. სახალხო პარტიის და ნაციონალისტების წარმომადგენლებმა დასტოვეს დარბაზი. თავმჯდომარემ— სოციალ-დემოკრატმა საკითხის გარშემო კენჭის ყრაზე ჯერ უარი სთქვა, მაგრამ წითლების პროტესტის შემდეგ დასთანხმდა კენჭის ყრაზე. წინადადებას ხმა მისცეს მხოლოდ კომუნისტებმა. სოციალ-დემოკრატებმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, რის გამო კომფრაქციის წინადადება უარყოფილ იქნა საბჭოს მიერ. (ადს).

გრინის თხოვნა პატიების შესახებ

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. ამერიკის შრომის ფედერაციის პრეზიდენტმა გრინმა მიმართა ფულერს თხოვნით, რათა საკოს და ვანცეტის შეუმსუბუქდეს განაჩენი, ვინაიდან არსებობს ეჭვები იმაში, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან. თხოვნა შედგენილია ზომიერი გამოთქმებით (ადს).

საპროტესტო გაფიცვა ურუგვაიში

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. 24 საათიანი საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ—მოეწყო მონტევიდეოს (ურაგვაი) ყველა წარმოებებს. ქალაქში დაკეტილია ყველა მაღაზიები, გაზეთები არ გამოდის (ადს).

საპროტესტო გაფიცვა პარაგვაიში

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის გამო ასუნსიონის (პარაგვაის სატახტო ქალაქი) ქუჩებში მოძრაობა შეწყვეტილა. ნავთსადგურში დატვირთვა შეჩერებულია. გაზეთები არ გამოდის. (ადს).

ყუმბარების აფეთქება

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. ქ. უტიტაში (ნიუ-იორკის შტატი) **ყუმბარების აფეთქებით დანგრეულია ორი შენობა.** პოლიცია და პრესა დაუყოვნებლივ შეუდგა იმის მტკიცებას, რომ აფეთქება მოხდენილია საკოს და ვანცეტის საქმესთან დაკავშირებით. მაგრამ შემდეგ გამოქვეყნდა განცხადება, რომ **შენობები დანგრეულია თითონ მეპატრონეების მიერ, რომელთაც სურდათ დაზღვევის ჯილდოს მიღება.** (ადს).

ყუმბარა კათოლიკურ ეკლესიაში

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. **ჩიკაგოს იტალიურ კათოლიკურ ეკლესიის შენობაში ისროლეს ყუმბარა. ყუმბარის მსროლელი აღმოჩენილი არ არის.** (ადს).

საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები

პარიზი, 10 აგვისტო. დამატებითი ცნობების თანახმად, 8 აგვისტოს საკოს და ვანცეტის დასაცავად შესდგა მრავალრიცხოვანი კრებები და დემონსტრაციები ბორდოში, რომში, ბრესტში და სხვა ქალაქებში. ბელგიის რეჟედასმა მოაწყო კრებები ბრიუსელში და ვერვიეში. ლიეჟის რაიონში გატარებულია საპროტესტო გაფიცვა ქვანახშირის მაღაროებში. შარლერუას ზოგიერთ ადგილებში კი გაფიცულია ყველა მაღაროები. (ადს).

საკოს და ვანცეტის დასაცავად

ბერლინი, 11 აგვისტო. საკოს და ვანცეტის დაცვის ჰოლანდიის კომიტეტმა ამ კვირის განმავლობაში, ჩაატარა ჰოლანდიის ყველა ქალაქებში საპროტესტო დემონსტრაციები საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. (ადს).

ლონდონი, 10 აგვისტო. გუშინ საღამოს დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 10.000 კაცი. გაემართა ჰაიდ-პარკში, შეერთებულ შტატების საელჩოსაკენ ლონდონში. მოძრაობა ქუჩებში იყო სავსებით შეჩერებული. დემონსტრაცია დაშლილი იქნა ქვეითა და ცხენოსან პოლიციის მიერ, რომელმაც მხოლოდ დიდი ცდის შემდეგ გაჰყო ბრბო სამ ნაწილად. ამის შემდეგ საელჩოს წინ მაინც მოიყარა თავი 3.000 კაცმა, მაგრამ ესენიც გარეკა პოლიციამ. (ადს).

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. ამერიკის შრომის ფედერაციის მაგალითის მიხედვით, რომელსაც ხელმძღვანელობს გრინი, მექსიკის რეფორმისტული შრომის ფედერაციამ, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიმართა გუბერნატორ ფულერს თხოვნით საკოს და ვანცეტის პატიების შესახებ. (ადს).

ღამის ცნობები

შეერთებული შტატების ფლოტის დაუყოვნებლივი გაძლიერების პროექტი

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. საზღვაო მინისტრის ვილბურის და კულიჯის თათბირზე, ოფიციალური ცნობების თანახმად მიღებულია პროექტი შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტის დაუყოვნებლივი გაძლიერების შესახებ. მაგრამ ოფიციალური წრეები უარყოფენ, თითქოს ეს გაძლიერება გამოწვეული იყო ინგლისთან ქიშპობით და ჟენევის კონფერენციის დაშლით. განახლებულია მუშათა 8 დიდი კრეისერის და ათასი ჰაეროპლანის ასაგებად. ეს მუშაობა ერთ დროს დაწყებული იყო და შემდეგ შეჩერებული (ადს).

ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. „ასოშიეტედ პრესის" ცნობით, შეერთებული შტატების მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს დელეგაცია ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე საჰაერო ფოსტის შესახებ, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის ინიციატივით (ადს).

კავერდას დასჯის გარშემო

ვარშავა, 11 აგვისტო. რუსული თეთრგვარდიელთა გაზეთი „ზა სვობოდუ" ადასტურებს ცნობებს იმის შესახებ, რომ კავერდა დასჭრა სეირნობის დროს, გროდნის ციხეში მყოფმა ერთ-ერთმა კომუნისტმა. გაზეთის ცნობით კავერდა მსუბუქად არის დაჭრილი. კომუნისტი, რომელმაც დასჭრა კავერდა და რომლის გვარი გაზეთს არ მოყავს, სასტიკათ იქნა გალახული და გაიგზავნა ციხის საავადმყოფოში (ადს).

უმუშევართა დემონსტრაცია

ვარშავა, 11 აგვისტო. ლოძში და სგერჟეში კვლავ მოეწყო უმუშევართა დემონსტრაციები. სგერჟეში დემონსტრანტები გაემართენ უმუშევართათვის დახმარების გასაცემ ბიუროსაკენ, მაგრამ გზაში შეტაკება მოხდა პოლიციასთან. ორივე მხრივ არის დაჭრილები.

ლოძში უმუშევართა დემონსტრაცია გარეკილი იქნა პოლიციის მიერ (ადს).

ტრამვაის მუშების გაფიცვა

ვარშავა, 11 აგვისტო. ლოძში დაიწყო ტრამვაის მუშების გაფიცვა. გაფიცვა გამოიწვია, ტრამვაის მუშების მემარცხენე პროფკავშირების თავმჯდომარეს დათხოვნამ სამსახურიდან. (ადს).

ყუმბარის აფეთქება

ბერლინი, 11 აგვისტო. გუშინ საღამოს ბაზელში შენობაში, სადაც უცდიდენ ტრამვაის აფეთქდა ყუმბარა. დაიჭრა 20 კაცი, მათ შორის 5 კაცი მძიმედ. დამნაშავე არ არის აღმოჩენილი. (ადს).

ნაწილობრივი გამარჯვება

რიგა, 11 აგვისტო. პოლიტპატიმრების შიმშილობა რიგის ცენტრალურ ციხეში დამთავრდა. პატიმრების მოთხოვნილებების ნაწილი შესრულებულია (ადს).

ესტონეთის ჯარების მანევრები

რეველი, 11 აგვისტო. სექტემბერში საბჭოთა საზღვრის ახლოს მოეწყობა ესტონეთის ჯარების დიდი მანევრები (ადს).

ფინ-იუი-სიანის ჯარების დამარცხება

პეკინი, 10 აგვისტო. „შუნ-ტიან-ში-ბაო"-ს ცნობით, ფინ-იუი-სიანმა გაგზავნა ცზოჩეოუ ცზინანში, შანდუნის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთში, 10.000 კაციანი რაზმი; რომ გადაეჭრა შანდუნის ჯარების კომუნიკაციური ხაზი. მაგრამ, გაზეთების ცნობით; გაგზავნილი რაზმი დამარცხდა. (ადს).

შანდუნის ჯარების დანაკლისი

პეკინი, 10 აგვისტო. ტოხოს სააგენტოს ცნობით, შანდუნის ჯარების დანაკლისი ბრძოლაში ხანჩჟოუსთან ცზიანსუს ჩრდილოეთ ნაწილში შეადგენს 10,000 კაცს. მოკლულებით და დაჭრილებით. სააგენტოს ცნობით, ნანკინის ჯარების დანაკლისი კიდევ მეტია. (ადს)

გაფიცვა პარიზში

პარიზი, 10 აგვისტო. ცენტრალურ ტელეგრაფში პარიზში მოხდა 6 საათიანი გაფიცვა იმის გამო, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ბოკანოვსკი გაემგზავრა ამერიკაში ისე, რომ ხელი არ მოაწერა დეკრეტს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. როცა მოსამსახურეებმა ორჯერ გაუგზავნეს დელეგაცია ბოკანოვსკის, უკანასკნელი დაპირდა არ წავიდოდა ამერიკაში, სანამ არ გადაწყდებოდა საკითხი ჯამაგირის მომატების შესახებ.

კატორღა
დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის

პარიზი, 10 აგვისტო. სამხედრო საბჭომ ტურში სათადარიგო ჯარისკაც **ჟესლენს** მიუსაჯა 10 წლის საკატორღო მუშაობა და სათადარიგო ჯარისკაც **ტაფეის** 5 წლის ციხე სათადარიგო ჯარისკაცების მიერ საბანკო შეკრების წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის. (ადს).

მელითონეთა გაფიცვა
მელითონეთა გაფიცვის გარშემო

ვენა, 10 აგვისტო. გაფიცულ მელითონეთ ბუდაპეშტში მიემხრო კიდევ 2500 მუშა. ზოგიერთ წარმოებებზე მუშაობა განახლდა ვინაიდან ადმინისტრაცია დათანხმდა ხელფასის გადიდებაზე. მაგრამ ხელფასი გადიდებულია სულ 10-15 პროც-ით, მაშინ როდესაც მუშები თავდაპირველად მოითხოვდენ 40-50 პროც-ის მომატებას. ცალკე ქვანახშირის წარმოებებში ფიუნფკირხენის ოლქში, მოლაპარაკება მუშებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის დასრულდა კომპრომისულ შეთანხმებით და ამ წარმოებების მაღაროებში მუშაობა განახლდა. (ადს)

ალბანეთ სამხრეთ სლავიის ურთიერთობა

ვენა, 10 აგვისტო. ახლად დანიშნული ალბანეთის საქმეთა რწმუნებული სამხრეთ-სლავიაში — **შტილა** 8 აგვისტოს ჩავიდა ბელგიაში; ამავე დროს ტირანაში ჩავიდა სამხრეთ-სლავიის საქმეთა რწმუნებული. ამგვარად დიპლომატიური ურთიერთობა ალბანეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის ფორმალურად აღდგენილია. (ადს).

ნიაგარის ხიდი

ნიუ - იორკი, 10 აგვისტო. ნიაგარის ხიდის საზეიმო გახსნის დროს, შეერთებულ შტატების და კანადის საზღვარზე, სიტყვები წარმოსთქვეს შეერთებული შტატების მხრით ვიცე-პრეზიდენტმა **დოუესმა** და გარეშე საქმეთა მინისტრმა **კელოგმა,** ინგლისის მხრით — **ბოლდუინმა** და უელსის პრინცმა. ორატორები აღნიშნავდენ, რომ ომი ამერიკასა და ინგლისს შორის წარმოუდგენელია. (ადს)

პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკება
კოვნოს პრესა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

კოვნო, 10 აგვისტო. ნაროდნიკ სელიანების ორგანო „ლეტუვოს - ჟინიოსის" („ლიტვის უწყებები") წერილს უძღვნის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარეკებას საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ. „მოსკოვმა წინადადება მისცა ბალტიის ყველა სახელმწიფოებს — სწერს გაზეთი — დაეწყოთ მოლაპარაკება ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებათა დასადებათ. **საბჭოთა კავშირს განზრახვა ჰქონდა დაედო ხელშეკრულებები ნეიტრალიტეტის შესახებ თითოეულ მეზობელთან ცალ-ცალკე. დღემდე ამ მიმართულებით გარკვეული შედეგები მიღწეულია ლიტვის, გერმანიის და ნაწილობრივ ლატვიის მიმართ. შესაძლებელია, რომ საბჭოთა კავშირი მოურიგდეს აგრეთვე ესტონეთს და ფინეთს.** მოლაპარაკების დასაწყისში პოლონეთი, შეეცადა მიეღწია ბალტიის სახელმწიფოთა საერთო ხელშეკრულებისათვის ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ და ამნაირად განხორციელებია ბალტიის სახელმწიფოთა დიდი კავშირის იდეა. მაგრამ ამას ეწინააღმდეგებოდენ არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ ბალტიის ყველა სახელმწიფოები.

საეჭვოა, რომ პოლონეთ-რუსეთის ამჟამინდელმა მოლაპარაკებამ გამოიღოს რაიმე შედეგები, ვინაიდან პოლონეთი, რომელიც შებოჭილია საფრანგეთთან და რუმინეთთან დადებულ ხელშეკრულებებით. ვერ შესძლებს დაეთანხმოს საბჭოთა კავშირის წინადადებას ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ. (ადს).

რატომ მოხდა გაზეთ „ზა სვობოდუ"-ს კონფისკაცია

ვარშავა. 10 აგვისტო. ირკვევა, რომ თეთრგვარდიელ ემიგრანტთა გაზეთი „ზა სვობოდუ"-ს 6 აგვისტოს ნომერს პოლიციამ კონფისკაცია უყო ლიპეროვსკის იმ წერილის გამო, რომელიც შეეხებოდა პოლონეთის პრეზიდენტის მიერ კავერდას პატიებაზე უარის თქმას. წერილი აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტის მიერ კავერდას პატიების უარყოფამ „თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა რუსულ ემიგრაციაზე პოლონეთში" ლიპეროვსკი მოითხოვდა პოლონეთის ხელისუფლებისაგან, რათა უკანასკნელს ეცნო ემიგრაციის უფლება განაგრძოს შეწირულებათა შეგროვება კავერდას სასარგებლოდ. (ადს).

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში
ალექსანდრე ასათიანი და ნოე რამიშვილი
(წერილი პარიზიდან)

რედაქციისაგან

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ერთი ანონიმური წერილი, რომელსაც ხელს აწერს „მეგობარი მოწინააღმდეგე ბანაკიდან". ვინაიდან წერილი მოკლებული არ არის საზოგადოებრივ ინტერესს და რამოდენიმედ გამომხატველია, როგორც ჩვენც ვიცით, იმ მდგომარეობის, რომელიც შექმნილია ქართულ ემიგრაციაში,—ვაქვეყნებთ მას. დამახასიათებელია მენშევიკურ ემიგრაციაში რამიშვილების მიერ შექმნილი რეჟიმისათვის ის, რომ ავტორმა საქართველოში გამოგზავნილ წერილსაც ვერ ანდო თავისი ნამდვილი ვინაობა. ასეთი ტერორის ატმოსფერაში უხდება ცხოვრება რამიშვილის „მტერს" და გასაკვირი არ არის, რომ ჩვენის გასაგონად „მეგობრის" ხმას იმაღლებს ვიღაც ემიგრანტთაგანი და, რამდენადაც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, თვით წევრი რამიშვილის ამალისა.

წერილის ის ნაწილი, რომლის გამოქვეყნება ამჟამად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, შეიცავს სიტყვა-სიტყვით შემდეგს:

„... ახლა ნება მიბოძეთ მოკლედ გადმოგცეთ „აქა ამბავი" იმის შესახებ, თუ როგორ „შეეხო ხელით" ალექსანდრე ასათიანი „კუზიან" ნოე რამიშვილს.

ეს ამბავი მოხდა ივლისის პირველ რიცხვებში.

„მოქმედება სწარმოებდა" ქართული ლეგაციის ბინაზე. (თქვენ მოგეხსენებათ, რომ არის აქ ასე წოდებული დაწესებულება). ამბავი იმის შესახებ, რომ ალექსანდრემ „დაუჟეჟა" ნოე, რასაკვირველია, არ დაიმალებოდა.

რამდენადაც მე გავიგე სარწმუნო წყაროებიდან, საქმე ასე ყოფილა.

ალექსანდრე ასათიანი მისულა ლეგაციაში ძალიან აღელვებული რამიშვილის წერილის გამო, რომელიც „კომუნისტში" იყო მოთავსებული ავტორის ხელნაწერის კლიშეთი. შესულა თუ არა ლეგაციაში, ასათიანი შეხეჩებია რამიშვილს, რომელიც თურმე იქ ყოფილა უფრო ადრე მისული. ნოეს თავაზიანი სალამი მიუძღვნია ასათიანისათვის. მაგრამ, ვინაიდან რამიშვილის „ღვთის წყალობაც" „ღვთის რისხვად" მიაჩნიათ (და არა უსაფუძვლოდ) თითქმის ყველას აქ,—ასათიანს, ორიოდე სიტყვის შემდეგ იმის შესახებ, რომ რამიშვილი პროვოკაციას ეწევა ქართველი ხალხის მიმართ, ზედიზედ „ჩაუფარებია" რამიშვილისათვის და გაულახავს ის მართლა ღონიერად.

ამ სცენის მოწამენი, აკაკი ჩხენკელი და ევგენი გეგეჭკორი, რომლებიც იქვე ყოფილან, ისე გაშტერებულან ამ არაჩვეულებრივი სანახაობით, რომ ხელიც არ გაუნძრევიათ.

ამ ალიაქოთისა და ხმაურობის დროს ჩხენკელის კაბინეტში შეგრილან ათამდე მენშევიკი, რომლებიც თურმე ლეგაციის შესავალ კარებთან იდგნენ და გასწიეს ხმაურობის გამო კაბინეტისაკენ. მაგრამ შესულებს რომ დაუნახავთ ეს „კირჩხიმალი", შეშინებულან თუ დაბნეულან, მაგრამ არ ჩარეულან არა თუ რამიშვილის დასახმარებლად, არამედ გასაშველებლადაც კი. შემდეგ რომ გარკვეულან მდგომარეობაში, უტაცნიათ ხელი რამიშვილისათვის და გაუთრევიათ მეზობელ ოთახში. ხოლო ასათიანი დინჯად გამოსულა და მიუცია თავი პარიზის ქუჩებისათვის ცოტა „ჰაერის გამოსაცვლელად".

ყოფილ ემიგრანტების ჩამოსვლა

გუშინ პარიზიდან თბილისში ჩამოვიდენ ყოფილი ემიგრანტები ნიკოლოზ ნიჟარაძე და გრიგოლ მიქაძე. პირველ მათგანს გასულ წელს დაუმთავრებია პრაგის უნივერსიტეტის აგრონომიული დარგი, უკანასკნელ წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზში ქართულ საბჭოთა კოლონიის გამგეობაში და ამავე დროს მეცადინეობდა თავის სპეციალობაში. მეორე, პროფესიით ექიმი - უროლოგია, რომელიც უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდა პარიზში და მუშაობდა ადგილობრივ კლინიკებში თავის სპეციალობის სრულსაყოფად. ორივე ამხანაგი პარიზიდან წამოსულია ა.-წ. 23 ივლისს. ამხ. ნიჟარაძე პარიზიდან წამოსულა არა თავის ნებაყოფლობით, არამედ ქართველ ემიგრანტების დასმენით გადმოსახლებულია საფრანგეთის პოლიციის მიერ.

ახლად ჩამოსული ამხანაგები შემდეგნაირად გადმოგვცემენ ქართველ ემიგრანტების მდგომარეობას უკანასკნელ ხანებში.

ორი მოწინააღმდეგე ბანაკი

პარიზში მყოფ ქართველობის დაყოფა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად ისევ გრძელდება. უმრავლესობას შეადგენენ ემიგრანტი ქართველები, რომელნიც, ალბათ, კიდევ დიდ ხანს ვერ განთავისუფლდებიან ქართველი კონტრ - რევოლუციის ბელადების გავლენისაგან. ეს გავლენა, რასაკვირველია, არ არის იდეური. მას უფრო მატერიალური სარჩული აქვს. რომელიმე ქართველი ემიგრანტის მხრით კონტრ - რევოლუციისაგან გამიჯვნა ნიშნავს სტიპენდიის ან ადგილის დაკარგვას სამსახურში, დევნას და ათასგვარ ცილისწამებას. მათ აკრძალული აქვთ ყოველგვარი ურთი-ერთობა საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ქართველობასთან, რომელიც წარმოადგენს მეორე—მათ მოწინააღმდეგე ბანაკს. მათ აკრძალული აქვთ საბჭოთა ქართული გაზეთების კითხვა და წარმოიდგინეთ მიწერ - მოწერაც კი საქართველოში მყოფ თავის ნათესავებთან. კონტრრევოლუციის ტყვეობაში ჩავარდნილი, სამშობლოდან მოწყვეტილი ემიგრანტული მასის სულიერი მდგომარეობა უმწეო და შესაბრალისია. არავითარი წარმოდგენა თავის ქვეყნის მდგომარეობის შესახებ მათ არა აქვთ. მათ არაფერი სწამთ არც თავიანთი ბელადების, რომელთა სიტყვას მათ თვალშიდაც ყოველგვარი ფასი დაეკარგა. საშინელი უიმედობით და აპატიით არის შეპყრობილი მთელი ემიგრანტული მასა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი ეჩნევათ მხოლოდ იმით, რომ დრო - გამოშვებით ერთმანეთ შორის კინკლაობენ და აძაგებენ მენშევიკების მიმდევრებს — ნაციონალ დემოკრატებს, ნაციონალ - დემოკრატებისა — მენშევიკებს და ფედერალისტებს, ეს უკანასკნელნი პირველთ და ასე დაუსრულებლად.

ქართულ საბჭოთა კოლონიის მიმართ კი ყველა ეს ჯგუფები, გარეგნულად მაინც, გაერთიანებულნი არიან ერთს კონტრ - რევოლუციონურ ბანაკში, რომელიც არ ერიდება არავითარ ზომას, რომ შეავიწროვოს და დაამციროს კონტრ - რევოლუციონური ემიგრაციის ტყვეობიდან თავდაღწეული ქართველი საბჭოთა მოქალაქე.

რამიშვილის ერთგული შარკები ისევ განაგრძობენ საბჭოთა კოლონიის წევრების დასმენას საფრანგეთის პოლიციის წინაშე.

ხავსი, რომელსაც ეპოტინება ემიგრაცია

- ინგლისთან ურთიერთობის გამწვავების შემდეგ ემიგრაციის ბელადებმა კვლავ ამოძრავეს ენა: ინგლისის მეთაურობით იქმნება ევროპის სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირთან საბრძოლველადო. მაგრამ ამ პროპაგანდამ იმედ - დაკარგულ ემიგრანტულ მასაშიდაც ვერ მოიკიდა ფეხი. საქმე იმაშია, რომ ქართველი ემიგრანტები, რომელთა დიდი ნაწილი მუშაობს ფაბრიკა - ქარხნებში, კარგად იცნობენ იქაურ მუშათა სულიერ განწყობილებას, იციან, რომ ფრანგ მუშასთან ვერავინ სიტყვას ვერ დასძრავს ომის შესახებ და ისიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამგვარად საკუთარი დაკვირვება უფრო დამაჯერებელია უბრალო ემიგრანტისთვის, ვიდრე ჟორდანია - რამიშვილის მჭერმეტყველება.

უფრო „საიმედო" ხავსი, რომელსაც ეპოტინება წყალწაღებულ ნოეთა კიდობანი, ემიგრაციის ბელადების თვალში არის პარტიული უთანხმოების მოსალოდნელი გაძლიერება საკავშირო კომპარტიის რიგებში. ითხზება ათასგვარი ჭორები კომპარტიის კრიზისის შესახებ იმ მიზნით, რომ დაარწმუნონ ემიგრანტული წრეები კომპარტიის და შემდეგ საბჭოთა კავშირის აღსასრულის მოახლოვებაში. მასა იმდენად გულგატეხილია, რომ ამ ერთად - ერთი „საიმედო" ხავსის ხელის ჩაკიდების ხალისიც არა აქვს.

მუშტი - კრივი ემიგრანტების „საელჩოში"

მთლად შეარყია მენშევიკების ბელადების ავტორიტეტი ემიგრანტულ წრეებში გაზ. „კომუნისტ"-ში ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილების ხელნაწერების გამოქვეყნებამ, რომელიც ყუმბარასავით გასკდა ემიგრაციის ჭაობში. ამ საბუთების სინამდვილის უარყოფა ავტორებისათვის შეუძლებელი შეიქნა. მენშევიკები დაიბნენ, არ იცოდენ, როგორ ემართლებიათ თავი იმ ემიგრანტების წინაშე, რომლებიც მათ თავიანთ სადირექტივო წერილებში ფაშისტებათ და ქართველი ხალხის მტრებათ მონათლეს. ერთ ერთ კრებაზე ემიგრანტების „საელჩოში" რამიშვილი გალახა ალ. ასათიანმა. რამიშვილის საცემად მიიქარჩებოდა, აგრეთვე ცნობილი ჩოლოყაშვილიც. არამენშევიკი ემიგრანტები ერთხმად მოითხოვდენ რამიშვილის გაძევებას „მთავრობის" შემადგენლობიდან იმ პროვოკაციის გამო, რომელსაც ის უწყობს ქართველ ხალხს. დიდი სკანდალით და აურ-ზაურით დასრულდა ეს შეხვედრა.

ბანდიტ მერაბიშვილის პროცესი

ვეშაპელის მკვლელის ბანდიტ მერაბიშვილის პროცესზე გამოცხადდენ ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მოწმეებად მოიყვანეს რენოდელი, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წევრი მარკე, რუსი თეთრგვარდიელი პოეტი ბალმონტი, ქართველებიდან — დ. შარაშიძე, გ. გვაზავა და სხვა. მოწმეებმა სცადეს „ეროვნულ გმირად" გამოეყვანათ მერაბიშვილი, მაგრამ, როდესაც სასამართლომ გამოარკვია, რომ მერაბიშვილი არის სისხლის სამართლის დამნაშავე,—პიროვნება მეტად ბნელი წარსულით, შორს დაიჭირეს თავი და განაცხადეს: ჩვენ მერაბიშვილს არც ვიცნობთ, მაგრამ მისი უკანასკნელი მოქმედება (ე. ი. ვეშაპელის მკვლელობა) მაინც გასამართლებელიაო. პროკურორმაც კი გამოსთქვა გაკვირვება: რა აქვთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს საერთო გაუსწორებელ სისხლის სამართლის დამნაშავესთანო. რუს თეთრგვარდიელების გაზეთიც დაახლოვებით ასე ახასიათებდა მერაბიშვილის პროცესს: ეს არის ბინძურ პიროვნების ბინძური საქმეო. მიუხედავად ამისა და მიუხედავად ვეშაპელის ცოლის ინტერესების დამცველ ტორესის გამანადგურებელ სიტყვისა, სასამართლომ მერაბიშვილი გაამართლა. საფრანგეთის ბურჟუაზიული მართლმსაჯულებისაგან სხვაგვარ განაჩენის გამოტანას არ მოელოდენ არც მერაბიშვილის ერთგული მეგობრები და არც პარიზში მყოფი საბჭოთა მოქალაქენი. ასე, რომ ამ განაჩენში არავისთვის არაფერი მოულოდნელი არ ყოფილა.

ნიჟეგოროდის ბაზრობა

ნიჟეგოროდი, 9 აგვისტო. ბაზრობის თავმჯდომარემ ამხ. **მალიშევმა** განაცხადა, რომ დაძლეულ იქნება საცალო საქონლის ნაკლებობა ბაზარზე და მყიდველს არ მოუხდება მიმართოს კერძო ვაჭრებს.

საბაზრო კომიტეტი სახვაჭრობის ცალობით მოვაჭრე ორგანიზაციებს დიდ შეღავათებს აძლევს ბაზრობაზე.

ბაზრობაზე ჩამოვიდა დასავლეთ - ჩინეთის ვაჭართა კიდევ ერთი ჯგუფი 10 კაცის რაოდენობით, რომლებმაც ჩამოიტანეს ბამბა, მატყლი და ტყავეულის ნედლეული. დაიწყო საქონლის დატვირთვა დასავლეთ ჩინეთში გასაგზავნათ. (ადს).

მოსკოვი, 9 აგვისტო. რუსეთ - აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ საჭიროდ სცნო დაუყოვნებლივ იქნეს გაგზავნილი ბაზრობაზე საქონელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ამასთან დაკავშირებით პალატამ გზათა - მიმოსვლის სახ. კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ რიგს გარეშე დაეთმოს მას ვაგონები აღმოსავლეთის საქონლის დასატვირთად და გადასაგზავნად (ადს).

საბჭოთა კავშირის მრეწველობის მუშაობა 1926—27 წლის პირველ ნახევარში

(საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. მოხსენება ს. ს. რ. კ. შრომის და თავდაცვის საბჭოში)

1926—27 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის მიერ გამოშვებულია 2,6 მილიარდი მანეთის პროდუქცია, 1925—26 წლის პირველ ნახევართან შედარებით მრეწველობის პროდუქცია 19,4 პროცენტით გადიდებულა.—ნავთის, ლითონის, ელექტრო-ტეხნიკის, სატყეო, საფეიქრო და ტყავის მრეწველობათა გაფართოებამ გადააჭარბა გეგმით ნავარაუდევს.—1926—27 წლის განმავლობაში საწარმოო გეგმა სრული ასი პროცენტით იქნება შესრულებული.—შრომის ნაყოფიერება და ხელფასი.—მრეწველობის კაპიტალური სამუშაოები.

როგორც ს. მ. უ. ს. მიერ საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში არის აღნიშნული, მრეწველობის მუშაობის შედეგები მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გვიჩვენებენ, რომ გეგმით გათვალისწინებული წარმოებათა გაფართოება სავსებით შესრულებულია. პირველ ნახევარში მრეწველობამ გამოუშვა 2.585,3 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 19,4 პროცენტის ზრდას იძლევა. ამგვარად, წარმოების ფაქტიური გაფართოება ოდნავ ჩამოურჩება პროგრამით გათვალისწინებულ გაფართოებას: როგორც ცნობილია, მრეწველობის სამრეწველო-საფინანსო გეგმა 1926—27 წლისათვის ითვალისწინებდა პროდუქციის ზრდას მთელი წლის განმავლობაში 20,1 პროც., პირველ ნახევრის განმავლობაში მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმის 51,7 პროცენტი.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი საერთო კეთილდღეობა მიღწეულია გეგმით გათვალისწინებულ საწარმოო პროგრამაზე გადამეტებით მძიმე ინდუსტრიის დარგში, მაშინ, როცა **მსუბუქ ინდუსტრიაში წარმოების განვითარება ჩამოურჩება გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას.** პირველ ნახევარში მძიმე ინდუსტრიისაგან გამოშვებულია 1.228,3 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც 25,7 პროცენტით ზრდას იძლევა, წლიური გეგმით კი გათვალისწინებული იყო 23,2 პროცენტი ამავე დროს კი მსუბუქი ინდუსტრიის პროდუქცია (1357 მილიონი მანეთი) გაიზარდა მხოლოდ 14,2 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული იყო 17,4 პროცენტი. მსუბუქი ინდუსტრიის გაფართოების ტემპის შენელება გამოწვეულია მრეწველობის სახეზონო დარგების ჩამორჩენით, განსაკუთრებით შაქრის მრეწველობის, რომლის პროდუქცია მიმდინარე წლის ნახევარში შარშანდელი წლის ამავე პერიოდის პროდუქციის 85,4 პროცენტს შეადგენს. იგივე ითქმის თევზის მრეწველობაზე, რომელმაც გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოება 14,5 პროცენტით შეამცირა. სამაგიეროდ, მრეწველობის მთელ რიგ დარგებში წარმოების გაცილებით უფრო მეტი ზრდა არის შემჩნეული, ვიდრე 1926—27 წლის გეგმით იყო გათვალისწინებული: ასე, მაგალითად,—ნავთის მრეწველობის ზრდა უდრის — 28,5 პროცენტს. (გეგმით გათვალისწინებული იყო 17 პროცენტი), ლითონის მრეწველობის ზრდა —30 პროცენტი (გეგმით გათვალისწინებულია 28 პროცენტი), ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობის—34 პროც. (გათვალისწინებული იყო 25,9 პროცენტი), სატყეო მრეწველობის—39,4 პროცენტს (გათვალისწინებული იყო 22,2 პროცენტი), ბამბეულის—10,1 პროცენტს (გათვალისწინებული იყო 16,8 პროცენტი), შალეულის—16,6 პროცენტს (გათვალისწინებული იყო 13,2 პროც.), ტყავის—38,5 პროც. (გათვალისწინებული იყო 21,1 პროც.) და ა. შ.

ს. მ. უ. ს. წინასწარ გამოანგარიშებით საერთოდ **მრეწველობის საწარმოო პროგრამა მთელ 1926—27 წლის განმავლობაში მთლიანად შესრულებული იქნება სრული ასი პროცენტით, შესაძლებელია, მცირეოდენი გადამეტებითაც.** ამასთან ერთად გეგმის შესრულებას მცირე ინდუსტრიის დარგში, შეიძლება დააკლდეს 2,5 პროცენტი,—უმთავრესად იმის გამო, რომ გეგმა სრულად ვერ იქნება შესრულებული შაქრის, თევზის და ზეთის სახდელ მრეწველობაში.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში სათბობმა მრეწველობამ გამოუშვა 330,8 მილიონი მანეთის პროდუქცია (წლიური გეგმის 49,1 პროცენტი) სამთო მრეწველობამ—18,6 მილიონი მანეთის პროდუქცია (წლიური გეგმის 35,5 პროცენტი), ლითონის მრეწველობამ 468 მილიონი მან. (49,4 პროც.), ელექტროტეხნიკურმა მრეწველობამ—67,9 მილიონი მან. (50,1 პროცენტი), საამშენებლო მასალების მრეწველობამ—147,7 მილიონი მან. (42,6 პროცენტით), ქიმიურმა მრეწველობამ (რომელიც საწარმოო საშუალებებს ამზადებს)—46,4 მილიონი მან. (38,5 პროც.), საფეიქრო მრეწველობამ—687,8 მილიონი მან. (51 პროც.), ტყავის მრეწველობამ—115,2 მილიონი მან. (50,7 პროც.), ქაღალდის მრეწველობამ 31,5 მილიონი მან. (46,5 პროც.), ქიმიურმა მრეწველობამ, (რომელიც სამომხმარებლო საგნებს ამზადებს) —107,8 მილიონი მან. (48,8 პროცენტი), გემოკვების მრეწველობამ 393,5 მილიონი მან. (61 პროცენტი), და ასე შემდეგ.

მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულობის მდგომარეობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1925—26 წელთან შედარებით ნაკლებ ხელსაყრელი იყო, რამაც გავლენა იქონია შაქრის, ზეთის სახდელ, კანაფის და აგრეთვე სელის მრეწველობის საწარმოო გეგმის შესრულებაზე. სელის მრეწველობის დარგში წლის მეორე ნახევარში საჭირო იქნება ფაბრიკების შეჩერება დაახლოებით 40 დღით.

მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-ხელის რაოდენობა პირველ ნახევარში გაიზარდა 5,1 პროცენტით, გეგმით კი მოსალოდნელი იყო მთელი წლის განმავლობაში მუშა-ხელის გადიდება სულ 7 პროცენტით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მრეწველობა არ გადასცილდება გეგმის ჩარჩოებს, თუმცა ზოგიერთ დარგებში, კერძოდ ქვა-ნახშირის, შავი მეტალურგიის, ხის დამუშავების, ფაიფურის და მინის წარმოებაში მუშა-ხელის ზრდამ უკვე გადააჭარბა წლიური გეგმით გათვალისწინებულ ვარაუდს; ზოგიერთ დარგებში კი ადგილი აქვს მუშა-ხელის საკმაო სიჭარბეს, რაც უარყოფითად მოქმედობს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

გეგმით შრომის ნაყოფიერება მთელი წლის განმავლობაში უნდა გადიდებულიყო 12,6 პროცენტით. პირველ ნახევარში დამუშავება ერთ ადამიან-დღეზე გაიზარდა საშუალოდ 7,8 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული ნორმების შესასრულებლად დამუშავება მეორე ნახევარში გადიდებული უნდა იქნეს 9,9 პროცენტით პირველ ნახევართან შედარებით. წინასწარი გამოანგარიშებით წლის მეორე ნახევრის პირველ ორ თვეში შრომის ნაყოფიერება უკვე გაიზარდა 7,2 პროცენტით. ამგვარად, მეორე ნახევარში მოსალოდნელი იყო შრომის ნაყოფიერების ნორმის მიღწევა, რომ არ ყოფილიყო შეფერხებები და მუშა-ხელის სიჭარბე ზოგიერთ დარგებში. **ამიტომ შრომის ნაყოფიერების დარგში შესაძლებელია სრულად არ იქნეს მიღწეული გეგმით გათვალისწინებული ნორმები.**

თვიური ხელფასი პირველ ნახევარში გაიზარდა 7,4 პროცენტით, წლიური გეგმით კი გათვალისწინებული იყო ხელფასის ზრდა 9,9 პროცენტით მთელი წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, მსუბუქი ინდუსტრიის უმრავლეს დარგებში, ბამბეულის, ქიმიო-ფარმაცევტიული, ასანთის, მახორკის და საკანდიტრო მრეწველობის გამოკლებით, ხელფასის ზრდა პირველ ნახევარში უკვე გაუთანაბრდა გეგმით გათვალისწინებულ წლიური ხელფასის დონეს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ **ხელფასი მთელს მრეწველობაში გადააჭარბებს გეგმით გათვალისწინებულ ნორმებს.**

რაც შეეხება კაპიტალურ სამუშაოებს, მოხსენებაში მოყვანილია ზოგიერთი ცნობები მიმდინარე წელს მოსალოდნელ ზოგიერთ კაპიტალურ სამუშაოების შესახებ. განზრახულია, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში არსებულ წარმოებათა გადაკეთებაზე და გაფართოებაზე დაიხარჯოს დაახლოებით 540 მილიონი მანეთი, ე. ი. კაპიტალურ სამუშაოებზე გაღებულ თანხების დაახლოებით 57,5 პროცენტი; ახალ ქარხნებზე დაიხარჯება დაახლოებით 220 მილიონი მანეთი (22 პროცენტი), არსებულ წარმოებათა კაპიტალურ რემონტზე—112 მილიონი მანეთი (ანუ 10,5 პროცენტი), საბინაო მშენებლობაზე—100 მილიონი მანეთი (10 პროცენტი).

საერთაშორისო მდგომარეობა და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა
ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენება ქართველი ინტელიგენციის კრებაზე *)

ორი ძირითადი ფაქტორი

მოქალაქენო! მე აქ არ მოვსულვარ იმ განზრახვით, რომ ვრცელი მოხსენება გავაკეთო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ასეთი მოხსენების გაკეთება ამ კრებაზე ზედმეტად მიმაჩნია, ვინაიდან თვით ამ კრების კვალიფიკაცია გარანტია არის იმისა, რომ აქ დამსწრე პირები საკმაოდ გაცნობილნი არიან საერთაშორისო მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში საამისო მასალები ვრცლად ქვეყნდება. ამ მასალების მიხედვით ყოველივე თქვენგანს, ალბათ, უკვე შედგენილი აქვს გარკვეული წარმოდგენა დღევანდელ საერთაშორისო ვითარების შესახებ. აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ამ ვითარების შეფასებაზე. რამდენათაც ეს ასეა, მე შევჩერდები მხოლოდ ამ საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებზე და ვფიქრობ—დამსწრენი გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ამ საკითხის ირგვლივ.

მოქალაქენო! დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება ორი ძირითადი ფაქტორით: ერთია—კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთ-შორის დამოკიდებულება; მეორე—ამ კაპიტალისტურ ქვეყანათა განწყობილება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რევოლიუციის მიმართ.

უკვე 13 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს თვითმპყრობელებმა, განსაკუთრებით ინგლის-გერმანიის ბურჟუაზიამ, თავს მოახვია ქვეყნიერებას უსაშინლესი ომი. გუშინ შესრულდა 13 წელი მას შემდეგ, რაც მსოფლიო სოც. დემოკრატიამ ხმა მისცა თავიანთ ბურჟუაზიულ მთავრობებს „სამშობლოს დაცვის" საკითხში. ამნაირად დაადასტურა მან სამხედრო კრედიტები და ის მდგომარეობა, რომლითაც ეგრედ-წოდებული „სოციალისტები" გარდაიქცნენ ბურჟუაზიის ხელ-ქვეითებათ ისეთ საკითხებშიაც კი, როგორიც არის ომის საშუალებით მშრომელი ხალხის განადგურება.

და დღეს, ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ ჯამი იმ „მიღწევებისა", რაც მსოფლიო ომმა მოუტანა კაცობრიობას და გამოვარკვიოთ, შესძლო თუ არა ამ მსოფლიო ომმა მოეწესრიგებინა ის მტკივნეული საკითხები, რომელნიც ომის მიზეზს შეადგენდენ: 10 მილ. დახოცილი, 19 მილ. დასახიჩრებული, ე. ი. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის 29 მილიონი სრულებით განადგურებული, ხოლო არსებულ მტკივნეულ საკითხების კიდევ უფრო მძაფრი გამწვავება — აი მთელი „მიღწევები" ამ ომისა!

ახალი ომის საფრთხე

მაგრამ, როგორც სჩანს, მსოფლიო ბურჟუაზიისათვის კაცობრიობის მიერ გაღებული ესოდენი მსხვერპლი არ ყოფილა საკმარისი და იგი 13 წლის შემდეგ, კვლავ მისცემია ომის სამზადისს კიდევ მეტის ინტენსიობით.

მე ვფიქრობ, რომ ამ კრებაზე არ აღმოჩნდება არავინ, ვინც დაეჭვდება იმაში, რომ კაცობრიობა არასოდეს ისე ახლო არ მდგარა ომის საფრთხის წინაშე, როგორც დღეს და რომ არასოდეს არ ყოფილა ომის საშინელება ისე რეალური, როგორც მიმდინარე მომენტში. დამეთანხმებით იმაშიც, რომ დღეს მოსალოდნელი ომის მეთაური და ხელმძღვანელი არის ინგლისის ბურჟუაზია: ყველაზე უფრო ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, მომზადებული და ამავე დროს ყველაზე უფრო გაიძვერა და ვერაგი.

ინგლისის ბურჟუაზიის ასეთი მეთაურობა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის—ეს გამომდინარეობს ინგლისის ბურჟუაზიის მთელი ისტორიიდან და სწორედ ამ ბურჟუაზიის მეთაურობით აპირებს ევროპა ომს და სცდილობს ამ ომის საშუალებით საბჭოთა კავშირის განადგურებას.

ამის დასამტკიცებლად მე შემიძლია მოწმეთ მოვიყვანო ისეთი ავტორიტეტი, როგორიც არის ჟურნალ „ობსერვერის" ხელმძღვანელი ჰარვინი—კონსერვატორული ინგლისის თანამედროვე იდეოლოგი, რომელიც თავის ჟურნალის ფურცლებზე სწერს რომ, ბოლდუინ-ჩემბერლენის მთავრობა თავის პოლიტიკით კაცობრიობას უმზადებს ახალ გართულებას და ამავე მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირისადმი მიმართულია ომის გამოსაწვევადო. მე შემიძლია კიდევ დავიმოწმო ცნობილი ლოიდ-ჯორჯი: როდესაც მას უთხრეს, რომ ისეთი პოლიტიკისათვის, როგორსაც თანამედროვე კონსერვატორები აწარმოებენ, კარლოს I-ლს თავი მოკვეთესო, ლოიდ-ჯორჯმა უპასუხა: მას თავი ჰქონდა და მოკვეთეს, მაგრამ კონსერვატორებს რას მოკვეთენ, როდესაც ეს თავი არ გააჩნიათო. მისი სიტყვით ასეთი რეაქციონული პოლიტიკა ინგლისს არ უწარმოებია კარლოს I-ის შემდეგ; და თუ რას ნიშნავს, როდესაც ლოიდ-ჯორჯი უსაყვედურებს კონსერვატორებს რეაქციონულ პოლიტიკას—ეს თქვენ დასაკვენით!

დასასრულ მოვიყვან, მოქალაქენო, თქვენთვის უფრო ნაცნობ პირთა აზრს, იმ პირთა აზრს, რომელნიც ჯერ-ჯერობით ქართველ მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიისათვის კიდევ წარმოადგენენ რაღაც ავტორიტეტს, მე მოვიყვან ნოე ჟორდანია—ნოე რამიშვილის აზრს, რომლებზედაც არ შევჩერდები დიდხანს, რადგან ეს აზრები ამ უკანასკნელ დროს, ვრცლად იყო გამოქვეყნებული ჩვენს პრესაში; მოგაგონებთ, მხოლოდ, თუ რას სწერს ნოე ჟორდანია ცნობილ აბესალომს (ანუ ქარცივაძეს):

„ამ ჟამად ინგლისი ახდენს ანტისაბჭოთა ძალების თავის შეყრას. ევროპის პოლიტიკის მთავარი ღერძი აქ მარხია".

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ არც ერთი ამ მოწმეთაგანი საბჭოთა კავშირის მოტრფიალე არ არის და მე მგონია, რომ თქვენს შორის არ იქნება არავინ, ვინც რეალურად არ ხედავდეს დღეს იმ დიდ საფრთხეს, რომელსაც ევროპის ბურჟუაზია უმზადებს საბჭოთა კავშირს და მთელს მშრომელ ხალხს, ომის სახით.

რატომ მოხდა, რომ ევროპის ბურჟუაზიამ **სწორედ ეხლა** მოიწადინა ომის გამოცხადება? იმიტომ, რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი (ე. ი. კაპიტალისტური წესწყობილების კრიზისი), რომელიც არ შეწყვეტილა მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით გამწვავდა სწორედ დღეს; მეორეს მხრივ—ბურჟუაზიისა და მისი ეკონომიკის ხელმძღვანელნი საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ საბჭოთა წესწყობილებას არამც თუ შეუძლიან ეკონომიურად გაძლიერება, არამედ შეუძლიან ისეთი ჩქარი ტემპით ზრდა, რაც არ სჩვევია არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას მისი განვითარების საუკეთესო პერიოდშიაც კი რაკი ბურჟუაზიული ევროპა და, განსაკუთრებით, მისი მეთაური კონსერვატიული ინგლისი, დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელია ჩვენი ჩახრჩობა „მშვიდობიანი" მეთოდებით — ეკონომიური ომით და სხვ., დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელია აგრეთვე, საბჭოთა ხელისუფლების ბურჟუაზიული გადაგვარება (როგორც ამას მუდამ ამტკიცებდა მილიუკოვი და უცხო „მეცნიერნიც"),—მან ეხლა მოიწადინა საბოლოოდ სცადოს ბედი უკვე იარაღით ხელში, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება დღითიდღე აახლოვებს ევროპის ბურჟუაზიის აღსასრულს.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ინგლისის კონსერვატორების პირველი შეტევა: მე მოგაგონებთ თქვენ კერზონის ცნობილ ულტიმატუმს, რომლის შედეგი, რასაკვირველია, უთუოდ ომი უნდა ყოფილიყო. ის ამისათვის იყო განზრახული და თუ ეს არ მოხდა, უმთავრესად იმიტომ, რომ ინგლისის მუშათა კლასმა მკაცრი პროტესტი განუცხადა „თავის" მთავრობას და დაანახა კერზონ-ბოლდუინებს, რომ ეს პროტესტი ხუმრობა არ არის.

ჩვენი პოლიტიკა ომის საკითხში

როგორი არის ჩვენი პარტიის და მთავრობის პოლიტიკა ამ მომავალ ომის მიმართ? ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ ომისა, ჩვენი პოლიტიკა მუდამ მიმართულია ომის წინააღმდეგ და მშვიდობიანობის დასამყარებლად. რასაკვირველია ჩვენ იმიტომ კი არა ვართ ომის წინააღმდეგი, რომ „შეურიგდით" ბურჟუაზიას, ან შესაძლებლად ვთვლიდეთ ჩვენსა და მათს მუდმივ თანაარსებობას,—(ორ მოწინააღმდეგე ბანაკის ერთად პარალელურ არსებობას.— ბრძოლა ჩვენს შორის, რასაკვირველია იარსებებს მანამდე, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი არსებობს) არც იმიტომ ვართ ომის წინააღმდეგნი, რომ ბურჟუაზიის გვეშინიან და დამარცხებას მოველოდეთ, არა, სრულებითაც არა! ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ომის იმიტომ, რომ ერთის მხრივ—ჩვენ დღეს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ვიღწვით ყოველდღიურათ მშრომელი ხალხის პოლიტიკური სიმტკიცის და ეკონომიური კეთილდღეობის დასამყარებლად და ყოველგვარი ომი უთუოდ დროებით შეაჩერებს ამ ინტენსიურ მუშაობას; მეორეს მხრივ—ომი მოითხოვს დიდ მსხვერპლს სწორედ მშრომელ მასებისაგან როგორც ჩვენში, ისე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც.

ბურჟუაზიას ომი უყვარს, მაგრამ არა თავის, არამედ მშრომელთა ხარჯზე. ყოველ ომში იხოცება მშრომელი ხალხი. ჩვენს ინტერესს შეადგენს დაცვა და განვითარება ამ მშრომელ მასის და, არა მათი განადგურება! ეჭვს გარეშეა, რასაკვირველია, რომ ჩვენი პარტია მუდმივ იბრძვის კაპიტალისტურ წესწყობილების დასამხობათ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს თვით ამ ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელთა მასების თვით-გამორკვევით და მათი აქტიური რევოლიუციონური წინსვლის საშუალებით.

მაგრამ, მიუხედავათ ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკას, ომი მაინც აუცილებელი ხდება, რადგან ამ საკითხს საბოლოოდ ჩვენ კი არა ვწყვეტთ, არამედ სწყვეტს ევროპის ბურჟუაზია, მხოლოდ თუ ჯერ კიდევ ომი არ დაწყებულა და შესაძლოა არც ამ წელს მოხდეს—ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ინგლისის კონსერვატორებმა ვერ მოახერხეს ჯერ-ჯერობით თავისი გეგმები პრაქტიკულად შეუთანხმონ ევროპის დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების ინტერესებს.

ვგონებ პირველი მაგალითია ისტორიაში, რომ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა ისეთი არა დიპლომატიური წესით შესწყდეს, როგორც ეს ეხლახან მოხდა ჩვენსა და ინგლისის შორის და მას ომი დაუყოვნებლივ არ მოყოლოდეს,—ინგლისმა ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ ომი დაწყებულიყო და თუ ეს მაინც არ მოხდა, ვიმეორებ, მხოლოდ იმიტომ, რომ კონსერვატორებმა ვერ მოახერხეს ჯერ-ჯერობით შეეკრათ კაპიტალისტური ქვეყნების მტკიცე ბლოკი ჩვენს წინააღმდეგ.

ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ჩვენ ომს ვერ გამოგვიცხადებს, თუ ის ამ ომში აქტიურად არ ჩაითრევს რუმინიას და განსაკუთრებით პოლონეთს, ვინაიდან მხოლოდ ამ ორ მოსაზღვრე სახელმწიფოთ შეუძლიათ პირდაპირი იერიში მოიტანონ ჩვენს წინააღმდეგ. ინგლისმა ჯერ ვერ მოახერხა პოლონეთის სავსებით გადაბირება და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრება. ამას მოწმობს პოლონეთის საქციელი ამხ. ვოიკოვის მკვლელობის საქმეში; რა თქმა უნდა, პოლონეთმა ეს ქნა არა იმიტომ, რომ მას ომი არ უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ დღეს-დღეობით მას ეს არ შეუძლია, პოლიტიკური, ეკონომიური და მრავალ სხვა გართულებათა გამო (გაფიცვები სამრეწველო რაიონებში, ეროვნულ უმცირესობათა მღელვარება და სხვ.). ინგლისი კი საკუთარ ძალებით ომს ვერ დაიწყებს, რადგან მას საკმაო ხმელეთის ჯარი არა ყავს და მისი სამხედრო ფლოტის ძლიერებას ჩვენთან ომში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, უკიდურეს შემთხვევაში, მას შეუძლია ჩვენი სანაპირო ქალაქების დანგრევა. (მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს ზოგი რამ ისეთი, რაც ღირსეულათ დახვდება თვით ინგლისის ფლოტსაც); მეორეს მხრივ, საერთოდ, ხომ ინგლისს არასოდეს საკუთარი ძალებით არ უბრძოლია და მისი ისტორია ეს არის ისტორია ვერაგული და გაიძვერა ინტრიგების, რომლის საშუალებითაც სხვას აბრძოლებდა და აბრძოლებს ალბათ მომავალშიაც, თავის საკუთარი ინტერესებისათვის. ამ ჟამად ინგლისის კონსერვატორები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავის გეგმებს ხლართში ჩაითრიონ გერმანია, საფრანგეთი და იტალია; თუ ეს განზრახვა ჯერ-ჯერობით სისრულეში არ არის მოყვანილი, ჩვენ თვალებს ნუ ავიხვევთ, საშიშროებას პირდაპირ უნდა შევხედოთ თვალებში;—ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიის შეთანხმება არც ისე ძნელია და ამის დამამტკიცებლად გერმანიის მაგალითიც საკმარისია: ინგლისმა იგი უკვე ნახევრად ჩაითრია თავის პოლიტიკაში—გერმანიის პოლიტიკა დღეს სპეკულიაციის პოლიტიკაა; ვინც მეტს მისცემს—მისკენ წავა. აქ, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ გერმანია-ინგლისის დაახლოვება იწვევს საფრანგეთის ენერგიულ წინააღმდეგობას და ამით მის პოლიტიკას ანტი ინგლისურ მიმართულებას აძლევს.

მოკლეთ რომ მოვხაზოთ, ამ ქვეყნების განწყობილება ჩვენს წინააღმდეგ, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ევროპის ბურჟუაზიას ინგლისის კონსერვატორების მეთაურობით, ომი სურს— მაგრამ, ვერ ახერხებს მას თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ინტერესების შინა წინააღმდეგობათა გამო; მეორეს მხრივ, მიტომ, რომ ამ ქვეყნის მუშათა კლასი წინაღმდეგია ომისა და თვით „თავიანთი" მთავრობისაც და, ეს მთავრობები დღითი-დღე იძულებულნი ხდებიან სულ მეტი და მეტი ანგარიში გაუწიონ მუშათა კლასის რევოლიუციონურ განწყობილებას.

ჩვენ კი ომი არ გვინდა და მისი წინააღმდეგნი ვართ, მხოლოდ თუ ომი მაინც თავზე მოგვახვიეს, ჩვენ მას არ შეუშინდებით და მზათ ვართ ღირსეულად დავხვდეთ!

ჩინეთის რევოლიუცია

მეორე ფაქტორი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ცხოვრებაში—ეს გახლავთ ჩინეთის რევოლიუცია და კაპიტალისტური ქვეყნების მისდამი დამოკიდებულება. კაპიტალისტურ ქვეყნებს, მეტადრე ინგლისს, აქვს ჩინეთში უდიდესი ეკონომიური ინტერესები და ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვება არის არა მარტო ჩინეთის მუშებისა და გლეხების განთავისუფლება, მათი დამოუკიდებლობა, არამედ ფაქტიურად ეს იქნება თვით ინგლისის კაპიტალისტური წესწყობილების ნგრევის დასაწყისი. ამიტომ კაპიტალისტურ მთავრობათა თვალსაზრისით, ინგლისის პოლიტიკა ჩინეთის წინააღმდეგ სრულიად „ბუნებრივია"; ინგლისის, იაპონიის, ამერიკის ბურჟუაზია ებრძვიან მას ყოველგვარი ზომებით: ფულით, ტეხნიკით, პროვოკაციით, ეკონომიური ბლოკადით და სხვ. უნდა ითქვას, რომ დღეს-დღეობით ინგლისის პოლიტიკამ ჩინეთში, უთუოდ, გაიმარჯვა, და რევოლიუცია დროებით, ნაწილობრივათ დამარცხდა. ინგლისმა მოახერხა ჩინეთის ლიბერალურ და წვრილ ბურჟუაზიის თავის მხარეზე გადაბირება, როგორც ხედავთ აქ, ბურჟუაზიამ ნაციონალურ ინტერესებსაც უღალატა), ცხადია, ეს ნიშნავს რევოლიუციის ნაწილობრივ დამარცხებას და ამის სრული უარყოფა—თავის მოტყუება იქნებოდა; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის რევოლიუცია საბოლოოდ დამარცხდა. თვით ის ფაქტი, რომ გლეხმა იგემა მიწის დასაკუთრება და თავისათვის დამუშავება—საწინდარია იმისა, რომ რევოლიუციას ჩინეთში საბოლოოდ ვერ ჩაახრჩობენ.

მე მახსოვს აზერბეიჯანში, იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ორი თვის შემდეგ, ჩვენ ვერ ვაიძულებდით გლეხობას შესულიყო ბეგის მამულში და თავისათვის დაემუშავებია იგი და თუ გაბედავდა და დამუშავებდა, ჩუმათ ბეგებისათვის ღალა მაინც მიჰქონდა. ასეთი იყო ტრადიცია. აზერბეიჯანის დაჩაგრულ გლეხს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ბეგისათვის მიწის წართმევა.

კიდევ უფრო სასტიკი მდგომარეობა იყო და არის ჩინეთში. დღეს ჩინელი გლეხები ართმევენ მიწებს მემამულეებს და თავისათვის ამუშავებენ და მათი კვლავ დამონება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით შეუძლებელი არის; შეიძლება რეაქციამ გასტანოს უფრო დიდხანს, ვიდრე ჩვენ გვგონია, მაგრამ ჩინეთის ხალხის დაწყნარება უკვე შეუძლებელია. კაპიტალისტურ ქვეყნებმა შეკრიბეს ჩინეთში დიდი სამხედრო ძალა, განსაკუთრებით ფლოტი. დღეს ჩინეთში არის 200-დე სამხედრო ერთეული. მათ შორის სამოცზე მეტი დრედნოუტი. აშკარაა, რომ თვით ჩინეთისათვის მათ არ სჭირიათ შემდგარი ასეთი მძლავრი ძალა, ჩინეთის ზღვისპირა მდებარე ქალაქებს ისინი ადვილად გაუმკლავდებოდენ რამოდენიმე კრეისერითაც. ნანკინი მიანგრია ერთმა კრეისერმა, სულ ათიოდე წუთის განმავლობაში. ეს უამრავი ძალა მოკრიბეს მათ ჩინეთის ნაპირებზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ეშინიათ და არ ენდობიან ერთმანეთს. ინგლისს ეშინია ამერიკის, ამერიკას იაპონიის, იაპონიას კი ორივესი.

კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულება

შევეხოთ ორიოდე სიტყვით საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის მესამე ფაქტორს— კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულებას. არის თუ არა შეთანხმება მათ შორის და რამდენად მართალია, რომ ერთა ლიგა გამომხატველია კაცობრიობის მშვიდობიანობისა? პირიქით, ერთა ლიგა არის უკიდურესი გამოხატულება კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთ წინააღმდეგობისა, ეს არის მეტად ელასტიური იარაღი, მძლავრ სახელმწიფოთა ხელში უფრო სუსტების წინააღმდეგ, სოლიდარობის მაგივრათ კი, ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს: ინგლისი არის წინააღმდეგი ამერიკის, საფრანგეთი ებრძვის გერმანიას, იტალია საფრანგეთს, იაპონია ამერიკას და ასე განუწყვეტლივ. გაიხსენეთ დაუსრულებელი კონფერენციები განიარაღების შესახებ). დღევანდელი იტალიის აქტიური იმპერიალიზმი მოგვაგონებს გერმანეთის იმპერიალიზმის სვლასა და ვითარებას ომის წინა წლებში. დღეს, იტალიას ისევე როგორც გერმანიას 1913 წ., არ ყოფნის ბაზარი თავის გაძლიერებულ წარმოებისათვის. იტალია პირდაპირ სვამს საკითხს, რომ მასაც ერგება რამდენიმე ათი ათასი კვადრატიული კილომეტრი კოლონიები. ეს პოლიტიკა მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ. თავის თავად ცხადია, ინგლისი თავის ნებით არავის დაუთმობს არც ერთ მტკაველ კოლონიაში, მაგრამ იმავე დროს ის აქეზებს იტალიას საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგანაც ის არსებითად სიამოვნებით დააკმაყოფილებს იტალიას სხვის ხარჯზე. მაგრამ არც საფრანგეთი დაუთმობს მათ ასე ადვილად და თვით ის ფაქტი, რომ იტალიის ფაშისტები და გვარდია დასეირნობენ მის ტერიტორიაზე, თუნდაც მხოლოდ რამოდენიმე საათის განმავლობაში, საკმაოდ ნათელყოფს იმას, რომ შეთანხმება კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის არ არსებობს და პირიქით ადვილად შესაძლებელია, რომ მათ შორისაც მოხდეს შეტაკება. თუ ეს შეტაკება დღემდე არ მომხდარა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ მთავრობებს ეშინიათ საბჭოთა კავშირის, მისი განმტკიცების და გაძლიერების.

ამგვარად კვანძი ურთიერთ დამოკიდებულებისა მეტად ჩახლართულია და კაცობრიობა არასოდეს არ ყოფილა ასეთი გართულების წინაშე, არასოდეს ომის სიახლოვე არ ყოფილა ისე აშკარა, როგორც ეხლა.

ამ პირობებში ჩვენ გვიხდება ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ჩვენი პოლიტიკა მიმართულია ომის წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება. ამისაკენ მოუწოდებთ ჩვენ საზოგადოების ყველა წრეებს. აქ უპირველეს ყოვლისა ჩვენთან არის მუშათა კლასი და გლეხობა და შემდეგ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. და ჩვენ გვწამს, რომ საჭიროების დროს მართლაც შევქმნით საბჭოთა მოქალაქეების მთლიან ფრონტს კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

(დასასრული იქნება).

---

*) 5 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში.

პარტიული ცხოვრება

ქიათურის ოპოზიციის მარცხი

(წერილი ქიათურიდან)

3 აგვისტოს შესდგა ქიათურის კომორგანიზაციის სხდომა, კომკავშირის აქტივთან ერთად, კრებამ მოისმინა მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის ამხ. ლ. ღოღობერიძის შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა გააშუქა ცეკას ხაზი: ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის, ხელფასის, ინდუსტრიალიზაციის და ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის საკითხში.

მან ნათელჰყო ოპოზიციის შემცდარი შეხედულებები ამ საკითხებში, მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი: კამათში ყველაზე ჩამოფიქრებელი იყო მუშა ს. კალანდაძის გამოსვლა, რომელიც უმეტესად ეხებოდა ხელფასის გათანასწორების და მომატების აუცილებლობას.

ეს აზრი კალანდაძემ შეითვისა, როგორც მუშამ, ისეთი უპასუხისმგებლო პირებისაგან როგორიც არის გ. მათიკაშვილი, ბ. ლეჟავა, ივ. კუპატაძე და სხვები. ასე შიშვლად ამ საკითხს თვით ოპოზიციაც კი არ აყენებს, მაგრამ როგორც ადგილობრივი ქიათურის ოპოზიციის ერთ-ერთ მეთაურ მათიკაშვილის განცხადებიდან სჩანს. „მე წამოვედი, მაგრამ მუშები აჯანყდენ ჩემი წამოსვლის გამო“-ო მათი ენერგია იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი უკმაყოფილება გამოეწვიათ მუშათა მასებში და ასეთ აზრებსაც სწორედ ამიტომ ავრცელებდენ მათ შორის, შემდეგ ილაპარაკა ივანე კუპატაძემ, პ. ტყემალაძემ; ს. ცუცქირიძემ; ა. ბრეგვაძემ და სხვებმა.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა ღირსეული პასუხი გასცა ყველა ოპონენტებს, რომლებიც იცავდენ ოპოზიციის შეხედულებებს. მოხსენებამ თვალი აუხილა ზოგ პარტამხანაგებს, რომლებიც ოპოზიციას უჭერდენ მხარს. მათ აშკარად განაცხადეს, რომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ ოპოზიციასთან. რომლებიც ეწეოდა დეზორგანიზატორულ საქმიანობას და მთლიანად შეუერთდენ პარტიის ლენინურ ცეკას ხაზს.

შემდეგ ერთხმად ცხრა კაცის წინააღმდეგ მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

ს. კ. პ. (ბ) ქიათურის ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების საერთო კრებამ კომკავშირის აქტივთან ერთად მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლევან ღოღობერიძის შინაპარტიული მდგომარეობისა და ოპოზიციის მუშაობის შესახებ, კრება სავსებით იწონებს ც. კ. ხაზს როგორც პარტიის მთლიანობის საკითხში, ისე სხვა ყველა საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობასთან.

ჩვენ ვგმობთ ოპოზიციის ყოველგვარ ცდებს, მოახდინოს მთლიან ლენინურ პარტიაში განხეთქილება და შეიტანოს დეზორგანიზაცია მის რიგებში.

კრება პროტესტს აცხადებს იმ „ბელადების“ წინააღმდეგ, რომლებიც დეზორგანიზატორულ საქმიანობით განხეთქილების საფრთხის წინაშე აყენებს პარტიას.

საერთო კრება სავსებით იწონებს ც. კ. დადგენილებებს ოპოზიციის იმ „ბელადების“ წინააღმდეგ, რომლებსაც დეზორგანიზაცია შეაქვს ლენინურ პარტიაში.

კრება აღნიშნავს ქიათურის რაიკომის უოფ. მდივანის ამხ. მათითაიშვილის და პარტიის წევრის ივ. კუპატაძის პროვოკაციულ და დემაგოგიურ გამოსვლებს, (რაც გამოიხატება უპარტიო მასაში საკითხის გადატანა, ხულიგნური გამოსვლა ქუჩებში, კრების მოწვევა არა ლეგალურად რაიკომის ნებადაურთველად, კუპატაძის განცხადება, რომ ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა არ გამომჟღავნოს ოპოზიციის ბანაკში ყოფნა და სხვა). რისთვისაც ეთხოვოს სამაზრკომს და ცენტრ. კომიტეტს მიიღოს მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, მათი პარტიიდან გამორიცხვით. მით უმეტეს გამოირკვა, რომ ამხ. მათითაიშვილი იყო პარტიიდან გამორიცხული ორჯერ: ფულის გაფლანგვისათვის 1922 წელს და ინტრიგანობისათვის 1926 წელს ჯარში“, ამხ. კუპატაძე კი ქალის გაუპატიურებისათვის ლოთობისათვის და სხვა. ყოველივე ეს ნებას გვაძლევს დაბეჯითებით მოვითხოვოთ მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება.

კრება აღნიშნავს იმ დეზორგანიზაციულ პროვოკაციულ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა უკანასკნელი კვირის განმავლობაში ოპოზიცია ქიათურაში. მათი მოქმედება იყო ნამდვილი ანტიპარტიული, ნახევრად მენშევიკური და მოითხოვს ხელმძღვანელ ორგანოებიდან მიიღონ მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, კრება მოითხოვს, რომ ქიათურის ორგანიზაციაში არ ქონდეს ადგილი ასეთ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ კვირაში.

ძირს ოპოზიციის გამთიშველი მუშაობა!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

კომკავშირის გაფართოებული პლენუმი

(სენაკი)

5 აგვისტოს ქ. სენაკის ცენტრ. მუშათა კლუბში შესდგა ლ. კ. კ. სენაკის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი კომკ. თემკომების მდივნების და კომკავშირის და კომპარტიის ქ. ორგანიზაციის მონაწილეობით;

პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები, საქართველოს კომკავშირის ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგები, ს. კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტის 23 ივლისის პლენუმის შედეგები და თემკომების მუშაობის შესახებ (საინსტრუქციო მოხსენება).

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა კომკავშირის ცეკას წარმომადგენლის ამხ. გ. ჯავახიძის მოხსენება საქართველოს ცეკას უკანასკნელ პლენუმის შედეგებზე: მომხსენებელმა ვრცლად გააცნო პლენუმს საქართველოს პლენუმის მუშაობა და მისი დადგენილებანი სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც დღიურ ამოცანათაა დასახული კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე.

ამხ. ჯავახიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პლენუმის მონაწილეებმა; ისინი ხაზს უსვამდენ განსაკუთრებით ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის დაუშვებლობას და მოითხოვდენ გადამჭრელი ზომების მიღებას.

ამხ. ჯავახიძის მოხსენების გარშემო ერთხმად მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

სენაკის მაზრაში ოპოზიციის მუშაობაზე და ამ საკითხის გარშემო კ. პ. სენაკის სამკომის პლენუმის დადგენილებებზე მოსმენილ იქნა ამხ. ს. მამულიას მოხსენება. პლენუმის მონაწილენი აღშფოთებას და გულის წყრომას გამოსთქვამდენ და მოითხოვდენ სასტიკი ზომების მიღებას, იმ უპასუხისმგებლო ოპოზიციონერ ამხ. მიმართ, რომელთაც უწარმოებიათ ლენინურ პარტიის პრინციპების წინააღმდეგ მიმართული დეზორგანიზატორული მუშაობა.

პლენუმი ჩატარდა დიდის აქტივობით და სრული ერთსულოვანებით.

მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

რეზოლიუცია მიღებული ამხ. ჯავახიძის მოხსენების გამო

მოვისმინეთ რა ამხ. გ. ჯავახიძის მოხსენება საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმის შედეგებზე, სენაკის სამკომის გაფართოებული პლენუმი კომკავშირის და კომპარტიის ქალაქის ორგ. ერთად აღნიშნავს:

მთლიანად და სავსებით ვიწონებთ რა ცეკას უკანასკნელ პლენუმის ყველა დადგენილებებს, სავალდებულოდ ვსცნობთ ამ დადგენილებათა სისწორით და ურყევად ცხოვრებაში გატარებას.

მიმდინარე რთულ მომენტში როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფოები საფრთხეს უმზადებენ პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და შიგნით კი ამოძრავდენ ანტისაბჭოთა ყოველი ჯურის ნაძირალები, ჩვენ ნათლად გვესმის დღევანდელი ამოცანა-მზადება მომავალ ომისათვის.

ამ მხრივ სენაკის მაზრის ორგანიზაცია იხელმძღვანელებს რა ცეკას პლენუმის მიერ მოცემულ დირექტივებით მტკიცედ წავა წინ სოციალისტურ სახელმწიფოს დაცვისათვის მზადების საქმეში.

მაზრის ორგანიზაცია უკანასკნელ პლენუმის და კონფერენციების დადგენილებათა საფუძველზე გააგრძელებს მუშაობას იმ მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომკავშირის მიერ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის სალი მოთხოვნილებები.

აქტივის წამოყენებით და აღზრდით მუშურ და ღარიბი გლეხურ ფენებიდან და ორგანიზაციის სიწმინდის დაცვით ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი მაზრის ორგანიზაციის ლენინურ ფოლადისებურ სიმტკიცეს.

პლენუმი გამოსთქვამს უდიდეს გულისწყრომას, როგორც პარტიის, ისე კომკავშირის ოპო- რეზოლიუცია მიღებული ამხ. ს. მამუ- ზიციონერების არალეგალურ ფრაქციულ მუშაობის შესახებ, ოპოზიციის მიერ უკანასკნელად გადადგმულ საბედისწერო ნაბიჯებს ჩვენ ვაფასებთ, როგორც თავხედურ კონტრრევოლიუციონური ჯგუფების ხელისშემწყობ მოქმედებას.

ოპოზიციამ უკანასკნელი გამოსვლებით უსინდისოდ დაარღვია და უარყო ლენინურ პარტიის წმინდა ტრადიცია და პრინციპები.

მიუხედავად მათი წმინდა სოციალ-დემოკრატიულ სისინისა კომკავშირის წვრილ-ბურჟუაზიულ ორგანიზაციად გადაგვარების შესახებ, ჩვენ მტკიცედ ვიდგომებით ლენინური პარტიის და კომკავშირის უმაღლეს ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე და ყოველგვარ ოპოზიციონურ შავი ზრახვებს გახურებულ შანთით ამოვსწვავთ

ტაბიძეებისთანა უპასუხისმგებლო პირების და მაგვარის ლენინური კომკავშირი საკადრის პასუხს გასცემს.

კომკავშირის ოპოზიციონერების მიერ შექმნილი ჯგუფი ტროცკისტების სახელწოდებით ლენინურ კომკავშირის წინაშე სდგას მათი გახრწნილი ტროცკისტული-მენშევიკური სახით.

ჩვენ ბოლშევიკური სიმტკიცით დავიცავთ ლენინის სახელწოდებას და კომკავშირის სიწმინდეს ასეთი თავხედების სასტიკი დასჯით.

ძირს ოპოზიციის დამღუპველი, პარტიის გამთიშველი პოლიტიკა!

გაუმარჯოს საქართველოს ლენინურ კომკავშირის სიმტკიცეს და სიწმინდეს!

რეზოლიუცია მიღებული ამხ. ს. მამულიას მოხსენების გარშემო

ქ. კ. სენაკის მაზრკომის გაფართოებულმა პლენუმმა თემკომების მდივნებისა, კომკავშირის და კომპარტიის ქალაქის ორგანიზაციასთან ერთად მოისმინა რა ამხ. ს. მამულიას მოხსენება კ. პ. სენმაზრკომის უკანასკნელ პლენუმის დადგენებზე სენაკის მაზრაში ოპოზიციის მუშაობის შესახებ, ის აღშფოთებულია და უსაზღვრო გულისწყრომას გამოსთქვამს იმ გამხრწნელი მუშაობის გამო, რომელიც უწარმოებიათ პარტიასა და კომკავშირში ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებს პარტიის და კომკავშირის რიგებიდან.

გაფართოებული პლენუმი სავსებით იწონებს კ. პ. მაზრკომის პლენუმის დადგენილებებს—ფრაქციულად მომუშავე ამხანაგების მიმართ, რომლებიც ყოვლად დაუშვებელ გამთიშველ მუშაობას აწარმოებდენ პარტიის წინააღმდეგ. და თავიანთი რიგებში ცდილობდენ ქ. კ. წევრების დარაზმვას, გადაქონდათ რა ეს გამხრწნელი მუშაობა სხვადასხვა სახით კომკავშირის ორგანიზაციაში.

პლენუმი სავალდებულოდ სთვლის ყველა ზემოაღნიშნულ დადგენილებათა შესწავლას და მისი ცხოვრებაში გატარებას მაზრის პარტორგანიზაციასთან ერთად, რომ დაცული იქნეს ლენინური პარტიის და კომკავშირის მთლიანობა, მისი მონოლიტობა.

პლენუმი ავალებს კ. კ. მაზრკომს: სასტიკი და გადამჭრელი ზომები მიიღოს პარტიის და კომკავშირის უმაღლეს ორგანოების დადგენილებათა დამრღვევ ფრაქციულად მომუშავე ამხ. მიმართ თუ ასეთები აღმოჩნდებიან ჩვენს ორგანიზაციაში, თავის მხრივ კი მაზრის ორგანიზაციის წინაშე სახავს შემდეგ ამოცანებს:

1. მეტი ენერგიული მუშაობა, შინა საკავშირო დემოკრატიის სავსებით გატარება და ჩვენი მუშაობის ფორმების გაუმჯობესება.
2. პარტიის და კომკავშირის ორგ. უკანასკნელ პლენუმების დადგენილებათა შესწავლა და მისი ურყევად გატარება პარტ. ორგანიზაციასთან ერთად.
8. სასტიკი თვალყურის დევნება კავშირის ყველა წევრებისათვის, ორგანიზაციის გაწმენდა ყველა მერყევ ელემენტებისაგან. ფხიზლად დგომა ლენინური პარტიისა და კომკავშირის მთლიანობის სადარაჯოზე და გადამჭრელი ზომების მიღება უყოველგვარო მავნე გადახრებთან.

ძირს ლენინური პარტიის გამხრწნელი ოპოზიცია!

გაუმარჯოს პარტკომკ. მთლიანობას, მის ხელმძღვანელ საქ. კომკავშირის და კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

სანგარიშო კამპანია

(ფოთი)

ივლისის შუა რიცხვებიდან ფოთის ორგანიზაციის უჯრედებში ჩატარდა ბიუროების გადარჩევიდან განვლილ 3 თვის მუშაობის საანგარიშო კამპანია.

სანგ. მოხსენებებით და მის გარშემო კამათით შემოწმებულ იქნა, თუ რამდენად გატარდა 3 თვის სამუშაო გეგმა.

აღმოჩნდა, რომ არა ყველგან გატარებულა გეგმები სავსებით, რასაც აუცილებლად ხელს უშლიდა გეგმების ზოგადი ხასიათი და სიმრავლე.

სუსტი აღმოჩნდა ქალთა კომისიების და ორგანიზატორების მუშაობა, რაც ნაწილობრივ ქალთა განყ. ხელმძღვანელობის სისუსტეს უნდა მიეწეროს.

კომისიები (საორგ., აგიტ.) საერთოდ საჭიროებენ გამოცოცხლებას, ნიადაგი მათ სამუშაოდ დიდ უჯრედებში აუცილებლად აქვთ.

აქტივობა მოხსენებათა გარშემო და მოთხოვნა გეგმის ყველა მუხლების შესრულების იყო—მეტი, ვინემ ოდესმე.

სამეურნეო აქტივობის კონკრეტიულ აღრიცხვის მასალებს — უჯრედები დღემდე ვერ იძლევიან.

დღემდი არ სწარმოებს კამათის ჩაწერა და შეკითხვების აღრიცხვა და პარტკომში გადმოგზავნა, რაზედაც მხოლოდ ხსენ. საანგარიშო კამპანიის შემდეგ იქნა მიღებული ზომები.

გამომუშავებულ იქნა გეგმა მომავალი სამი თვის მუშაობისთვის, სამუშაოების კონკრეტიული ჩამოთვლით, რომელთა შედგენაში პარტკომის საორგ. განყ. უწევდა უშუალო ხელმძღვანელობას.

უჯრედების მიმდინარე მთავარ ამოცანად უნდა ჩაითვალოს 1) უპარტიოთა შორის მუშაობის გაფართოება, ღია კრებების უფრო გაშინაარსიანებით, 2) გასამხედროება უჯრედის მასის და მისი ჩაბმა ოსოავიაქიმის საზოგადოებაში, 3) კომკავშირზე და პიონერთა კოლექ-ზე ხელმძღვანელობის გაჯანსაღება, 4) პარტზრდის მოწესრიგება, 5) პარტ - ინფორმაციის სათანადო დონეზე დაყენება, 6) საწარმოო და დაწესებულებათა უჯრედებისათვის ბრძოლა ბიუროკრატიულ გადახრათა წინააღმდეგ და აპარატის რაციონალიზაცია - გამარტივებისათვის და სხვ.

გეგმები კომისიების და ცალკე მომუშავეთა საშუალებით განხორციელებული იქნება. მხოლოდ საჭიროა ბიუროების მხრით სწორი ხელმძღვანელობა.

ვლადი—მირ.

თავდაცვა-ავიაქიმის მესამე საქალაქო კონფერენცია

გუშინ საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა თავდაცვა-ავიაქიმის მესამე საქალაქო კონფერენცია.

ამხ. ასრიბეკოვის სიტყვა

კონფერენცია გახსნა ამხ. ასრიბეკოვმა. რომელმაც თავის მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ თავდაცვა - ავიაქიმის დღევანდელი კონფერენცია იკრიბება ისეთ პირობებში, როდესაც საბჭოთა კავშირის და, კერძოდ; თბილისის მშრომელთა მასების მთელი ყურადღება მიქცეულია მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვაზე.

კაპიტალისტური ქვეყნები ინგლისის ბურჟუაზიის მეთაურობით სცდილობენ პროვოკაციული საშუალებით ომში ჩააბან საბჭოთა კავშირი. ინგლისის ბურჟუაზია ამ მიზნით მიმართავს ყოველგვარ ზომებს. ასეთ პირობებში, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ამოცანები, რომლებიც ეკისრება ნებაყოფლობით ორგანიზაციას — თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებას, თუ ჩვენ წინეთ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მშრომელი მასების გასამხედროების საქმეს, მით უფრო საჭიროა ეს ეხლა, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში გაძლიერებული მზადებაა ომისათვის.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მოსალოდნელი ომისათვის, ჩვენი ორგანიზაცია — თავდაცვა ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოება არის მასიური ორგანიზაცია, რომელიც ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს წითელ არმიასთან ერთად საბჭოთა კავშირის თავდაცვის მოსამზადებლად და გასაძლიერებლად.

დღევანდელმა კონფერენციამ პასუხი უნდა გასცეს ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც დასმულია დღის წესრიგში გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობის გამო.

პრეზიდიუმის არჩევა

ამხ. ასრიბეკოვის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ აირჩია 15 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია და სამდივნო.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხ. რიკოვი, ვოროშილოვი; კალინინი, სტალინი, ბუხარინი; უნშლიხტი; ორჯონიკიძე და მამია ორახელაშვილი.

საერთაშორისო მდგომარეობა და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანები

ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება

შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობისა და თავდაცვა - ავიაქიმის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა კ. წ. დ. არმიის სარდალმა ამხ. ლევანდოვსკიმ.

ამხ. ლევანდოვსკის გამოჩენას ტრიბუნაზე კრება მქუხარე ტაშით ხვდება.

საერთაშორისო მდგომარეობა, სთქვა მომხსენებელმა, ხასიათდება მთელი რიგი წინააღმდეგობებით: ასეთია წინააღმდეგობა მუშათა კლასის და ბურჟუაზიის შორის, წინააღმდეგობა თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, წინააღმდეგობა მეტროპოლიებს და კოლონიებს შორის და, დასასრულ; წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირისა და დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ანუ საერთაშორისო იმპერიალიზმს შორის.

საბჭოთა კავშირის, როგორც ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა მასების გამარევოლიუციონებელი უდიდესი ფაქტორის არსებობა, მოსვენებას არ აძლევს საერთაშორისო ბურჟუაზიას. კაპიტალისტურ და ემიგრანტულ პრესაში შეუწყვეტელი კამპანია სწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კაპიტალისტური და ემიგრანტული პუბლიცისტები აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია მშვიდობიანი ცხოვრება, სანამ არსებობს საბჭოთა კავშირი, რომელიც თვით თავისი არსებობის ფაქტით გავლენას ახდენს მუშათა მასების გარევოლიუციონერებაზე. ჩვენი ზრდა და თავდაცვის გაძლიერება შიშს იწვევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. ამავე დროს კი ამ ქვეყნების მუშათა მასები რწმუნდებიან, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა შეიძლება ბურჟუაზიის გარეშედაც, რომ მუშათა კლასს თვითონ შეუძლია თავისი ცხოვრების მოწყობა ისე, როგორც ეს მას სურს. რასაკვირველია, ყველა ქვეყნების მუშები რომ ასე ფიქრობდენ, მაშინ ადვილი იქნებოდა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა მთელს მსოფლიოში, მაგრამ ამ შეგნების განვითარებას ხელს უშლის ის გარემოება რომ საერთაშორისო მენშევიზმი, ბურჟუაზიის ეს ყურმოჭრილი მონა, სცდილობს ჩააგონოს მუშათა მასებს რომ ბურჟუაზიის დაუხმარებლად შეუძლებელია სახელმწიფოს მართვა.

საერთაშორისო მდგომარეობაში ამჟამად მთავარ კვანძებად ითვლება ჩინეთი და საბჭოთა კავშირი. ჩინეთში რევოლიუციონურმა მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო რამდენიმე წლის წინად ჩინეთი წარმოადგენდა ბურთის მაგვარ რამეს, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. ეხლა კი 400 მილიონისაგან შემდგარი ეს უზარმაზარი მასა ამოძრავდა და ემუქრება კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩინეთის რევოლიუცია ამჟამად გარდატეხის პერიოდს განიცდის. ეხლა იქ მოქმედებენ სხვადასხვა გენერლები, რომელთა ზურგს უკან სდგანან კაპიტალისტური ქვეყნები, ის დროებითი დაბრკოლებები, რომლებსაც ამჟამად განიცდის ჩინეთის რევოლიუცია, ახლო მომავალში გადალახული იქნება და ჩინეთის მშრომელები გამოვლენ ნაციონალური და კლასიური განთავისუფლების ფართო გზაზე.

ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვებაზეა დამოკიდებული რევოლიუციის განვითარება აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. მაგრამ თუ ჩინეთის რევოლიუცია დამარცხდა, ეს ხელებს გაუხსნის ბურჟუაზიას მუშათა კლასის კიდევ უფრო გასაყვლეფად და ომის დასა[illegible]ბად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით იბადება საკითხი: როგორი იქნება მომავალი ომი. უნდა აღინიშნოს, რომ მომავალ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არაფერი საერთო არ ექნება 1914 წლის იმპერიალისტურ ომთან, რამდენადაც ეს ომი მიმართული იქნება მსოფლიოში პირველ მუშათა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბურჟუაზია ყოველგვარ ზომას იხმარს, რომ საშინელი სიმკაცრით ჩააქროს რევოლიუციონური მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში. მომავალ ომში არ იქნება ფრონტი და ზურგი, არამედ ომი იწარმოებს მთელს ტერიტორიაზე და მასში ჩაბმული იქნება მთელი მოსახლეობა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, თითქოს კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ტეხნიკა გაცილებით მაღლა სდგას ჩვენს ტეხნიკაზე.

მომხსენებელს მოყავს მრავალი საბუთები ამ გადაჭარბებული შეხედულების გასაბათილებლად. მას მოჰყავს ციტატები უცხოეთის სპეციალურ სამხედრო გამოცემებიდან, სადაც ბურჟუაზიული სამხედრო ავტორიტეტები აღნიშნავენ, რომ ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩით ბოლშევიკების სამხედრო ტეხნიკას ყველა დარგებში.

სამხედრო იარაღის არც ერთ სფეროში, ქვეითა ჯარი იქნება ის, თუ ცხენოსანი, არტილერია თუ ავიაცია — ჩვენ არა თუ არ ჩამოურჩებით ბურჟუაზიულ ტეხნიკას, არამედ ზოგიერთ დარგებში საგრძნობლადაც წინ უსწრებთ მათ,—ამბობს ამხ. ლევანდოვსკი.

ჩვენ ამაზე არ გვიყვარს ლაპარაკი, მაგრამ თუ ვინმე თავზე ხელაღებული გადავს ჩვენი საზღვრების გადმოლახვას, იგი პრაქტიკულად დარწმუნდება ამაში.

ამჟამად ყველა კაპიტალისტური ქვეყნები გაფაციცებით ემზადებიან ომისათვის. მთავარი მათი ამოცანაა მოამზადონ ზურგი იმ შემთხვევისათვის, თუ ომი დაიწყო. ამ მიზნით სცემენ კანონებს, რომლებითაც აკრძალულია გაფიცვები, პროფესიონალური კავშირების არსებობა და სხვა.

ამავე დროს ეწყობა სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულებაა მოსახლეობის სამხედრო მომზადება.

ასეთი ორგანიზაციები არსებობს იტალიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში და ყველა სხვა ქვეყნებში.

ასეთივე ნებაყოფლობითი ორგანიზაცია თავდაცვა - ავიაქიმის სახით არსებობს საბჭოთა კავშირშიდაც, სადაც ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 1.986.000 კაცი. ძალიან განვითარებულია ასეთი ორგანიზაციები გერმანიაში. ვერსალის ხელშეკრულების ძალით გერმანიას შეუძლია იყოლიოს მხოლოდ 100.000 ჯარის კაცი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო, გერმანიას ამ ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საშუალებით შეუძლია ბრძოლის ველზე გამოიყვანოს 6.000.000 მებრძოლი.

მომავალ ომში დიდი მნიშვნელობა ექნება ავიაციას და ბრძოლას ქიმიური საშუალებებით. ამიტომ მოსალოდნელია მტრის ჰაეროპლანების გამოჩენა ჩვენი ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებზე. აქედან გამომდინარეობს ამოცანა სამხედრო საქმე შევასწავლოთ და ბრძოლისათვის მოვამზადოთ მთელი სამოქალაქო მოსახლეობა. ამასთანავე საჭიროა ჩვენი მრეწველობა ისე იყოს მოწყობილი, რომ საჭიროების დროს მან სწრაფად შესძლოს სამხედრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გადასვლა.

მე აქ უნდა აღვნიშნო, რომ წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობა და საერთოდ სამხედრო მომზადება მნიშვნელოვნად განვითარდა და გაძლიერდა. მაგრამ მარტო წითელი არმია საკმარისი არ არის. მის გვერდით უნდა იდგეს მეორე შეიარაღებული ძალა, რომლის მომზადება შეუძლია თავდაცვა ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებას. ამ უკანასკნელმა ფართოდ უნდა განავითაროს პრაქტიკული მუშაობა, რომელსაც შეუძლია დააინტერესოს მშრომელთა ფართო მასები. მოსახლეობის გასამხედროების სათანადო ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა გამორკვეული იქნეს, თუ რამდენმა კაცმა უნდა შეისწავლოს სამხედრო საქმე ამა თუ იმ ადგილში, და ამისდა მიხედვით უნდა იქნეს შედგენილი მუშაობის პროგრამა. თავდაცვა ავიაქიმმა მშრომელთა ფართო მასებს ჯერ უნდა შეასწავლოს სამხედრო საქმე. შემდეგ უნდა გამოცადოს ისინი და, დასასრულ, მოაწყოს მანევრები.

თავდაცვა ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებას უნდა ჰყავდეს თავისი მებრძოლი რაზმები. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნენ თადარიგის მეთაურები, ხელმძღვანელებად კი შეიძლება მოწვეულ იქნენ საკადრო მეთაურები.

ამას გარდა საჭიროა ტირების გახსნა, სადაც პრაქტიკულად შეიძლება სროლის შესწავლა.

ვათავებ რა ჩემს მოხსენებას, მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა მუშათა მასების აქტივობა გასამხედროების საქმეში, ჩვენ შევქმნით ისეთ მტკიცე ორგანიზაციას და ისე გავაძლიერებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას, რომ ჩვენ[illegible] არ იქნება იმპერიალისტური სახელმწიფოების არავითარი ზრახვები.

(მქუხარე ტაში).

მთიანი ყარაბაღის ავტონომიის 4 წ. თავი

ამ.-კავკასიის ცაკის მისალმება ყარაბაღის მშრომელთ.

მთლიანი ყარაბაღის ავტონომიის 4 წ. თავის გამო, ყარაბაღის ცაკის თავმჯდომარის სახელზე ამ.-კავკ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. კასიანმა გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

მთიანი ყარაბაღის ავტონომიის ოთხი წლის თავი ოქროს ასოებით უნდა აღინიშნოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიის ფურცლებზე: ეს დღე არის საერთაშორისო სოლიდარობის იდეას გამარჯვების ნამდვილი დღესასწაული, ჩვენი ფედერაციის ყველა ეროვნებათა მშრომელების ძმობის და თანასწორობის დღესასწაული. მთიანი ყარაბახი, რომელიც მუსავატელებისა და დაშნაკელების მმართველობის დღეებში წარმოადგენდა ძმათა შორის სისხლის მღვრელი ომის ანთებულ ცეცხლს, საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში, ეროვნული საკითხის სწორი, ლენინური გადაწყვეტის ცოცხალი მაგალითი შეიქნა. მთიანი ყარაბახის ავტონომიურ ოლქის მშრომელებმა მთელი აზერბეიჯანის მუშებთან და გლეხებთან ერთად ძლივს მიიღეს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საშუალება და ნათლად გვიჩვენეს აღმშენებლობის უნარი.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი, ამიერ-კავკასიის ცაკის სახელით, რომელიც მთელი ამიერ-კავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მშრომელთა ნებისყოფას გამოხატავს მხურვალედ მისალმება მთიან ყარაბახის ავტონომიურ ოლქის მუშ[illegible] და გლეხებს ავტონომიის ოთხი წლის თავის გამო, უსურვებს მათ შემდგომ მიღწევებს დანგრეული ოლქის აღდგენის სა[illegible]

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე — კასიანი.

მზადება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავისათვის

ოქტომბრის საიუბილეო ზეიმის ჩატარებელ ცენტრალურ კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. დ. აფციაურმა ზეიმის ჩასატარებელ სამზადისის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ცენტრალური კომისიის მუშაობა უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამოცოცხლდა. კომისია დაყოფილი არის სამ სექციად — საგამომცემლო - ლიტერატურული საგიტაციო - სანახაობათა და ამნისტიის სექცია. თვითეულ ცალკე სექციებში ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი საქმიანობა:

საგამომცემლო - ლიტერატურულ კომისიას ხელმძღვანელობას უწევს ამხ. მ. კახიანი. სექციას შემუშავებული აქვს თავისი მუშაობის გეგმა და ამჟამად აწარმოებს ოთხი ბროშურის დამზადებას დღესასწაულისათვის მათი გამოცემის მიზნით. ბროშურების ბეჭდვა —იწყება 1-ლი ენკენისთვიდან. ბროშურები შეეხება საბჭოების, პარტიის, ახ. კომ. კავშირის და პროფკავშირების საქმიანობას და მათ მოღვაწეობას განვლილი 10 წლის განმავლობაში.

სანახაობათა სექციას გამომუშავებული აქვს დაწვრილებითი გეგმა ზეიმის ჩატარებისა როგორც თბილისში აგრეთვე პროვინციაში. ზეიმის დღისათვის, როგორც ამის შესახებ უკვე გამოქვეყნებული იყო, რესპ. სახ. მსახიობს ზ. ფალიაშვილს დაკვეთილი აქვს მუსიკალური კანტატის შედგენა და გამოცხადებული იქნება კონკურსი ორი პიესის წარმოსადგენად. ერთი პიესა უნდა ეხებოდეს სოფლისა და მეორე ქალაქის ცხოვრებას. თანახმად სექციის მიერ გამომუშავებულ გეგმისა, თბილისში განზრახულია ზეიმის დღეს გაიხსნას სამხატვრო ნაწარმოებთა გამოფენა, რევოლიუციონური ეპოქების დამახასიათებელ პლაკატების გამოფენა და თბილისის ყველა თეატრებში და მუშათა კლუბებში გაიმართოს რევოლიუციონური შინაარსის წარმოდგენები.

დღესასწაულების დროს სანახაობათა მოწყობის ხელმძღვანელობა, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში მინდობილი აქვს ცნობილ მხატვრებს და რეჟისორებს, სექციას ხელმძღვანელობს ამხ. მარიამ ორახელაშვილი.

ამნისტიის სექციაში ამჟამად სწარმოებს მუშაობა საიუბილეო დღესასწაულებისათვის ფართო ამნისტიის გამოსაცემად. ჯერ-ჯერობით დამუშავებულია ყველა ის ღონისძიებები, რომელთა მიღებაც საჭირო იქნება ამნისტიის პროექტის შესადგენად. სექციას ხელმძღვანელობს ამხ. ი. ვარძიელი.

გარდა ამისა, სხვადასხვა უწყებებთან კომისარიატებთან და სამრეწველო დაწესებულებებთან მოწყობილია დღესასწაულების ჩამტარებელი საუწყებო კომისიები.

იუსტიციის სახ. კომისარიატში

იუსტიციის სახ. კომისარიატში შემდგარია ცალკე საუწყებო კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ რესპუბლიკაში არსებული ყველა სახ. სასამართლოებმა ყველა ის საქმეები, რომლებიც მუშებსა და გლეხებს შეეხება, გაარჩიონ პირველ რიგში იმ მიზნით, რომ საიუბილეო დღესასწაულებისათვის ყველა ეს საქმეები გარჩეული იქნეს და მათზე გავრცელდეს ამნისტია. ამის შესახებ უკვე დაეგზავნათ მიწერილობები ადგილებზე მყოფ პროკურორებს და გამომძიებლებს.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

სხვა საუწყებო კომისიების შორის აღსანიშნავი არის მიწად მოქ. კომისარიატთან დაარსებული კომისიის მოღვაწეობა. ამ კომისიას გადაწყვეტილი აქვს საიუბილეო დღესასწაულების დროს რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში და რაიონებში მოაწყონ საცდელ-საჩვენებელი ექსკურსიები და ჩვენი სასოფლო მეურნეობის მიღწევათა გამოფენები.

ზეიმის დროს კომისარიატის მიერ მივლენილი სპეციალისტები ჩამოივლიან სოფლებს და აუხსნიან მოსახლეობას სასოფლო მეურნეობის განვითარების საშუალებებს და განუმარტავენ ყველა იმ მიღწევებს რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით, ზოგიერთ, რაიონებში განზრახულია გაიმართოს ცხენების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სხვა გამოფენები.

ავტონომიურ რესპუბლიკებში

ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებში მოწყობილია დღესასწაულების ჩამტარებელი ადგილობრივი კომისიები რომლებიც მუდმივ კონტაქტში არიან ცენტრალურ კომისიასთან, ასეთივე კომისიები არსებობენ აგრეთვე მაზრებშიაც.

ყველა ადგილობრივ კომისიებს ცენტრი უგზავნის შესაფერ მასალებს და მითითებებს, თუ როგორ უნდა აწარმოონ მათ საიუბილეო სამზადისი.

თბილისში

დღეს სადაოთაა სხვათაშორის, გადაქცეული საკითხი იმის შესახებ, თუ სად ან რა სახით უნდა ჩატარდეს თბილისში მომავალი საიუბილეო ზეიმი.

ამის შესახებ წარმოდგენილი არის სამი ვარიანტი: ერთი ვარიანტის თანახმად ზეიმი უნდა მოხდეს ზაჰესში, სადაც გამოყენებული იქნება ელექტრონის სინათლის ეფექტები და ზაჰესის სხვადასხვა ნაგებობანი — (ზაჰესის ტბა, მთავარი კაშხალი და სხვ.) მეორე ვარიანტით ზეიმის გადატანა განზრახულია ვაკეზე. აქ, ამ დროისათვის განზრახვა არის მოეწყოს ვებერთელა სტადიონი ძველ რომაულ ყაიდაზე და ამ სტადიონზე იქნება შეჯგუფებული ყველა სანახაობები, რომელთაც თავისუფლად დაინახავს მახლობელ გორაკებზე თავმოყრილი მაყურებელი საზოგადოება.

მესამე ვარიანტით ზეიმი უნდა გაიმართოს თბილისის ქუჩებში და მას მიეცეს უფრო მასიური და გრანდიოზული ხასიათი, ყველა აღნიშნულ წინადადებებს ცენტრალური კომისია განიხილავს ახლო ხანში.

დიდი სტიქიური უბედურება დასავლეთ საქართველოში

(საუბარი მთავრობის კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. ტალახაძესთან)

ნიაღვრებისაგან, სეტყვისაგან და წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალის აღსარიცხავად ამ რამდენიმე დღის წინად, სახ. კომისართა საბჭოს განკარგულებით, დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა განსაკუთრებული კომისია ამხ. ი. ტალახაძის თავმჯდომარეობით. კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობისა და სტიქიურ ზარალის შესახებ ამხ. ი. ტალახაძემ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

— სახკომსაბჭოს მიერ წყალდიდობის შესახებ ცნობების მიღებისთანავე ზუგდიდის და შორაპნის მაზრაში ამხ. ს. ჟულელის განკარგულებით გავემგზავრე მე. თან გამყვენ ა.-კავკასიისა და საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოების წარმომადგენლები—სპეციალისტი ინჟენრები. ჩვენ დავალებული გვქონდა დაგვეთვალიერებია ზუგდიდისა და შორაპნის მაზრების ყველა დაზარალებული რაიონები, აღგვერიცხა ზარალის რაოდენობა და გამოგვემუშავებია ზომები მომავალში ასეთ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად და მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

პირველ რიგში ჩვენ დავათვალიერეთ მდ. ინგურის რაიონი, მდ. ინგურმა ზუგდიდიდან 6 ვერსის მანძილზე სოფ. ცარცესთან ახლო, დაანგრია მარცხენა ნაპირას მდებარე ყველა ხელოვნური ნაგებობანი და ჯებირები, გადალახა მარცხენა ნაპირი და სრულიად დაფარა წყლით 12 კვად. ვერსის მოედანი. აღნიშნულ რაიონში დაზარალდა დაახლოვებით 700 დესეტინამდე ნათესები და ბაღები, მაგრამ ზარალი მარტო ამით არ განისაზღვრება; ადიდებულმა მდინარემ და ნიაღვარმა მოიტაცეს მრავალი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, შინაური ფრინველები, გადალეკილ იქნა ყველა ადგილობრივი საძოვრები და სხ. ისე, რომ ამ რაიონში მთელი ზარალი უდრის რამდენიმე ასეულ ათასს მანეთს. აღნიშნულ რაიონში დღესაც დგას წყალი და ზოგიერთი სახლები წყალშია მოქცეული. საბედნიეროდ, ადამიანთა მსხვერპლს ამ რაიონში ადგილი არ ჰქონია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ წყალის დავარდნისთანავე მიიღო საჭირო ზომები, რათა ხალხი გადაერჩინა კვლავ მოსალოდნელ უბედურებისაგან.

კომისიას საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები წყალით მოცულ რაიონის დასაშრობად, ახალი ჯებირების გასაკეთებლად მდ. ინგურის სანაპიროებზე და მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ინგურის რაიონის შემდეგ დათვალიერებული იქნა სოფ. ხობის რაიონი, სადაც წყალდიდობას მაინცა და მაინც ბევრი ზარალი არ მიუყენებია მოსახლეობისათვის, მაგრამ ნიაღვრების შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა მდ. ხობის მიმართულების გასწორების ,კალაპოტის გაწმენდისა და გამაგრების საკითხი. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უახლოეს დროში იქნეს შესრულებული სათანადო მუშაობა სოფ. ხობის რაიონში, რომ ამით გადავარჩინოთ წალეკვას სოფ. ხობი და ზუგდიდ-სენაკის გზატკეცილი.

კომისიამ დაათვალიერა აგრეთვე შორაპნის მაზრაში წყალდიდობისაგან ყველაზე უფრო დაზარალებული ხარაგოულ-მოლითის რაიონი. აქ ადგილი ჰქონდა არაჩვეულებრივ სეტყვასა და ნიაღვარს, რაც გაგრძელდა დაახლოვებით ნახევარი საათი, მაგრამ ისეთი სიძლიერით, რომ სანახევროდ იქნა განადგურებული 400 დესეტინამდე ნათესები და ვენახები. მოვარდნილმა ნიაღვარმა გაიტაცა რამდენიმე ათეული მუშა საქონელი, წალეკა სასოფლო შარა-გზები, მოიტაცა სამი სახლი სოფ. მოლითში და ჩამოანგრია ზოგიერთი ფერდობი ადგილები. ნიაღვრების დროს ამ რაიონში დაიღუპა ხუთი კაცი.

დასასრულ, მე მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივ ჯერ კიდევ არა აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული სახელმწიფო დაზღვევის გავრცელებას და ეს უნდა ჩაითვალოს ჩვენს დეფექტად სოფლად მუშაობის დარგში, ვინაიდან მთავრობას არა აქვს საშუალება მსგავს სტიქიურ უბედურებების შემთხვევაში მოსახლეობას გაუწიოს საკმაო დახმარება, ხოლო სახელმწიფო დაზღვევის გავრცელებით კი დაზარალებულებს შეეძლოთ აენაზღაურებიათ მთელი თავისი დანაკლისი.

ყველა იმ რაიონებში, სადაც წყალდიდობას ადგილი ჰქონდა, ადგილობრივ სათემო საბჭოებთან შემდგარია ზარალის აღმრიცხავი კომისიები, რომლებიც თავიანთ მუშაობას დაამთავრებენ 15 აგვისტოსათვის და მთელ მასალებს გადმოუგზავნიან მთავრობას.

როგორც მე გადმომცეს, ამ დღეებში მთავრობის განკარგულებით დაზარალებულ რაიონებისათვის გადაგზავნილ იქნა 2 ვაგონი სიმინდი, ერთი შორაპნისა და მეორე ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთათვის.

ამერიკელი ინჟენერი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა „სტანდარტ-ოილ“-ის მიერ ბათომში ნავთის საწმენდი ქარხნის ასაგებათ მოვლენილი ინჟენერი—ტომკინსი, რომელსაც დავალებული ჰქონდა დასწრებოდა სახ. კომისართა საბჭ. არსებულ საალმშენებლო კომიტეტის სხდომას. აღნიშნულ სხდომაზე უნდა გარჩეულიყო ბათომში „სტანდარტ-ოილის“ მიერ ნავთის საწმენდი ქარხნის აგებასთან დაკავშირებული საკითხები. ქარხნის აგების შესახებ ინჟ. ტომკინსმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— მე სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ბათომში მუშაობის განმავლობაში არ შემხვედრია ადგილობრივი ხელისუფლების მხრივ არავითარი დაბრკოლება. მთელი მუშაობის პერიოდის განმავლობაში მუშებთან ადგილი არ ჰქონია არავითარ კონფლიქტს და არ მომხდარა არც ერთი უბედური შემთხვევა, რაც უნდა მიეწეროს შრომის ზედამხედველობის საქმის კარგად დაყენებას.

ქარხანა უკვე მუშაობს ეს მეხუთე დღეა და 1-ლ სექტემბრიდან ვფიქრობთ დავიწყოთ ნავთის ჩასხმა გემებზე და შეუდგეთ გადაწმენდილი ნავთის გაზიდვას.

ქარხნის აგების ტეხნიკურ ხელმძღვანელებათ მოწვეული იყვნენ კომპანიის ინჟენრები, ხოლო მუშა-ხელი აყვანილი გვყავდა ადგილობრივ.

სამხრეთ-სლავიის სტუდენტთა დელეგაცია

წარმოება - დაწესებულებების დათვალიერება

ჩამოსვლის პირველ დღესავე დელეგაციის წევრები შეუდგენ თბილისის სხვადასხვა წარმოება - დაწესებულებათა დათვალიერებას. მათ დაათვალიერეს აგრეთვე თბილისის ზოგიერთი მუშათა კლუბები, სადაც მათ ახსნა-განმარტებას აძლევდენ ადგილობრივი მუშაკები.

ამხ. ძამანაშვილთან

10 აგვისტოს საღამოს დელეგაცია ეწვია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სადაც მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ სახ. კომისარის მოადგილე ამხ. ძამანაშვილთან. ამხ. ძამანაშვილმა დელეგაციის წევრებს გააცნო ჩვენი სასოფლო - მეურნეობის მდგომარეობა და ამ დარგში მიღწეული შედეგები.

შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა ზაჰესის დასათვალიერებლად, რასაც მათ მოანდომეს სამი საათი.

მეორე დღეს

გუშინ დელეგაციამ დაათვალიერა საქართველოს სამხატვრო გალერეია, რევოლიუციის მუზეუმი, რკინის გზის მთავარი სახელოსნოები და ქალაქის ძველი უბნები.

ნაშუადღევს დელეგაცია ესტუმრა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჟულელს.

ამხ. ს. ჟულელთან

ამხ. ს. ჟულელმა დელეგაციას გააცნო საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად საქართველოში შესწყდა ეროვნული შუღლი და დამყარდა სრული მშვიდობიანობა იმ ერთა შორის, რომლებიც მენშევიკების ბატონობის ჟამს სამკვდრო - სასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთზე გადაკიდებული.

სტუდენტობის სხდომა

საღამოს პროფკავშირთა დარბაზში გაიმართა თბილისის სტუდენტობის აქტივის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრო დელეგაცია მთელის შემადგენლობით. სხდომა გახსნა პროლეტ. სტ. ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ხოფერიამ, რომელიც მიესალმა დელეგაციის ჩამოსვლას.

შემდეგ დელეგაციას მიესალმა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენელი ამხ. კობახიძე და თბ. პოლიტ. ინსტიტუტიდან ამხ. მეფოდიევი.

მისალმებებზე უპასუხა დელეგაციის თავმჯდომარემ — დ. კრნომ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სამხედრო-სანიტარული კურსები

ახალ-სენაკი, 10 აგვისტო. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობმა საზოგადოებამ მოაწყო სამხედრო-სანიტარული კურსები. კურსებში შესვლის მსურველი აურაცხელია (ადს).

შინამრეწველობის გამოკვლევა

ახალ-სენაკი, 10 აგვისტო. სამაზრო სტატისტიკურმა განყოფილებამ დაასრულა შინა-მრეწველობის გამოკვლევა მაზრაში. გამოკვლეულია: კრამიტის წარმოება, აგურის, კალათების წნის, ქვის სვეტების და ქერაბინის წარმოება. შინა-მრეწველობაში ჩაბმულია 1472 კაცი. (ადს).

სამკურნალო პუნქტი

ახალციხე, 10 აგვისტო. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ადგილობრივ გლეხკომთან ერთად სოფ. ვარხანში ხსნის სამკურნალო პუნქტს რომლის შტატში შედის მუდმივი ბებია-ქალი. (ადს).

სამანქანო ამხანაგობა

ახალციხე, 10 აგვისტო. მოწყობილია პირველი სამანქანო ამხანაგობა. წესდება დასამტკიცებლად გადაეცა ცენტრს. ამხანაგობაში შევიდენ ღარიბი გლეხები (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

სახელმწიფო ქონების დაზღვევა

ცხინვალი, 10 აგვისტო. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა წინადადება მისცა ყველა საოლქო დაწესებულებებს, რათა თავიანთი ქონების დაზღვევა მოახდინონ თბილისის კომუნალურ ბანკის ცხინვალის განყოფილებაში.

მხარეთ-მცოდნეობის ინსტიტუტი

ცხინვალი, 10 აგვისტო. სამხრეთ-ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატის წინადადებით, ცაკმა დაადგინა გადააკეთოს სამხრეთ-ოსეთის მხარეთა-მცოდნეობის საზოგადოება, მხარეთა-მცოდნეობის ინსტიტუტად. (ადს).

აფხაზეთი

10 პროცენტიანი შერჩევითი აღწერა

სოხუმი, 11 აგვისტო. ცენტრალურმა სტატისტიკურ სამმართველომ დაასრულა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო 10 პროცენტიანი შერჩევითი აღწერა. აღწერის მიხედვით, თამბაქოს ნათესების სივრცე აფხაზეთში უდრის 10200 დესეტინას. მინდვრის და ბოსტნეულის კულტურათა ნათესების სივრცე 37 ათას დესეტინაზე მეტია, ბაღის კი 1000 დესეტინას (ადს).

წერილები

შორაპნის მაზრა

თემების გამოკვლევა

სამ-აღმასკომმა ჩაატარა მაზრაში მთელი რიგი თემების გამოკვლევა. გამოკვლევებმა დაგვანახვა თემაღმასკომების და საბჭოების მუშაობაში, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

თემებში მიმდინარეობს სხვადასხვა აღმშენებლობითი მუშაობა. მაგალითად: მუხურის თემში აიგო საექიმო პუნქტისათვის შენობა. ბოსლევის თემში მთავრდება აღმასკომის და კოოპერატივის ხუთ ოთახიანი შენობა. და სხ. აგრეთვე შეკეთებულია და გაკეთებული ძველი და ახალი ხიდები და გზები. ყველა ზემოაღნიშნული სამუშაოები გაკეთებულია გლეხების მიერ თვით დაბეგვრის საშუალებით.

მიღწევებთან ერთად არის ნაკლულევანებებიც. საბჭოებში სექციებს არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ, არიან სრულებით უმოქმედოთ, მიუხედავად მრავალი მითითებებისა და დირექტივებისა, თვითდაბეგვრა კანონიერად არ ტარდება. ზოგი საბჭოები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ამ საქმეში. სოფ. ვარძიის მცხოვრებთ მოუხდენიათ კრება, აურჩევიათ კომისია და შედგომიან ფულების აკრეფას სკოლის აგებისათვის. ამ საქმეზე თემ-აღმასკომმა არაფერი არ იცის.

ამ საქმეს შეუძლია გამოიწვიოს თემში მთელი რიგი გაუგებრობანი, ფულების გაფლანგვა და სხვა.

მთავარი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თემაღმასკომებმა, საბჭოებმა და ადგილებზე მომუშავე ყველა ამხანაგებმა, ეს არის მიწების ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელზედაც მითითება შეტანილია თითქმის ყველა თემსაბჭოების წლიურ ნაკაზში. აღმასკომები და საბჭოები ვერ ებრძვიან ასეთ მოვლენებს. ამიტომ მაზრაში ადგილი აქვს მიწების გაყიდვას. თემაღმასკომები იმართლებენ თავს იმით, რომ მათ მიერ შედგენილი ოქმები მიწების გაყიდვაზე სასამართლოში ხშირად არ დასტურდება. ეს გამოწვეულია მით, რომ სასამართლოები მიწის გაყიდვის საქმის გარჩევის დროს არ იბარებენ აღმასკომების წარმომადგენლებს, და თუ დაიბარებენ ისე, როგორც მოწმეებს. ამ გარემოებას დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება მაზრამ. და სასამართლოებს სათანადო დირექტივა მისცეს.

გამოკვლევის შედეგი მოხსენებულ იქნა სამაზრო აღმასკომის სხდომაზე და გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები.

ო. გველესიანი.

დაბა ამბროლაური, რაჭის მაზრა

ექსკურსანტები დაგვპირდნენ

15 ივლისს ამბროლაურს ესტუმრა ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის მსმენელთა ჯგუფი, გამგის ხელმძღვანელობით. დადგმულ იქნა კონცერტი ადგილობრივ სამეურნეო ტეხნიკუმის ეზოში. შესრულებულ იქნა მუსიკალური ტეხნიკუმის გამგის ილიკო აბაშიძის ლოტბარობით სხვადასხვა კილოზე ქართული სიმღერები.

კონცერტის დაწყებამდე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ქუთ. მუზეუმის გამგემ ტრიფონ ჯაფარიძემ, რომელმაც გასაგები ენით გააცნო დამსწრე მრავალრიცხოვან საზოგადოებას ქართული სიმღერების კილო და მისი ღირსება, მუსიკის წარმოშობა და მისი გავლენა.

ექსკურსიის ხელმძღვანელების ყურადღება მიიპყრო ამბროლაურის მდგომარეობამ, რომ მას არა აქვს კლუბი. კონცერტის დამთავრების შემდეგ ტრიფონ ჯაფარიძემ საზოგადოებას გამოუცხადა, რომ შემოდგომაზე ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის ჯგუფის მიერ ქუთაისში განსაკუთრებული პროგრამით დაიდგმება კონცერტი, რომლის შემოსავალიც მთლიანად წავა ამბროლაურის კლუბის სასარგებლოდ, ასეთი გულწრფელობისათვის დამსწრე საზოგადოებამ მადლობა უძღვნა ექსკურსანტებს.

გრიგოლ ბაკურაძე.

თელავის მაზრა

მეძროხეების გასაჭირი

ფშაველი გლეხები ზაფხულობით საქონელს მიერეკებიან მთაში. საქონელს მთაში ძოვნა უხდება ერთსა და იმავე დროს როგორც ტყეში, ისე ველში. საქონელი როდესაც გრილა დილა-საღამოთი სძოვს ველში, როდესაც დაცხება მიდის ტყეში. მაგრამ ტყის მცველები საქონლის გადასახადს ორნაირად გვთხოვენ თუ არ მივეცით, საქონლის გამორეკით გვემუქრებიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მცხოვრებთ მთაბარი განაწ. აქვთ სწორად და თუ ერთი მთაში წავიდა საქონელი, მეორე ბარში მყოფი მთაში წასულის ადგილს აძოვებს. საჭიროა მიწათმოქმედების კომისარიატი ამაზე ზომებს ძიიღებდეს და გარდა იმ დიდი მთებისა, სადაც ცხვრებია, სოფლელ გლეხებს გამოუნახავდეს საქონლის სულადობაზე ერთგვარ გადასახადს, რაც გლეხობას დააკმაყოფილებდა.

თუ ასე არ იქნა, დიდ არევ-დარევას გამოიწვევს ორჯერ გადასახადის გაღება.

ვანო ხევსური.

—:—

ნახუნოვოს თემი, სენაკის მაზრა

საჭიროა დახმარება

ნახუნოვო პატარა, მივარდნილი, მთა-გორიანი, მცირე მოსავლიანი და ღარიბი თემია. ადგილობრივი მცხოვრებლების პირობები აუტანელი იყო და არც დღეს არის სახარბიელო. მაგრამ ის ყოველთვის ეტანება სწავლა-განათლებას. მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გაუწია ანგარიში ჩვენი სოფლის მოთხოვნილებებს და გაუხსნა მას შვიდწლიანი შრომის სკოლა. სოფელი შეუდგა სკოლისთვის სათანადო შენობის აგებას, რომელიც ნახევრად მოთავებულია, მაგრამ გლეხობა საკუთარი ძალ-ღონით ვერ შესძლებს შენობის დამთავრებას, თუ მას მთავრობამ არ აღმოუჩინა დახმარება.

ამხ. ლავრენტი ჯანჯღავამ დაპირდა ნახუნოვოს გლეხობას სკოლისათვის ფულადი დახმარება ასი მანეთის რაოდენობით, რომელსაც ახლო მომავალში გამოუგზავნის საამშენებლო კომისიას. გლეხობა წინასწარ მადლობას უძღვნის ამხ. ჯანჯღავას.

კ. ძიძიგური.

—:—

ქვაციხის თემი, შორაპ. მაზრა

ტყე ნადგურდება

სოფ. რცხილათში 1917 წელს გლეხობამ საშინლათ გაანადგურა ტყეები. მას შემდეგ ამ ტყეებს დაუზოგველად ჩეხავენ გლეხები და ყურადღებას კი არავინ აქცევს.

საჭიროა აქ მაინც იქნეს მიღებული ზომები.

ვინმე.

წერილებიდან

სოფ. პატარძეული

ჩვენი სამკითხველო

სოფ. პატარძეულის ქოხ-სამკითხველო კარგად [illegible] ღია გარდა ორშაბათობისა. სამკითხველოს ჰყავს საბჭო, რომელიც ყოველგვარ დახმარებას უწევს სამკითხველოს. სამკითხველოს ძლიერ ცოტა ლიტერატურა აქვს. ლიტერატურის მთხოვნელი ბევრია, მაგრამ არ არის. საჭიროა მიექცეს ყურადღება ამას.

შ. ძ—ლი.

სენაკის მაზრა

როდის უნდა გატარდეს მეტრიული სისტემა

რამდენათაც ვიცი, ქალაქებში უკვე შემოღებულია ზომისა და წონის მეტრიული სისტემა, მაგრამ სოფლად კი კერძო ვაჭრები ჯერ კიდევ არშინებით და გირვანქობით ვაჭრობენ, რაც ერთგვარ არევ-დარევას იწვევს. კერძო ვაჭრებს ხშირად დიდ შეცდომაში შეყავთ გლეხები. ისინი ეუბნება გლეხებს „მეტრი და არშინი სულ ერთიაო“. გლეხობა ტყუვდება ამით. საჭიროა მეტრიული სისტემა გატარდეს, ყველასათვის სავალდებულოდ.

ალ. ბეთლემელი.

ს. პატარძეული, თბილისის მაზრა

წყალი არა გვაქვს

სოფ. პატარძეულში წყალი არ არის. ამით გლეხობა ძლიერ შეწუხებულია გლეხობა, რომ დაღლილი საქონელი წყლით დააკმაყოფილოს რიგში უნდა ჩადგეს. საჭიროა ამ სოფლისათვის წყალის გამოყვანა.

შ. შ.

ს. შუა-ამაღლება, გურია

სამკითხველოს დაარსება

სოფ. შუა-ამაღლება დიდი სოფელია და ერთ კუთხეში დაარსებული სამკითხველო მთელ სოფელს არ ყოფნის, ამიტომ ქვიშნარის კუთხის მოსახლეობამ შუამდგომლობა აღძრა, ამ კუთხეში დაარსებულიყო სამკითხველო. ამის შესახებ მოწვეული იქნა ამ კუთხის კრება, რომელმაც აირჩია კომისია რამდენიმე კაცისაგან. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და ამ დღეებში იქნება მოგვარებული სამკითხველოს საქმე.

იაშა ი. ჯიბლაძე.

ნოქალაქევი, სენაკი მაზ.

ჩვენი ინტელიგენციის საქმიანობა

ნოქალაქევის ინტელიგენცია საქმიან მუშაობას აწარმოებს კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე. გაცხოველებული მუშაობა მიდის ჩვენ კლუბში. ეწყობა ორ კვირაში ერთხელ საღამო-წარმოდგენები, რომლის შემოსავალი ხმარდება სხვადასხვა ორგანიზაციებს, როგორიცაა მაგ. თავდაცვის და ავიაქიმის წრე, კედლის გაზეთი და სხვა. სოფლის ცხოვრების ყოველ დარგში ინტელიგენციას შეაქვს თავისი წვლილი.

ა. ბეთლემელი.

დ. ჩოხატაური

თავდაცვის კვირეული

ჩოხატაურში შემავალ თემებში თავდაცვის კვირეული ბრწყინვალედ ჩატარდა. გაიმართა წარმოდგენები, ყველა თემებში მშრომელი მოსახლეობის კრებები. გლეხებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კვირეულში, რაიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი გარდა კერძო შემოწირულებებისა, ეწერებიან ავიაქიმის წევრებად.

ირ. გოგოლაძე.

სოფლის ქრონიკა

— **მისაბაძი მაგალითი.** სოფ. ვანის (ქუთ. მაზრა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ადგილობრივი სახალხო სახლის დასამთავრებლად შეაგროვონ 15 ათასი მანეთი.

— **სკოლების შესაკეთებლად** გორის სამაზრო აღმასკომმა გადადო 3800 მანეთი.

— **ბაღი.** დუშეთის აღმასკომმა გადაწყვიტა ქალაქის ცენტრში გაშენოს დიდი ბაღი.

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. ნახახულებში წითელი ჯვრის ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საექიმო პუნქტი.

— **გზა.** თელავის აღმასკომი შეუდგა ფშავეთიდან სოფ. ობილამდე ფართე გზის გაყვანას.

— **რადიო-სადგურები.** თელავის აღმასკომმა, მანგლისის მოზრდილ უბნებში მოაწყო 4 რადიო-მიმღები სადგურები.

— **ელსადგური.** სოფ. ახურში (ახალციხის მაზრა) ამუშავებული იქნა ახალი ელსადგური.

— **სოფ. ტობანიერში** სკოლის ასაგებად გლეხკომმა გადასდო 10,000 მანეთი.

შაქარი

თბილისში უკანასკნელ ხანებში აღინიშნულია ფხვნილი შაქრის ნაკლებობა. შაქრის ტრესტის ადგილობრივ წარმომადგენლობაში ამ მოვლენას დროებითად და შემთხვევითად სთვლიან. ეს მოვლენა გამოწვეულია ფხვნილი შაქრის „მომარაგების“ სურვილით და აგრეთვე იმით, რომ ფხვნილი შაქრის დიდი რაოდენობა იხარჯება მურაბების და სხვა ტკბილეულების გაკეთებაზე.

თუ რამდენად გაიზარდა ფხვნილ შაქარზე მოთხოვნილება ეს იქიდანაც სჩანს, რომ სომხეთში ივლისის განმავლობაში დაიხარჯა 700 ათასი ფუთი ფხვნილი შაქარი, წინააღმდეგ 278 ათასი ფუთისა, რომელიც ჩვეულებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენდა წინად. საქართველოში კი მოთხოვნილება 40 პროც-ით მეტია ვინემ წინად.

სექტემბერში მოსალოდნელია ახალი შაქრის დიდი მოსავალი, რაც იმდენად დიდი იქნება, რომ თავისუფლად დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება რაფინადს, შაქრის ტრესტის განკარგულებაში არსებული მარაგი საკმაოა ნოემბრამდე. ამ დროისათვის, როცა ახალი შაქრის მოსავალი შემოვა ბაზარზე, რაფინადის ძველი მარაგი მაინც არ იქნება ამოწურული.

გორის შაქარი

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ლაბორატორიაში ამჟამად სწარმოებს შაქრის ჭარხლის გამოკვლევა, რომელიც დათესილი იყო შაქრის ტრესტის მიერ გორის მაზრის საცდელ პლანტაციებზე. ამ ცდების შედეგებზეა დამოკიდებული საქართველოში შაქრის ქარხნის აგების საკითხი.

პლანტაციების გამგემ აგრონომმა რიშარმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ პირველმა გამოკვლევამ მეტად საიმედო შედეგები გამოიღო. ჭარხალმა გვიჩვენა მეტად მაღალი შაქრიანობა — დაახლოვებით 14-17 პროცენტამდი.

ეს ცნობები ჯერ კიდევ არაა საბოლოო ჭარხლის დამწიფება საცდელ პლანტაციებში ეხლა ხან დაიწყო და მისი გამოკვლევა რეგულიარულად ხდება. ჭარხლის შაქრიანობის გამოსარკვევად, საჭიროა დაახლოებით 6 ანალიზი, რომლის შემდეგ შესაძლებელი იქნება გაგება იმისი, თუ რამდენად გამოსადეგია გორის ჭარხალი წარმოებისათვის.

მეთამბაქოება

ახალციხე — ახალქალაქის მაზრებში

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკის, „სოფლის კავშირის“, შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, თამბაქოს ტრესტის და ფინსახკომის წარმომადგენლების თანდასწრებით განიხილა ახალციხე - ახალქალაქის მაზრებში მეთამბაქოებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი.

კომისიამ დაასკვნა, რომ ახალციხე - ახალქალაქის ახლანდელი თამბაქო მეტად დაბალი ხარისხის არის და ამიტომ სანამ მიწსახკომი არ გამოიკვლევს ამ მაზრების თამბაქოს რაიონებს, იქ უკეთესი ღირსების თამბაქოს კულტურის გავრცელების და მეთამბაქოეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ეხლა უფრო ძვირფასი თამბაქოს გასაღებაც კი გაძნელებულია.

რაც შეეხება ამჟამად იქ დაგროვილ თამბაქოს კასაღებას, კომისია საჭიროთ სცნობს ნება დართოს ახალქალაქის და ახალციხის მეთამბაქოე გლეხებს — თავისუფლათ გაჰყიდონ თავისი მეურნეობის თამბაქო ამავე მაზრების ფარგლებში. კომისიას საჭიროთ მიაჩნია ასეთ ნებართვის მიცემა სამი წლის ვადით, ე. ი. 1930 წლამდე.

მანამდე კი კომისიამ დაავალა მიწათმოქმედების კომისარიატს სახ. მეურნ. უმ. საბჭოსთან შეთანხმებით გაუწიოს ახალქალაქ - ახალციხის მაზრებს აგრონომიული დახმარება: მიავლინოს მაზრებში ინსტრუქტორები; გამოიკვლიოს ნიადაგის ვარგისობა; შეარჩიოს მისი თვისებების მიხედვით თამბაქოს ჯიშები; დაარსოს საცდელი მინდვრები; მიაწოდოს ამ მაზრებს კარგი ჯიშის თამბაქოს თესლი და სხვა.

ახალციხე - ახალქალაქის მაზრებში მეთამბაქოე გლეხებისთვის თამბაქოს თავისუფლად გაყიდვის ნებართვის გაცემა კომისიამ დაავალა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

მუშათა ცხოვრება

თავდაცვა და მუშათა ფართო მასები

დღეს ჩვენს წინაშე პირდაპირ წამოჭრილია საკითხი მოსახლეობის გასამხედროების შესახებ ამას გვავალებს ჩვენ ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ. კაპიტალისტური ქვეყნები ინგლისის მეთაურობით ცდილობენ ჩაითრიონ პირველი პროლეტარული სახელმწიფო ომში და ამით შეაჩერონ ის დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკები აწარმოებენ.

ეს გვავალებს ყოველი მხრით მომზადებული შევხვდეთ მტერს, თუ ის მოინდომებს თავზე მოგვახვიოს ომი. ამ საქმეში პირველ ადგილზე მუშათა მასები უნდა იქნენ. ყოველმა მუშამ უნდა შეისწავლოს იარაღის ხმარება. მუშამ უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა დაიცვას თავი მხრჩოლავ გაზებიდან. ამიტომ ის უნდა იყოს რომელიმე სამხედრო წრის წევრი, ავიაქიმის საზოგადოების წევრი.

მუშათა აქტივმა ამ მხრივ დიდი მუშაობა უნდა გასწიოს; მან უნდა ,აუხსნას ფართო მასებს დღევანდელი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, რას გვიპირდებიან ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნები და მუშათა მასების მოვალეობა პროლეტარული სახელმწიფოს დაცვის საქმეში. ერთდროული კამპანიით აქ ჩვენ ბევრს ვერას გავხდებით: საჭიროა ყოველდღიური, სისტემატიური მუშაობა მუშების ფართო ფენებში. ომის საფრთხესთან დაკავშირებით.

ყოველმა მუშამ თავის მოვალეობად უნდა გაიხადოს რამდენათაც და რითაც კი შეუძლია ხელი შეუწყოს სახელმწიფოს დაცვის საქმეს. რამდენი უფრო მომზადებული ვიქნებით, იმდენად უფრო ადვილად შევძლებთ ომის საფრთხის თავიდან აცილებას. მუშათა კლუბებმა სათანადოთ უნდა მოაწყონ სამხედრო წრეები, ოსოავიაქიმის უჯრედები და ჩააბან ამ წრეების მუშაობაში მასები.

გარდა ამისა საჭიროა, რომ ყოველმა მუშამ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავემ თავის მოვალეობად გაიხადოს რაც შეიძლება ხელი შეუწყოს შრომის ნაყოფიერების აწევას. ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებას; თვალყური ადევნოს წარმოებებში მომჭირნეობის გატარებას, დაუნდობლად ებრძოლოს ბიუროკრატიზმს, ხელი შეუწყოს რაციონალიზაციის გატარებას და სხვა. ყველაფერს ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვისათვის.

ე—ძე.

—:—

რომელია დამნაშავე?

დილის შვიდი საათი იყო, ერთ თუთუნის ქარხნის წინ რამდენიმე მუშას მოეყარათ თავი და გულიანად იცინოდნენ.

— რა ამბავია რაშია საქმე? რა ეშმაკი გაცინებთ ამ დილა ადრიან? შევეკითხე მე.

— მოდი.. მოდი კარგ ამბავს გეტყვით: გამოგადგება მასალათ მიპასუხა ერთმა.

— დილას ჩერქეზოვის ქუჩაზე ერთ მეეზოვესთვის ორი ქურდბაცაცა გადაეცა მილიციონერს, რომ კომისარიატში მიეყვანა. მოუახლოვდა მეორეს რომელიც თავის პოსტსა სდარაჯობდა და უთხრა წაიყვანე ესენი კომისარიატშიო.

— არ შემიძლიან, უპასუხებს მეორე, მე ჩემ პოსტს თავს ვერ დავანებებ. ხომ ხედავ აქ სულ სოფლის გლეხობა ვაჭრობს შეიძლება მოატყუონ ან მოპარონ რამე: ამათ ყურის გდება უნდათ თუ არა?

— როგორ თუ მე დავანებე ჩემს პოსტს თავი და ჩემ ვალდებულობას ვასრულებ. შენ არ შეგიძლიან; მე გეუბნები რომ ესენი უნდა მიიყვანო კომისართან.

— კარგად შეკამათდნენ. მათ გარშემო ხალხმა მოიყარა თავი. ბოლოს დასთანხმდა ერთი და უნდა წაეყვანა ქურდები და მიმართა, აბა რომლები არიან?

— აი ესენი. მიბრუნდა და აღარც ერთი არ დახვდათ. ორივე გაპარულიყვნენ. ორივე შეჩერდნენ ერთმანეთს

— ვისი ბრალიაო? შენი, არა შენი; ჩემი კი არა შენი. ვინ იყო ამ ორში დამნაშავე? კომისარი თუ გამოიცნობს ვინაა დამნაშავე.

ამბალი.

რისთვის აჭარბებენ

ვმუშაობთ ქ. ჭიათურის „ქართულ მარგანეცის“ გამრეცხ ქარხანაში. პირველ ივნისიდან მუშებს დაურიგეს საანგარიშო, ე. ი. დაზღვევის წიგნაკები, რომელშიდაც უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთან ერთად დაზღვეული ჩვენი ოჯახის წევრები. როდესაც მივიტანეთ დამზღვევ სალაროში წიგნაკები, გამზადებული სურათებით და მოწმობებით, შესამოწმებლად უარი გაგვიცხადეს. ასეთი მოწმობები კი არა, მეტრიკული ამონაწერები უნდა მოიტანოთო. ჩვენც ასე მოვიქეცით, ვისაც ახლოს ცხოვრობს, იმან ადვილად მოახერხა და ვინც შორს, მათ დასჭირდათ თითეულს 10—10 მანეთი სახარჯოთ (მაგალითად ოზურგეთის მაზრიდან ბევრი მუშაობს ჭიათურაში) როცა მივიტანეთ დამზღვევ სალაროში, მაშინაც უარით გაგვისტუმრეს—ჯერ არ არის გადაწყვეტილი, სად და ან ვინ უნდა შეამოწმოს ეს წიგნაკები.

გასაკვირია, რომ ამდენ ხანს ამდენი მუშების ოჯახები დაუზღვეველი არიან.

ან კიდევ რა საჭიროებას წარმოადგენს მოხუცებულ დედ-მამის და ოჯახობის მეტრიკული ამონაწერები.

საჭიროა ამ საქმის დაჩქარებით მოგვარება.

ჭიათურის მუშა რაჟდე ზღოგიტიძე.

საყურადღებო წვრილმანი

ლიტერატურული გასამართლება. რვა აგვისტოს ამხ. ს. ორჯონიკიძის კლუბში ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ მოწყობილ იქნა გ. შალიკაშვილის 4 მოქმედ. პიესის „უნიადაგონი“-ს მთავარ გმირების ლიტერატურული გასამართლება. აურაცხელი ხალხი დაესწრო გასამართლებას. მუშების ინტერესი იმდენად დიდი შეიქმნა, რომ ისინი მოვიდნენ არამც თუ ახლომახლო ადგილებიდან, არამედ მთაწმინდა ავლაბრიდანაც. 1500 მუშა-მოსამსახურე თავის ოჯახის წევრებით ძლივს ეტეოდა ბაღში. გასამართლებამ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მუშებზე. საჭიროა ასეთი გასამართლებები ხშირად მოეწყოს.

ი. ჯ.

მომატებულ ფასებში ჰყიდიან. ამას წინად გამოიცა სავალდებულო დადგენილება ე. გ. „შინა განწესრიგების წესები“. რომელიც ღირს 10 კაპ., ლენინის უბანში კი ამ წიგნს ყიდიან ზოგს 15 კაპ. და ზოგს კი 20 კაპ. ამას დროზე ბოლო მოეღოს.

მეეზოვეები სისუფთავეს არ იცავენ. არსებობს წესი, რომლის მიხედვით მეეზოვეები ვალდებულნი არიან დაიცვან სანიტარული პირობები მის პოსტზე მდებარე სახლების, მაგრამ პარკოვის, სტავროპოლის, პავლოვის და ნაწილობრივ ჩერქეზიშვილის ქუჩის მეეზოვეები ამ დადგენილებს ცხოვრებაში გატარებას გაურბიან.

მეეზოვეთა შვებულების შესახებ. მეხუთე უბნის მეეზოვეთა ადგილკომის მიერ გამოცხადებულ იქნა, რომ შვებულებაში წასულ მეეზოვის მაგიერ მიღებულ მეეზოვეს გასამრჯელო უნდა მიეცეს. აგრეთვე ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული შვებულებაში წასულ მეეზოვეს ეძლევა თუ არა შვებულების ფული.

საჭიროა ამ საქმის გამორკვევა.

მუშკორი თბილისელი.

მუშათა ქრონიკა

— **სტენოგრაფიული კურსების გახსნა** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ც. გ. ახლო მომავალში ხსნის რუსულ-ქართულ ენაზე სტენოგრაფიულ კურსებს.

— **თვითმფრინავის ასაშენებლად** ქიმიკოსთა კავშ. ც. გ. პირველ ქარხკომმა გაიღო თვითმფრინავ „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 132 მან. 90 კ. და ცეცხლმქრობელთა რაზმის ადგილკომმა 56 მან. 18 კაპ.

— **კავშირიდან გამორიცხვა.** როგორც საზინო ფულების ფლანგველი მოქ. ეგნატე არობიძე გამორიცხულ იქმნა საბჭოთა მუშაკების კავშ. ც. გ. მიერ კავშირის წევრთა რიგებიდან.

— **თათბირი,** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშ. ც. გ. 20 აგვისტოსათვის იწვევს თბილისის მაზრის სოფლად მომუშავეთა წარმომადგენლების თათბირს შემდეგი დღის წესრ. 1) სამუშაო დრო სოფლად. 2) ეკონომ. მუშაობის შესახებ და 3) კულტ. მუშაობა სოფლად.

— **მილიციის ხელფასის გამოკვლევა.** ამჟამად საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გ. შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად აწარმოებს მილიციის თანამშრომელთა ხელფასის გამოკვლევას.

— **პროფაქტივი.** ქიმიკოსთა კავშ. ც. გ. ამავე კავშირიდან თბილისის საბჭოში მისამაგრებლად 20 კაცის შემადგენლობით გამოჰყო პროფაქტიური მუშაკები.

თბილისის პროლეტარიატი

შემომაქვს 5 მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად.

ექიმი **ს. ხუნდაძე.**

—:—

შემომაქვს 10 მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად.

ნ. ტიურინი.

—:—

შემომაქვს საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად ერთი მანეთი.

თეოფანე ქაჯაია.

—:—

ამხ. დავით აჯიაშვილის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოდ შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ ამხანაგებს: **ტარასი გუნიას, ანტონ ნადარეიშვილს, ბაგრატ უჩანეიშვილს, შალვა ზოსიმეს ძე ჭანტურიას, სიმონ ივანეს ძე ცანავას, ვლადიმერ გრიგოლის ძე ჩიხლაძეს და მიხეილ ანტონის ძე კეკელიას.**

ვარლამ ლომია.

—:—

შემომაქვს **ხუთი მანეთი** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

კოტე კაკუშაძე.

—:—

ამხ. ს. ცუცქირიძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოდ შემომაქვს **5 მანეთი** და ვიწვევ ინჟინრებს პ. აბაშიძეს (ზესტაფონი), ბიჭ. ტერ-სტეპანოვს (ქუთაისი), პ. საყვარელიძეს და კოლია ნანეიშვილს („საქ. მარგანეცი"), მიწად-მომწყობთ: ერ. ლომიძეს (ქუთაისი), სევ. ნადარეიშვილს (თბილისი), გრიშა მღვდელაძეს (ზესტაფონი) და მელიტონ გაბისონიას (მუშათა და გლეხთა ინსპექცია).

ა. პ. მაქაცარია.

—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **3 მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან **არ. რუხაძეს** (სტ. ცენტ. სამმართ. მმართველი), **ბ. ჩიგოგიძეს** (მისი მოადგილე), **ვარლამ მანჯგალაძეს, შალვა შენგელაიას,** ამხ. **ან. ნადარეიშვილს** (ზუგდიდი), ამხ. **ქობალავა იპოლიტეს** (ქუთაისი), ამხ. **ქურუკაშვილს** (გორი); სენაკიდან—**ა. დგებუაძეს, იოსებ ჩიჩუას, არ. ღვამბერიას, ალ. ურიდიას, ის. კიზირიას, გრ. თევზაიას;** სვანეთიდან—**ევა ბრეგვაძეს;** რაჭიდან—**განო დალაქიშვილს;** სენაკიდან—**ფ. უჩანეიშვილს;** დუშეთიდან—**თებრო თუშიაშვილს.**

ბ. უჩანეიშვილი.

—:—

თანახმად ამხ. მაკრინე შარაბიძის გამოწვევისა, შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ **ისმაილ მოსეს ძე თევზაძეს, კუკუშკა ავალიანს, ნინა ომიაძეს, მილიცა თევზაძეს,** (ბათომიდან) **ირაკლი, არჩილ და ვახტანგ ზაქარ. ლუკაშვილებს, სონია ავალიანს** (თბილისიდან), **ელენე მოს. თევზაძისას** (ქუთაისიდან).

თამარ დავით ლუკაშვილის ასული თევზაძისა.

—:—

თანახმად ალ. საკავას გამოწვევისა შემომაქვს **სამი მანეთი** და ვიწვევ **ალექსანდრე ზამთარაძეს, აკაკი მეძმარიაშვილს, გრამიტონ შოთაძეს, სიმონ ნამიჯეიშვილს, ოლია დუნდუას, ლიუბა წვერავას, ნადია შენგელიას, დავით კანდელაკს, კოწია დუნდუას და ტარასი ჩაჩუას.**

ილია მ. თევზაძე.

ამხ. ალექსანდრე ნიჟაბაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ შემომაქვს **ხუთი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თერჯოლიდან 7 წლედის მასწავლებლებს—**მიტ. თევდორაძისას, სონა მეფარიძეს, ისიდორე ქოჩიაშვილს, მერი გურგენიძეს, ვლადიმერ მურადაშვილს,** 4 წლედის მასწავლებლებს: **კასიანე ცხადაძეს, ირაკლი ჩანთაძეს, შურა ქავთარაძეს, მედია ბარბაქაძეს და მარიამ არეშიძეს.** თერჯოლის ფ.-ტ. სააგენტოს გამგეს **ვარდენ ჯიბლაძეს,** აფთიაქის გამგეს—**ქიქიკო საყვარელიძეს, ექიმ ლევან არუთინოვს და ბებია-ქალს ანა ესაკიას.**

ვლადიმერ ნემსიწვერიძე.

—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კურორტ წყალტუბოდან— **ივანე ლექვთაძეს, რაჟდენ ჩიხლაძეს, პარმენ გრიგორაშვილს, ვარდენ გურეშიძეს, სარდიონ სინოურიძეს, აკაკი კუჭავას, ბაგრატ ბობოხიძეს, ბესარიონ ქართსანიძეს, ერისტო გურეშიძეს, იაკობ შვანგირაძეს, პლატონ თუთბერიძეს, ვლადიმერ ქუთათელაძეს და პოლიკარპე კინწურაშვილს.**

დომენტი უგლავა.

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ვ. გელაშვილს, ბაბლიძეს, ს. პაპუაშვილს, ალ. თურაზაშვილს, ლეინაშვილს, ღონღაძეს** (ა. ლ. ქ. ქ. გოროს მაზრკომიდან), **მ. ჯანჯალაშვილს, ირ. მითაიშვილს, პ. ბრიანსკს და ბ. მირზოშვილს.**

წით. არმიელი **ბ. კუხალეიშვილი.**

—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოთ ი. ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს **ხუთი მანეთი** და ვიწვევ ზუგდიდიდან შემდეგ ამხანაგებს: **ილია ხაზალიას, ალი დავითიანს, იოსებ ქარცივაძეს და კოლია სოხაძეს.**

პავლე ჭანია.

—

ს. შურღაიას, ლ. ნადარეიშვილის, პ. კორთხონჯიას და ქსენია აფაქიძეს გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **სამი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხ.: **კ. ციმინტიას, ოლია დემურიშვილს, კ. ჩაჩავას, ლაზარტყავას** და აფხაზეთის, ბათომის, ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთის, ზუგდიდის დამზღვევ სალაროების ყველა მდივნებს.

თ. სარია.

—

ამხ. ს. შურღაიას, ლ. ნადარეიშვილის, პ. კორთხონჯიას და ქ. აფაქიძეს გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **სამი მანეთი** და ვიწვევ შემდეგი ამხ. სენაკის სამაზმასკომიდან—**ს. კილასონიას,** საგადასახადო ინსპექციიდან **კაპიტონ კალანდარიშვილს,** სამპარტკომიდან **მორცხულავას,** ინფორპუნქტიდან—**გაბისონიას,** გამასწორებელი სახლიდან—**მიხა ჯანელიძეს,** ხაზინიდან **ორესტი გეგენავას და ლეონ გრიგოლიას.**

კაპიტონ გოგია.

—

დღეს შემოვიდა 56 მანეთი.

სულ შემოვიდა 6.532 მან. 82 კაპ. და ერთი მაჯის ოქროს საათი.

ქრონიკა

კავშირიდან გამორიცხვა

საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის მიერ კავშირიდან გამორიცხული არიან:

თავქელიშვილი რომან, იოსალაშვილი ალექ., მესხი დავით: გრიგორიევი გრიგოლ (გამორიცხული არიან საკავშირო თანხების გაფლანგვისათვის). ჯიყოევი ნიკოლოზ (როგორც მესაკუთრე), კუზიანი დიმიტრი (როგორც მესაკუთრე), ამაშუყელი გერასიმე და არომელიძე ეგნატე (გაფლანგვისათვის), მურადოვი ნიკოლოზი (ქრთამისათვის), ოგანეზოვი ერვანდ (როგორც კერძო სავაჭროს მონაწილე) და სოხაძე არჩილ და სოხაძე პორფილე (საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მაღაზიებიდან საქონლის სისტემატიურად გატანისა და კერძო ვაჭრებზე გაყიდვისათვის).

ელეონორა სტინესის გამგზავრება

11 აგვისტოს თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრენ გერმანელი მოგზაურები ელეონორა სტინესის მეთაურობით, რომლებიც ავტომობილებით მოგზაურობენ დედამიწის გარშემო. თბილისიდან ელეონორა სტინესი თავისი მხლებლებით მიემგზავრება საქართველოს სამხედრო გზით როსტოვ - მოსკოვში. იქიდან კი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ციმბირზე გავლით ჩინეთში და იაპონიაში.

1925—26 წლის საბალანსო კამპანია

ა-კ. ფინსახკომმა დაასრულა ამიერ-კავკასიაში 1925—26 წლის საბალანსო კამპანია.

საერთო ბალანსი შეადგენს 89.904.838 მან. 82 კაპ. ამ თანხიდან ნახევარზე მეტი ეკუთვნის ამიერ - კავკასიის მებამბეობის კომიტეტს.

ახალი ელექტრომუშაკები

ელექტრო ქსელის გაფართოებამ გამოიწვია ელექტრო-მუშაკების, კერძოდ, კარგად მომზადებული ელექტრო მანტიორების დიდი საჭიროება. „ტელმს"-ის მიერ მოწყობილია სპეციალური სკოლა ელექტრო მანტიორების მოსამზადებლად. სკოლა ექვს თვიანია. მეცადინეობს 30 მოწაფე, რომელნიც გამოწვეულნი არიან სადგურებზე და ხაზზე მომუშავე მუშებიდან. განზრახულია მეცადინეობა სკოლაში ექვსი თვის მაგივრად გაგრძელდეს ცხრა თვეს.

თავდაცვის ფონდში

თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად საქართველოს პროფკავშირების მიერ შეგროვებულია 9495 მან., ახალქალაქში შეკრებილია—1800 მან. ქუთაისში—1400 მან. მანგლისში—468 მან.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის მე-2 რაისაბჭოს მიერ შეკრებილია 10000 მანეთამდე, მე-3 რაისაბჭოში ჯერ-ჯერობით შემოსულია 544 მანეთი. ამ რაიონის ერთ-ერთ- უჯრედის მიერ სახელმწიფო ბანკში შეტანილია—640 მანეთი. საჯინმრეწვის მიერ შეკრებილია—1500 მანეთამდე. გრძელდება ფულის მიღება.

მტრედების გამოფენა

დღეს, საღამოს 5 საათზე, წითელ-არმიის და ფლოტის კლუბში მოხდება მტრედების გამოფენის საზეიმო გახსნა.

გამოფენის გახსნის წინ გაიმართება საზეიმო

კირის ქარხანა ქუთაისში

ქუთაისში მოწამეთის რაიონში შეუდგენ კირის ახალ ქარხნის აგებას. ქარხნის აგება დაჯდება 300 ათასი მანეთი.

წინასწარი გამოანგარიშებით, ახალ ქარხანაში გამომუშავებული კირი გაიყიდება ფუთი 20 კ., ე. ი. ნახევარჯერ უფრო იაფად, ვიდრე იყიდება დღეს ქუთაისში.

თბილისის ალმასკომში

◆ **კანალიზაცია.** დაიწყო კანალიზაციის გაყვანა ნადიროვკაში.

◆ **საკანალიზაციო გადასახადი** შემცირებული იქნება მომავალ საბიუჯეტო წლიდან, გადასახადიდან შემოსული თანხა მოხმარდება ახალი კანალიზაციის გაყვანას.

◆ **ნატახტარის და ბულუჩაურის** წყაროების საბოლოო გამოკვლევა დასრულდება ოქტომბრისათვის.

◆ **შინა-მრეწველობის ხელოსანთა კლუბს** ალმასკომის დადგენილებით მიენიჭა სხვა მუშათა კლუბებზე გავრცელებული შეღავათი კომუნალურ გადასახადში.

◆ **ალზულალის წისქვილის** შესაკეთებლად გადადებულია 1130 მანეთი.

განათლების კომისარიატში

◆ **საფეიქრო ტეხნიკუმი.** ქიმიურ ტეხნიკუმთან მომავალ სასწავლო წლიდან გაიხსნება საფეიქრო ტეხნიკუმი.

◆ **ინსტრუქტორები.** მომავალ სასწავლო წლიდან ყოველ 50 სკოლაზე დაინიშნება თითო ინსტრუქტორი.

◆ **სტენოგრაფიული კურსები.** ახლო მომავალში გაიხსნება სტენოგრაფიული კურსები რუსულ-ქართულ ენებზე.

◆ **სახ. უნივერსიტეტის** აგრონომიულ ფაკულტეტთან მომავალ სასწავლო წლიდან განზრახულია დაარსდეს მეაბრეშუმეობის სპეციალური კათედრა.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **მილიციელთა ხელფასის გამოკვლევა.** შრომის სახ. კომისარიატი შეუდგა მილიციელთა ხელფასის გამოკვლევას.

◆ **თათბირი.** დღეს შრ. კომისარიატში შესდგება თათბირი, რომელიც გამოიმუშავებს მელიფონეთათვის და ტრანსპორტზე მომუშავეებისათვის სპეცტანისამოსის ახალ ნორმებს.

◆ **დაჯარიმება.** უკანასკნელი ერთი კვირას განმავლობაში ზედმეტი საათებში მუშაობისათვის დაჯარიმებული იქნა 10 სახელმწიფო და საზ. დაწესებულებების ადმინისტრაცია.

◆ **შრომის კანონების დარღვევისათვის** ბათომში დაჯარიმებული იქნა 16 კერძო და სახ. დაწესებულებების ადმინისტრაცია.

◆ **საზოგადო სამუშაოების** მოსაწყობად აფხაზეთში გადადებულია 6720 მანეთი.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **დახმარება.** საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-მ გადასწყვიტა გურიის ჩაის მეურნეებს მისცეს დამატებითი დახმარება მეურნეობათა გასაფართოებლად.

◆ **ჯიშიანი ქათმები.** მიწსახკომმა მაზრებში არსებულ საჩვენებელ მეურნეობებს დაუნაწილა მოსკოვიდან მიღებული ჯიშიანი ქათმები.

◆ **ახალი ქარხანა.** ქუთაისში შეუდგენ აბრეშუმის ძაფის სახვევ ახალი ქარხნის აგებას.

ჯანსახკომში

◆ **აფთიაქი.** ჯანსახკომმა თელავის მაზრის სოფ. ქვემო-ალვანში გახსნა აფთიაქი და საექიმო პუნქტები.

◆ **საექიმო რაზმები.** აღმოსავლეთ საქართველოდან დაბრუნდა საექიმო რაზმები, რომლებიც მოსახლეობას უწევდენ უფასო საექიმო დახმარებას.

◆ **სასწრაფო საექიმო დახმარების** გასაადვილებლად ჯანსახკომმა შეიძინა 3 ავტომობილი.

სხვადასხვა

◆ **„საქართველოს ეკონომისტი".** გამოვიდა „საქართველოს ეკონომისტი"-ს № 7 (11). შინაარსი: ინჟ. **გ. ედიბერიძე**—ტყვარჩელის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა. **სპ. ჩომახიძე**—აბრეშუმის სისტანდარტო-საკონდიციო სადგურის დაარსებისათვის, **ალ. ჟუმბურიძე**—ჩვენი მეთამბაქოეობის განვითარების ახალი პირობები, **ივ. ნარსია**—ა.-კ. საგარეო ვაჭრობა, **ნ. აბესაძე**—როგორ იქნა შესრულებული დავალება, **არჩ. გოკიელი**—დაბეგვრის სოციალ-კლასიური საფუძვლები ჩვენში; **ნ. ქოიავა**—საქართველოს საფინანსო მეურნეობა, **დ. თოფურიძე**—კერძო კაპიტალი და საურთიერთო ნდობის საზ-ბანი, **გ. გოგილაძე**—საქართველოს მიწის ფონდი, **ს. ქვარიანი**—სამგორის ველის მორწყვის მნიშვნელობა, **ა. ავაქიანი**—წალკის რაიონის სარძეო მეურნეობა; პრესა, უცხოეთი, ინფორმაცია, ბიბლიოგრაფია.

◆ **სესია.** 24 აგვისტოს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში მოწვეულია წყალთა მეურნეობის ტეხნიკურ ძალების სესია.

შემთხვევები

◆ **ბავშვის გვამი.** წითელ მიწის ქ. № 29 'ასხლის მახლობლად აღმოჩენილი იქნა ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი (დედრობითი სქესის).

◆ **ბაღ „არტო"-ში** 10 აგვისტოს დანით დასჭრეს ნიკოლოზ ანზორაძე; დამნაშავენი ირაკლი ივანიძე, ბაგდან აჭაქოვი და ბაგრატ ქუთათელაძე შეპყრობილნი არიან.

◆ **პუშკინის ქუჩაზე.** ვალენტინა ცენტუროვს ჯიბიდან ამოაცალეს 25 მან. ღირებული საათი.

◆ **საათი ბრილიანტებით.** პლეხ. პრ. № 102 ვალენტინ ალსპექტორის ბინიდან მოიპარეს ქალის ოქროს საათი ირგვლივ ბრილიანტებ შემოსხმული, ღირებული 400 მანეთად.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 10 აგვ. კამოს ქ. № 52 რევაზ ციციშვილის ბინიდან მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

◆ ამავე დღეს გოგოლევის ქ. № 68 გაქურდეს ევგენ გოჩალეიშვილის ბინა.

◆ ამავე დღეს კოოპერატივის ქ. № 14 გაქურდეს პელაგია ბერძენიშვილის ბინა. წაიღეს 450 მანეთის ნივთები.

ხელოვნების ქრონიკა

— **ავლაბრის თეატრი.** თბ. ალმასკომი შეუდგა ავლაბრის მუშათა თეატრის და კინოს პროექტების განხილვას.

—**ბალეტის საღამო.** მედსახშრომის კლუბში დღეს გაიმართება დიდი საბალეტო საღამო.

— **საბჭოთა და სავაჭრო** მუშაკთა კლუბში დღეს გაიმართება სომხური წარმოდგენა.

— **„რაც გინახავს".** დღეს მუშათა ახალ კლუბში წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს ვეღარ ნახავ".

— **„მაღაროელი"-ს საღამო.** დღეს პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში გაიმართება ჭიათურის სატირის თეატრის „მაღაროელი"-ს საღამო.

დღეს კინოებში

დარბაზი—„ბოროტმოქმედების დაღი".
აპოლოში—„ოკეანის მონები".
მინიონში—„გარიყული გემი".
პალასში—„ნელი მანხატანიდან".
ეთერში—„ქალაქის ძახილზე".

სასამართლო

საზიზღარი მკვლელობა

რამოდენიმე ხნის წინად სოფ. ახმეტაში (თელავის მაზრა) აღმოჩენილი იქნა მოკლული ქალის **მინადორა სალავიოვას** (35 წლისა) გვამი.

ადგილობრივი დათვალიერებით გამოირკვა, რომ მკვლელობა მომხდარა თვით სალავიოვას ოჯახში. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ მილიციის და სასამართლოს წარმომადგენლები.

საექიმო შემოწმებით ადგილი ჰქონია საზიზღარ მკვლელობას: ბოროტმოქმედს ჯერ უცემია ქალისათვის, დაუსისხლიანებია პირის სახე, უთრევია თმით და შემდეგ მახვილი იარაღით ტანზე მიუყენებია 33-მდე ჭრილობა. ნახევრად ცოცხალ-მკვდარ ქალისათვის თავი დაუჭირებია ყელზე და პირი გამოუსია გაზეთის ქაღალდით ასეთი წვალების შემდეგ იგი დაჩით მოუკლავს.

საგამომძიებლო ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მკვლელობა ჩადენილია მოკლულის მეზობლის **ფირუზ სარქისოვის** (52 წლისა) მიერ. სარქისოვი მაშინვე დააპატიმრეს, მაგრამ ის არ გამოტყდა დანაშაულში.

მეზობლები, დაახლოებით 60 კაცამდე გადაჭრით ამბობდენ, რომ მკვლელობა ჩადენილია სარქისოვის მიერ.

კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში სარქისოვს სქესობრივი კავშირი ჰქონია სალავიოვას ქალთან ძალდატანებით. ქალს ქმარი და შვილებიც ჰყავდა. სალავიოვა ემუდარებოდა სარქისოვს ჩამოშორებოდა მას.

— „მეზობლებმა იციან ჩვენი ურთიერთობის შესახებ, ქმარი და შვილები გაიგებენ და დამანებე თავიო".

სარქისოვი უპასუხებდა:

— „თუ ჩემთან კავშირს გასწყვეტ, ჯერ შენ მოგკლავ და შემდეგ—შენ ქმარსა და შვილებსაცო".

გავიდა ხანი. სალავიოვას ქალი ჩამოშორდა სარქისოვს. ამან ეს უკანასკნელი გააფრაზა და გადასწყვიტა შური ეძია ქალზე. არ გასულა დიდი ხანი, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

დადასტურდა ის გარემოება, რომ სარქისოვმა სალავიოვას ქალი გოჭების აყვირების საშუალებით, ღამით მიიტყუილა საღორესთან და მოჰკლა.

გარდა ამისა, სარქისოვმა გამსახლში ყოფნის დროს მოისყიდა პატიმარი **ყაზირ ამირხანაშვილი** (18 წლისა) ისარგებლა მისი გაუნათლებლობით და დაავალა მას სალავიოვას მკვლელობა აეღო თავის თავზე. ის ამირხანაშვილს ელაპარაკებოდა:

—„ნუ გეშინია, მკვლელობისათვის სასჯელი მცირეა და გამსახლიდან ადრე გაგანთავისუფლებენო".

ამირხანაშვილი დასთანხმდა და განუცხადა გამომძიებელს:

— „მე მოვკალი სალავიოვას ქალი და ღირსი ვარ სასჯელისო".

გამოძიებით გამოირკვა, რომ ყოველივე ეს სარქისოვის ხრიკები იყო.

გლეხების თხოვნით საქმე ამ დღეებში გაირჩა ადგილობრივად—აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიის მიერ ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით.

სხდომა გაიხსნა ცის ქვეშ, რადგან სასამართლოს პროცესზე დიდძალი გლეხობა გამოცხადდა.

ბრალს სდებდა პროკურორი **ხ. ქავთარაძე,** ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **ი. ბარათაშვილი.**

ბრალდებულმა სასამართლოში თავი არ სცნო დამნაშავედ.

სასამართლოს სხდომა გაგრძელდა სამ დღეს: მიუხედავად ცუდი ამინდისა ინტერესით უსმენ და გლეხობა სასამართლოს კვლევა-ძიებას.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

სარქისოვს მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხასტიკი იზოლიაციით.

კ—ა.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგ კამერის დარბაზი გაჭედილია ხალხით.

საბრალმდებლო სკამზე დამშვიდებულად ზის **დანიელ ანდრიასძე—ბოკოვი.**

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე,—იცის თუ არა მან რაში ედება ბრალი—ის ამბობს: მოქალაქე მოსამართლენო! მე ხომ რომელიმე ბანკის დირექტორი არ ვარ, რომ ოცი ათასი მანეთი გამეფლანგოს; მილიციელს სიფათში ავადებდი ან ლამაზ ქალს გავეარშიყებოდი.

—სწორედ მაგაში გედებათ ბრალი,— ეუბნება მას თავმჯდომარე. გიცემიათ მილიციელისათვის, დაგირღვევიათ საზოგადოებრივი-წესრიგი. შემდეგ ბრალდებული აცხადებს:

— მე გუშინ წინ ჩამოვედი თბილისში, „საექიმოდ". ნერვები მაქვს დასუსტებული. მეგობრებმა სასადილოში მიმიპატიჟეს და დამათვრეს.

ქალისათვის შეურაცხყოფა მე არ მიმიყენებია, პირიქით, ის ძალიან უმადური გამოდგა ჩემ „ტკბილ სიტყვებზე" ხელი მკრა და გაიქცა.

სასამართლომ დაჰკითხა რამოდენიმე მოწმე, რომლებმაც დაადასტურეს ბრალდება.

სასამართლომ ბოიკოვი დამნაშავედ სცნო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და მიუსაჯა მას ექვსი თვით გამსახლში დაპატიმრება.

მკვლელობა დიდუბეში

გ. წ. 26 დეკემბერს, დიდუბეში აღმოჩენილი იქნა მოკლული ქალის გვამი.

საექიმო შემოწმებით გამოირკვა, რომ ქალი მოკლული იყო რევოლვერის ტყვიით.

გვამის ახლოს ნაპოვნი იქნა მაუზერის სისტემის რევოლვერიდან გასროლილი ვაზნა.

მოკლული აღმოჩნდა **ლიდა ფედჩენკო.**

სულ მოკლე ხანში დააპატიმრეს მკვლელი, რომელიც აღმოჩნდა საუწყებო მილიციის თანამშრომელი **მიხეილ ჯინჭარაძე.**

გამოირკვა, რომ ჯინჭარაძე ეარშიყებოდა ფედჩენკოს. დაახლოვების შემდეგ ჯინჭარაძემ მოინდომა ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერა. ქალი უარზე იყო.

ამხანაგებმა უთხრეს ჯინჭარაძეს, რომ ფედჩენკო ვიღაც კაცებთან საეჭვო დამოკიდებულებაში არისო. ამით კიდევ უფრო გაბრაზდა ჯინჭარაძე და გ. წ. 25 დეკემბერს, მოჰკლა ფედჩენკოს ქალი.

ჯინჭარაძე პასუხისგებაში მიცემული. საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს.

მეცნიერება და ტეხნიკა

კვიჟლებთან ბრძოლა

კვიჟლიანი ფიცრები გამოუსადეგარია სადურგლო სამუშაოებისათვის და მათი ღირსება, როგორც საამშენებლო მასალის, მეტად მდარეა, ამიტომ დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკაში ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოგონებულმა აპარატმა, რომელიც კვიჟლებს სჭრის ფიცრებიდან და მათ სცვლის შესაფერად მორგებულ ხის ნაჭრებით.

აპარატი იმდენად მარტივია, რომ მოზარდსაც თავისუფლად შეუძლია მისით სარგებლობა: 60—90 კვიჟლის ამოჭრა სამი დიუმის სისქე ფიცრებიდან და მათი შეცვლა შესაფერი ხის ნაჭრებით. წებო საჭირო არ არის. ხე ისე ეკვრება კვიჟლის ნაცვლად ჩადებულ ნაჭერს, რომ კაცი ვერც შეამჩნევს რამეს.

ვისთვის უფრო საშიშია შხამები

გარვარდის (ამერიკაშია) საექიმო სკოლის ინდუსტრიალური მედიცინის პროფესორი **ალისა გამილტონ** ამტკიცებს, რომ შხამიანი ნივთიერებანი, უფრო ცუდ გავლენას ახდენენ ქალის ორგანიზმზე, ვიდრე მამაკაცისაზე. „სწორეთ ქალები, — სწერს **ა. გამილტონ,** — პირველნი განიცდიან მავნე მოქმედებას იმ არსებულ და ახლად აღმოჩენილ შხამიან ნივთიერებებისას, რომლებსაც მრეწველობაში ხმარობენ. ბენზოლით მოწამვლით 52 შემთხვევიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, 40 ქალების წილზე მოდის".

მსოფლიო ომის დროსაც, სამხედრო მასალების ფაბრიკა - ქარხნებში, ქალებზე მოდიოდა დაავადმყოფებულთა და დაშავებულთა ყველაზე მეტი პროცენტი.

ექ. გამილტონ ყურადღებას მიაქცევს იმ მრავალი დაკვირვებებით დადასტურებულ ფაქტს, რომ შხამიან ნივთიერებით მოწამლულ ქალს სნეულების გადაცემა შეუძლია ბავშვებისათვისაც.

სიმინდის ღეროების გამოყენება

მთელ რიგ წლების ენერგიული მუშაობის შემდეგ უნგრელმა ქიმიკოსმა **ბელა დორნერმა,** როგორც სჩანს, გადასჭრა სიმინდის ღეროების კომერციული მიზნებისათვის გამოყენების პრობლემა.

დორნერის წესით დაფქვილი სიმინდის ღეროები წარმოადგენენ ნივთიერებას, რომელსაც ხმარობენ ხელოვნური აბრეშუმის, კინემატოგრაფიული ფირფიტის, ასაფეთქებელ ნივთიერებების, **ცელულოიდის, სხვადასხვა ლაქების,** ხელოვნური ტყავის და სხვ. დასამზადებლათ. სიმინდის ღეროებიდან მიღებულ ნივთიერების გადამუშავების დროს, ღებულობენ აგრეთვე მთელ რიგ დამატებითი პროდუქტებს ზეთისა და გაზისებურ ნივთიერებებს, რძის მჟავას და სხვ.

სიმინდის ღეროების გადამუშავება ბელა დორნერის წესით უკვე სწარმოებს შეერთებულ შტატებში.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს, 12 აგვისტოს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: დათიკო ჯანგველაძეს, მარიამ ამილახვარს, აზმი არუთინოვს, მარია ანდრიასოვას, თამარ ანდრონიკაშვილს, თამარ აკოპოვას, არაქელოვს, ა. აგასოვს, ერმალოზ უნგიაძეს, ანდრო ონიაშვილს, ევგენი სუნდუკიახს, გრიგოლ ოქროპირიძეს, არჩვაძეს, ალექს. უჟუჟუნაშვილს, დავით ბელატაშვილს, მ. მინასიანს. ამასთან ერთად სექცია უმუშევარ მანტიორებისა და მკერავ ქალების საყურადღებოთ აცხადებს რომ მიღებულია პირველზე 25 კაცის მოთხოვნილება, ხოლო მეორეზე 50 კაცის; მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ პირობებს შრომის ბირჟის აღნიშნულ სექციაში.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ახაიდა აკოპიანს, ანნა ისრაელიანს, მელიქ აირაპეტიანს.

შავ მუშათა მე-3 სექცია: ივანე ჩოდრიშვილს, კონსტანტინე კიპარიძეს, ზაქრო რომანაშვილს, კონსტანტინე თევზაძეს, ქეთევან კენკებაშვილს, პლატონ ჯიქიას, გიორგი ქალაქიშვილს, იოსებ მინდიაშვილს, ნატალია ბერეჟანოვას, ნინო ცემლას, ეფრემ ლურიეს, ზინაიდა ჩუხუროვას, სიძონ აიანოვს, პოლოს დილაევს, არამ ოგანოვს, ოგან მამედ ოღლის, გეორქ მოსიევს, გრიგოლ ვართანოვს, ნიკოლოზ არტიშკინსჩ მიხეილ ბასილოვს, სერგო გულიაზოვს, სოფიო იორამაშვილს, ალექსანდრე ციკაურს, უკლებაშვილი ივანე, ისაკ ატოიანს, სერგო სულხანიშვილს, გაიკ მოსესოვს, მ. სიმონიანს, რეზო ჯეირანაშვილს, მიხეილ ოილოტოვ, მისაკ დოლაევს, ამაიაკ მიკირტჩიანს, გიორგი სატოიანცს, სუმბათ ხალატიანცს, ბაგრატ მანუკიანს, მინას აბრამოვს, მარქარ მარკოსოვს, არშაკ პოლოსოვს, გიორგი კოჭლამაზაშვილს, გ. ბიმოიანს, ზაქრო გძელიძეს, ალექსანდრე ბარსეგოვს, მიკირტიჩ ვართანოვს, ავეტიქ ბელგადაროვს, ალექსანდრე სტეფანიანცს, ოგანეზ აკოპიანცს, იაკობ სიმონიანცს.

მშენებელ მუშათა მე-5 სექცია: აიკ გასპაროვს.

პარტიული კალენდარი

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საფინანსო განყოფილება** სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) საფინანსო განყოფილებაში სამი დღის განმავლობაში დილის 9 საათიდან 2 საათამდე.

გ. კოპაძე, კარლო კალაძე, პეტრე ქუთათელაძე, კვაჭაძე, ალ. კაჭახიძე, ვას. კასატკინი, გრ. კვიცარიძე, ს. კასიანი, კანდელაკი, ელ. პოლუმორდვინოვი, კონსტ. ლორთქიფანიძე, ლისაშვილი, ვლ. ლეჟავა, ლისოვსკი, ფ. მელნიკოვი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი სთხოვს ქვემოდ - ჩამოთვლილ ამხანაგებს აუცილებლად გამოცხადდენ დღეს, 12 აგვისტოს დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივანთან ამხ. ასრიბეკოვთან.

ანდრო გაბრიელის ძე გასიევი, ვალერიან კონსტანტინეს ძე იმედაძე, კირილე ერასტის ძე ბესელია, სამსონ ალექსანდრეს ძე ოჩიგავა, კლატონ გიორგის ძე შუშანია, ივანე ვასილის ძე შავგულიძე, იასონ ავაკუმის ძე კოპალეიშვილი და სერგო ლეონტის ძე ბერაძე.

ბიბლიოგრაფია

გ. პიჩიკიანი

«Народное Хозяйство и кооперация Армении».

»Закнига« გვ. 216, ფასი 2 მან.

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს სომხეთის სახალხო მეურნეობის და კოოპერაციის განვითარების ისტორიულ მიმოხილვას. ამ წიგნის გამოცემა მით უფრო აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაზე დღემდის არ მოიპოვება ისეთი ვრცელი და სერიოზული გამოკვლევა, რომელიც საშუალებას იძლეოდეს საფუძვლიანად გავეცნოთ სომხეთის მეურნეობის მდგომარეობას, მისი თანდათანობითი განვითარების ისტორიას. ამ წიგნის მიზანია ნაწილობრივად მაინც შეავსოს ეს ხაკლი, მოგვცეს ჩვენ საშუალება დავინახოთ თუ რამდენად გაჯანსაღდა და გამაგრდა სომხეთის სახალხო მეურნეობა გასაბჭოების შემდეგ.

ავტორი წიგნის დასაწყისშივე აღნიშნავს, ხოლო შემდეგ კი ამას ადასტურებს ფაქტიური მასალით **რომ მხოლოდ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა** და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების უდიდეს ფედერაციაში შესვლისა, დაიწყო სომხეთის ეკონომიური რენესანსი და შესაძლებელი გახდა ამ პრიმიტიული აგრარული ქვეყნის შედგომა ინდუსტრიალური განვითარების გზაზე.

ავტორის მთავარი საგანს წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ რა როლს თამაშობდა და თამაშობს კოოპერაცია სომხეთის სახალხო მეურნეობაში. და როგორია მისი მომავალი ამოცანები. კოოპერაციის როლის დახასიათებას წინ უძღვის სომხეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა. ავტორი არკვევს სომხეთის ეკონომიკის სისუსტის ისტორიულ მიზეზებს, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ძირითადი დარგების დღევანდელ მდგომარეობას, ახასიათებს შინამრეწველობის დარგთა განვითარებას.

ამ მიმოხილვიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა—სომხეთი წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას. პრიმიტიული ტეხნიკით და ექსტენსიური მეურნეობით. კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში სომხეთი დარჩა იმავე უმწეო ეკონომიურ მდგომარეობაში, ვინაიდან იგი გადაიქცა სავაჭრო კაპიტალიზმის ასპარეზად. კაპიტალიზმმა ვერ შესძლო ამ უმდიდრესი ქვეყნის საწარმოო ძალთა ამოქმედება, ვერ გააცხოველა მისი საქალაქო და სამრეწველო ცხოვრება. სომხეთის მცხოვრებთა 94.5 პროცენტი დღემდის სოფლათაა გაზხეული, ქალაქებზე მოდის სულ რაღაც 5.75 პროცენტი. მსხვილი კაპიტალი, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ მოგებით, ეძებდა უფრო მომგებიან ასპარეზს. ხოლო სავაჭრო კაპიტალი გადაიქცა წვრილი გლეხური მეურნეობის გაპარტახებისა და გახრწნის ფაქტორად.

ეს მდგომარეობა ვერ გამოასწორა ვერც დაშნაკური „ეროვნული მთავრობის" ბატონობამ. პირიქით, მან სრული განადგურებამდე მიიყვანა სომხეთის მეურნეობა. ეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ. დღეს შესაძლებელი ხდება [illegible] რეალიზაცია [illegible] მრეწველობას სომხეთში, სომხეთის ეკონომიური განვითარების [illegible] გზით.

სომხეთის სახალხო მეურნეობის—ამ რადიკალური გადახალისების იარაღად ავტორი აღიარებს კოოპერაციას.

თავის ვრცელ წიგნში ავტორი დაწვრილებით იხილავს კოოპერატიული მოძრაობის ისტორიას სომხეთში. წიგნის ეს ნაწილი შესდგება სამი თავისაგან, რომლებშიაც განხილულია სამომხმარებლო კოოპერაცია, საკრედიტო ამხანაგობანი და სასოფლო კოოპერაცია. ძველი მეფისა და დაშნაკური სომხეთის სინამდვილე არ წარმოადგენდა ხელსაყრელ ასპარეზს კოოპერატიული მოძრაობის გასვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რევოლიუციამდე სომხეთის „კოოპერატივთა კავშირში" ირიცხებოდა 187 სამომხმარებლო საზოგადოება, იგი მაინც გადაგვარების გზაზე იყო შემდგარი. კოოპერაციას სომხეთში ჰქონდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ხასიათი. ავტორი ცხადყოფს, რომ კოოპერაცია წარმოადგენდა იარაღს, რომლითაც მოხერხებულად სარგებლობდა სომხეთის ნაციონალისტური ინტელიგენცია, რათა კოოპერაციის საშუალებით სათავეში ჩასდგომოდა სახალხო მოძრაობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კოოპერაცია სომხეთში განიცდიდა საშინელ კრიზისს, იგი იხრჩობოდა უსაქონლობით. კოოპერაციის აღორძინება იწყება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან. 1926 წლისათვის ავტორის ცნობების თანახმად სომხეთის სამომხმარებლო კოოპერაციაში ჩაბმული მეურნეობათა რიცხვი უდრის 65.750, რაც შეადგენს მთელ მეურნეობათა 37 პროცენტს. საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი ამავე წლისათვის უდრის 14, რომლებშიაც შედის 17.934 მეურნეობა. ასევე წარმატებით ვითარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია—ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რიცხვი უდრის 205. კოოპერაცია უკვე შეიჭრა სასოფლო-მეურნეობის ისეთ ფარგლებში, როგორიცაა მევენახეობა მებაღეობა, მესაქონლეობა; მებამბეობა. ყოველივე ეს კი შესაძლებლობას აძლევს კოოპერაციას, როგორც აღნიშნავს ავტორი „მოახდინოს რევოლიუცია სომხეთის მეურნეობის მთელ სისტემაში და გადაშალოს მის წინაშე განვითარების გასაოცარი პერსპექტივები".

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის სახალხო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი განვითარების სურათი მკრთალად და ზოგად შტრიხებშია მოცემული, პიჩიკიანის წიგნის გამოცემა მაინც მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ვინაიდან ის დაახლოებით მაინც გვაცნობს ჩვენ სომხეთის ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს და კოოპერაციის როლს სომხეთის სახალხო მეურნეობაში.

რ. ჭ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განმარტება

ს. ს. ს. რ. იუსტიციისდაშრომის სახალხო კომისარიატებისა

იმ დახმარებათა და პენსიების გაცემისწესის შესახებ. რომლებიც დაურჩა მიუღებელი დაზღვეულს გარდაცვალებამ დე

იმ დახმარებათა და პენსიების გაცემისათვის ერთნაირი პრაქტიკის შემოღების მიზნით, რომლებიც დაურჩა მიუღებელი დაზღვეულს გარდაცვალებამდე, იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატები განმარტავენ:

1. დახმარებები და პენსიები, რომლებიც დამზღვევი ორგანოებიდან მიუღებელი დაურჩა დაზღვეულს გარდაცვალებამდე, არ ჩაირიცხება მის სამკვიდრო ქონების საერთო მასაში.

2. დაზღვეულის გარდაცვალების დროს მიუღებელ დახმარებათა და პენსიების მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომელნიც გათვალისწინებულნი არიან შრომის კანონთა კოდექსის 189 მუხლით.

3. აღნიშნულ დახმარებათა და პენსიების მიღების უფლებას სწყვეტს თავის დადგენილებით, ადგილობრივი დამზღვევი კასა სათანადო ორგანოებიდან მოწმობების წარდგენის შემდეგ იმის შესახებ, რომ შუამდგომლობის აღმძრელი პირი ნამდვილად გარდაცვალებულის ოჯახის წევრია და ეკუთვნის შრომის კანონთა კოდექსის 189 მუხლში ჩამოთვლილ პირთა რიცხვს

აღნიშნულ დადგენილებებს და პენსიებს დამზღვევი კასა თანაბრად უნაწილებს და აძლევს ამ დახმარებათა და პენსიების მიღების უფლების მქონე ოჯახის წევრებს იმ წესის თანახმად, რომელიც შემოღებულია მარჩენალ დაკარგულ ოჯახის წევრებზე დახმარებათა გაცემისათვის.

4. გარდაცვალებამდე დაზღვეულის მიერ მიუღებელ დახ. და პენსიების მიღების შესახებ შუამდგომლობა აღძრულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში დღიდან დაზღვეულის გარდაცვალებისა.

აღნიშნულ ვადაში მოუთხოვნელი დახმარებები და პენსიები ჩაირიცხება დამზღვევ კასის შემოსავალში და აღარ გაიცემიან.

ადგილობრივ დამზღვევ კასის მოქმედება, დახმარებათა და პენსიების განაწილების შესახებ, განსაჩივრებული შეიძლება იქნეს ორი კვირის განმავლობაში სრ. საქართველ. სოცდაზღვევის კომიტეტში, რომლის დადგენილება საბოლოა და მის განსაჩივრება არ შეიძლება.

იუსტიციის სახალხო კომისარი: ვარძიელი.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარის მოადგილე: ჭელიძე.

დადგენილება № 61

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საცხოვრებელი სადგომების თაობაზე1923 წლ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საცხოვრებელი სადგომების შესახებ" სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს მიერ 1923 წლ. სექტემბრის 26-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 11. ბინის ქირას (ტარიფს) განსაზღვრავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომის ქირის შესახებ" გამოცემული დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის გამოკლებით, სადაც ბინის ქირას განსაზღვრავს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მატიკაშვილი.

1927 წლ. ივლისის 4.
თბილისი-სასახლე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დათიკო და თინა, ბებია ბაბინე, მამიდები ნესტა, ვერიჩკა, საშა და თამარა, ბიძა პროკოფი, ბიცოლა ოლღა და ბიძაშვილი პატარა მედიკო კოპლატაძენი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ამა წლის 11 აგვისტოს აგარაკ ბახმაროზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და მარადჟამს დაუვიწყარი პატარა

კუკური

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული (ე)

ეკონომიურ საბჭოში

საქართველოს სმუს თამბაქოს ტრესტის „ტაბაკ-სირიო."-ში მეპაიეთ შესვლა

ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა საქართველოს სმუ საბჭოს ტრესტს შევიდეს მეპაიეთ „ტაბაკ-სირიო"-ში. მეპაიეთ შესვლის პირობების შესახებ თამბაქოს ტრესტი „ტაბაკ-სირიო"-ს უშუალოდ უნდა შეუთანხმდეს.

1926—27 წ. ადგილობრივი ბიუჯეტი

ფინსახკომის მოხსენების თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ-ის მაზრებისა და ავტონომიური ერთეულების 1926—27 წ. ადგილობრივი ბიუჯეტი.

გადასახლების გეგმის შესახებ

რადგანაც სსრკ ცაკ-ის დადგენილების თანახმად, გადასახლების საქმის მოსაწესრიგებლად საქართველოსათვის გამოყოფილია სოჩის რაიონში 40.000 გექტ. და თერგის ოლქში 89 მოსახლისათვის გადასასახლებელი მიწები. წინადადება მიეცა საგეგმო კომისიას დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშაოს ხსენებულ მიწებზე გადასახლების გეგმა.

მამულის გადაცემა

მიწსახკომის მოხსენების თანახმად, სოფ. არგვეთის მამული (ცხრა დეს.) გადაეცა შორაპნის სამაზრო ალმასკომს. მიწსახკომის სახალხო მამულების ტრესტს უფლება რჩება იარგებლოს უფასოდ აღნიშნული მამულის სარდაფებით.

ახალი მაღაროები

ტყიბულში

ტყიბულიდან დაბრუნდა სამთო ტრესტის მიერ გაგზავნილი ინჟ. **დ. ყიფიანი,** რომელსაც დავალებული ჰქონდა შემოწმებია ტყიბულში ახალი მაღაროების ამოსაღებათ წარმოებული მუშაობა.

ტყიბულში დაწყებულია ამ მიზნით ორი დიდი (ე. წ. კაპიტალური) გვირაბის გაყვანა ერთი აღმოსავლეთის უბანში და მეორე დასავლეთის.

აღმოსავლეთის უბანში 1-ლი აგვისტოსათვის გაყვანილი იყო 106 მეტრის სიგრძე გვირაბი, ხოლო დასავლეთზე — 286 მეტრის.

გვირაბების გათხრა სწარმოებს, როგორც მანქანების (კომპრესორების, პერფარატორების და პნევმატიური ჩაქუჩების), ისე მუშა-ხელის საშუალებითაც.

საგზაო მშენებლობა

სიღნაღ-ლაგოდეხის გზა-ტკეცილი

საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს მაზრის ხელისუფლებასთან ერთად აწარმოებს სიღნაღ-ლაგოდეხის გზა-ტკეცილის აღდგენას.

ეს გზა ერთად-ერთია, რომელიც ზაქათალას ოლქს აკავშირებს რკინისგზასთან. ამ გზით გამოაქვთ ამ ეკონომიურად ძლიერ რაიონიდან თხილი, კაკალი, კაკლის ხე და სხვა სასოფლო-სამეურნეობო პროდუქტები.

ამჟამად მუშაობა სწარმოებს სიღნაღისა და ალაზნის ხიდის შუა (მანძილი 23 კილომეტრი). ამ ადგილებში გზის მოსწორება-მოტკეპნაზე მუშაობს სამი სატკეპნი მანქანა.

ამის გარდა წელს აღდგენილი იქნება გზა 24 კილომეტრის მანძილზე. აქედან ოთხი კილომეტრი ქიაურის მახლობლად.

ამით დამთავრდება მუშაობა ამ გზაზე წრევანდელ საამშენებლო სეზონში. დანარჩენი სამუშაოები ჩატარებულ იქნება მომავალ წელს.

ახალი დებულება

საგზაო ბეგარის შესახებ

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო ახალი კანონპროექტი სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომითი ბეგარის შესახებ. ამ კანონპროექტის მიხედვით, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარა გზების მოწყობა-შეკეთებისათვის მუშაობაში გაყვანილ უნდა იქნან სოფლის ადგილებში მცხოვრები ყველა მოქალაქენი 18-დან 50 წლამდე. მუშაობაში საერთო საკავშირო მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარა გზების აღდგენისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნან გაყვანილი, თუ გზები სერიოზულად არის დაზიანებული. სამუშაო დღეების მაქსიმალური რიცხვი წლის განმავლობაში ყოველ პირზე არ შეიძლება აღემატებოდეს შვიდ დღეს, საგანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით. შრომითი საგზაო ბეგარაზე არ შეიძლება იქნან გაყვანილი ის მოქალაქენი, რომელთა საცხოვრებელი ადგილი 8 კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული საგზაო სამუშაოდან; ბეგარაზე არ შეიძლება იქნან გაყვანილი აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებათა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურენი.

რკინის გზეზე

მთავარ სახელოსნოების ელექტროფიკაცია

მუშაობა თბილისის მთავარ სახელოსნოების ელექტროფიკაციისათვის გაძლიერებულის ტემპით მიმდინარეობს.

ამჟამად უკვე დაწყებულია მეორე სატრანსფორმატორო შენობა. სატრანსფორმატორო შენდება სადურგლო ცეხთან.

სამტრედიის საციგებელი

გზათა კომისარიატმა დაამტკიცა სადგ. სამტრედიაში საციგებლის აშენების და მოწყობის გეგმა.

დამატებითი ჯილდო

მუშაობისა და ცხოვრების განსაკუთრებული არა ხელსაყრელ პირობების გამო, რომელშიაც უხდებათ ყოფნა სადგ. ჯულფას მოსამსახურე რკინისგზელებს,—ა. კ. საგზაო კომიტეტმა ა. კ. რკინის გზის გამგეობასთან შეთანხმებით, პირველი ივლისიდან დააწესა დამატებითი ჯილდო მუშა-მოსამსახურეებისათვის. მათ ძირითად ხელფასზე—25 პროც. რაოდენობით.

კლდის ჩამონგრევა

ძირულა-ხარაგოულის შუა, ა. კ. რკინის გზის მე-186 კილომეტრზე 8 აგვისტოს ჩამოინგრა კლდე.

რკინის გზის ლიანდაგზე ჩამოვარდა დაახლოებით 10 კუბ. საჟენის მოცულობის ქვის მასა.

საჭირო გახდა მატარებლების მოძრაობის შეწყვეტა. გზის გაწმენდას დასჭირდა სამი საათი. გზაზე დაკავებულ იქნა რამოდენიმე მატარებელი.

გურიის ნავთი

დღეს გურიის ნავთიანი ადგილების დასათვალიერებლად და წარმოებულ მუშაობის შესამოწმებლად ომფარეთში მიემგზავრება განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან—„აზნევთის" წარმომადგენელი ინჟ. **აბრამოვიჩი,** ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს ნავთის საქმეთა კონსულტატი—**ზიბერტი** და ნავთიანი ადგილების გეოლოგიურ გამოკვლევათა ხელმძღვანელი გეოლოგი **კრუგი.**

ომფარეთში, კომისია მოახდენს გავლილ ჭაბურღილის სამუშაოთა შემოწმებას და ამოირჩევს მეორე საცდელი ჭა-ბურღილის ამოსაღებ კოშკის დასადგმელ ადგილს.

კომისიის მუშაობა გურიაში გაგრძელდება დაახლოებით ერთი კვირა.

სატელეფ. ქსელი ბათომში

დაახლოებით ექვსი თვეა, რაც სწარმოებს მუშაობა ბათომის საქალაქო-სატელეფონო ქსელის გადასაკეთებლად. ერთ მავთულიანი სისტემის ნაცვლად კეთდება ორ მავთულიანი სისტემა ცენტრალური სადგურის გამძახებით. ამჟამად უკვე თავდება კანალიზაციის მოწყობა და ჯავშნიანი კაბელის გაბმა თხრილებში.

უკვე დადგმულია სამი გამანაწილებელი ყუთი. საერთოდ უმთავრესი სამუშაოები დასრულებულია. ქსელის გადაკეთება საბოლოოდ დამთავრდება ამ ორ თვეში—ოქტომბრის დამლევისათვის. ახალი სატელეფონო ქსელის გაყვანა ჯდება—500 ათასი მან.

სახაფხულო „აპოლო"
(„არტოს" ბაღში)

დღეს

ამერიკის პოპულიარული მსახიობი
ქალი **მეი მურეი** ქალი
მხატვრულ სურათში

„კუნძულელი
ქალი"

დღეს

სალარო ღიაა საღ. 7 საათ.

სახაფხულო „დარბაზი"
(პლეხანოვის გამზ. № 91)

უკანასკნელი მე-5 და მე-6 სერიები
წარმტაც ამერიკულ
კინო—რომანის

„ბოროტმოქმედების
დაღი"

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

1 სეანსის დასაწყისი საღ. 8 ს.

ნ. 1563.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის

ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების

მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:

1) შვიდწლედის დამთავრების მოწმობა,
2) წლოვანობის მოწმობა,
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.

მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.

კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 13—1 ნ. 3478

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს 13 აგვისტოს, დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლად გაიყიდება: ხალიჩები, ფარდაგები, გარდერობები, პირისსაბანი, კამოდები, სარკეები, ფართლეულობა, და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1562

მოითხოვეთ ყველგან

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლაღიძის
წყალი
გემო და სუნი საამური აქვს

4—1 ნ. 1367

ამიერ-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის
სამმართველო
(ალმასკომის ქუჩა, № 8)
აცხადებს, რომ ა. წ. 18 აგვისტოს, დღის 12 საათზე
დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საიჯარო სამუშაოთა გაცემაზე

ორსართულიან საცხოვრებელ 12 ოთახისაგან შემდგარ ქვის სახლის აშენებაზე, ღირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 35.296 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა ყოველგვარ ცნობების მისაღებად და პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის გასაცნობათ უნდა მიმართონ სამმართველოს ყოველდღე 10—12 საათ.

2—1 ნ. 1552 ამ.-კავ. სახელმ. დაზღვევის სამმართველო

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
იღებს ავადმყოფებს
ბორჯომში.
13—1

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 8912 ნოე სოლომონის-ძე ჩხენკელის სახელზე, ჩ. გ. 3550

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 252 და სამხედრო სააღრიცხვო ფურცელი მოცემული ბაქოს სამხ. კომისარიატის მიერ დალოსტი ივანეს-ძე კერესელიძის სახელზე, ჩ. გ. 3552

დაიკარგა ალმშენებლობითი კავშირის წიგნაკი № 10515 და ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი № 10516 რაჟდენ გაიოზის-ძე გედენიძეს სახელზე, ჩ. გ. 1560

დაიკარგა საშვალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ქუთ. 1 ცხრაწლედის № 418 შალვა არსენისძე-კუბლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1560

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 11406 და დამხმარე სალაროს წიგნაკი გრიგორ- ვასილის-ძე კუბლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1560

დაიკარგა ქუთ. კომბანკის ორი ნახევარი აქციის ქვითარი, თითეულის ღირებულება 25 მან. ელიაუ ფიზიცკის და აბრამ ფიზიცკის სახელზე, ჩ. გ. 1560

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 17915 თამარა მელიტონის ასული ანდღულაძის სახელზე, ჩ. გ. 1560

დაიკარგა მმაჩის მიერ 1924 წლის 21 თებერვალს № 6 მოცემული მოწმობა ჩემი გვარის ბოზარჯიანცის-პოპოვის გვარზე შეცვლის შესახებ, ჩ. გ. 3544

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი გრიგოლ და ბარბარე ჯავახიშვილების სახელზე, ჩ. გ. 3551

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო
(არტოს ბაღში).

რუდოლფ ვალენტინო მხატვრულ შედევრში

„შეიხი" ყველგან კოლოსალური წარმატება

უკანასკნელი მე-5 და მე-6 სერიები
ამერიკულ კინო-რომანის
„ბოროტმოქმედების დაღი"

ამერიკის პოპულიარული მსახიობი—ქალი
მეი მურეი მხატვრულ სურათში
„კუნძულელი ქალი"

ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს არ იხდის ბაღში შესასვლელ ფასს

0—9 ნ. 1388

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი),** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8 —18

ამიერკომის სტამბა, კამოს ქ. 6ა